ვიქტორ ჰიგო

ლოკუსტი

საქართველოს სსრ
საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა
„ნ ა კ ა დ უ ლ ი“
19 თბილისი 62

ოარგმანი რევაზ თვარაძისა

ნაწილი პირველი

I

ისინი ოცდაათნი იყვნენ, ოცდაათი რაზმელი, რომელთაც ალიონზე დაარბიეს ლომანის ფერმა. დამხვდურთაგან ყველა გაქლიტეს, სანოვაგე, შაშხანები და ვაზნები წამოიძღვანეს და კვლავ შამბნარში გაუჩინარდნენ. და მათი უკუქცევისას არავის აუტეხია ყვირილი — აგერ, იქით გარბიანო! რადგან დრო ჰქონდათ მარჯვედ შერჩეული, არ ფხიზლობდნენ მუდამჟამს ფრთხილი და გაფაციცებული ახალმოსახლენი. მაგრამ ეს იყო — სამიოდე შაშხანაც ძლივს მოიგდეს ხელში.

ეს სამი შაშხანა ყველა უიარაღოს ვერასგზით გასწვდებოდა. ამიტომ ნებუ, რომელიც გენერალ კოკოს ბანაკს ოთხიოდე თარეშის წინახანს შემოერთებოდა, ამჯერადაც უშაშხანოდ დარჩა. იგი ფეხდაფეხ მისდევდა ფერმის უკან აშლილი ტყისკენ გაქცეულ ამხანაგებს და ჰკვირობდა — როგორ ჯიუტად არ მწყალობსო ბედი. ხეებს რომ შეერივნენ, რაზმელებმა სირბილს უკლეს, დინჯად გაალაჯეს. იმ დროისათვის, როცა ნაირობიდან წამოსული დილის პატრული მათი თავდასხმის კვალს წააწყდებოდა, ოცამდე მილი უნდა გაევლოთ.

შეგახსენებთ, რომ შიშველი, შავი ფეხისგულები შეუმცდარად არჩევენ ბილიკის იმ ადგილებს, რომლებიც ნაგვალავზე ქვასავით გამაგრებულა; მიმავალთ იდაყვები გულდასმით აქვთ მიკრული ფერდებზე, რათა ერთი ფოთოლიც არსად ჩამოაგდონ, თვალმახვილი მდევრისათვის რაიმეს მიმნიშნებე-

ლი ფოთოლი. სანდო გზას მიჰყვებოდნენ ისინი. მდინარეში შესტოპეს და ადგაფუნებული წყალი მხოლოდ მაშინ დაწყნარდა, როდესაც რაზმი შუაგულს გასცდა. აქ მკერდზე სცემდათ წყალი. შაშხანები თავზევით ეჭირათ. ასე დაუყვნენ და მთელი მილი ჩაიარეს, რათა თავგზა აებნიათ პოლიციელთა მეძებრებისათვის, რომლებსაც მალე გამოუყენებდნენ მათს კვალს ფერმიდან. დაბალი მანგოს შორს გაწვდილ ტოტებს ამოჰყვენ წყლიდან და ტოტიდან ტოტზე ხტომით გაუყვნენ ხეებს. ხოლო როდესაც ხეებიდან ჩამოხტენ, მდინარეს უკვე ნახევარი მილით იყვნენ დაშორებულნი.

მაღლა ხეებზე რამდენიმე მაიმუნს გამოეღვიძა. კბილები დაეკრიჭათ, თვალის გუგებიდან ცეცხლს აკვესებდნენ. და უმალ ალაპარაკდნენ დაბლა მიმავალი ჯაჭვივით გადაბმული აჩრდილების შესახებ. აჩრდილები გაუჩინარდნენ. საუბარი შეწყდა. ყოველივე დასრულდა. მხოლოდ რაღაც შემთხვევის წყალობით მოსწვდა ტყეს ლომანის დარბეული ფერმიდან სიკვდილის მონაბერი.

II

ნებუს კი განუშორებლად ასდევნებოდა თავისი სადარდელი — რატომ არ მწყალობსო ბედი? მაგრამ ვერაფრით აეხსნა ეს ამბავი. ფერმაზე თავდასხმისას მან კარგად შეასრულა თავისი საქმე — შუბი აძგერა და დააშოშმინა ჯიუტი შავი მსახური. შემდეგ იმათ იფარავდა, ვინც კოკოს ბრძანებით რაც ეკუთვნოდა, ის დამართა ახალმოსახლეს, მის ცოლსა და ავ ზედამხედველს. მაგრამ როდესაც სახლი მოჩხრიკეს, სამად-სამი შაშხანა და ვაზნები იპოვნეს მხოლოდ.

ო, ისურვე რამე, რაც აქვეა, ერთი მილის სიშორეზე, და სასურველ საგნამდე ათი მილის გავლა მაინც მოგიწევს. ადამიანს სიყმაწვილეში შეუძლია თავით ფეხებამდე სურვილებით აღივსოს; სურვილებით დაუმძიმდება სხეული, მაგრამ ახდომით არც ერთი არ აუხდება, ვიდრე ჟამი არ მოვა. და მაინც ცხადზე უცხადესია, რომ ადამიანის შვილს აუცილებ-

ლად ეჭირვება შაშხანა ლოყებღაჟღაჟა ჯარისკაცებთან საბრძოლველად.

მათ ყოველგვარი იარაღი აქვთ; შენთვის უჩინარ ჯარისკაცს ადვილად შეუძლია გაგაფუჭოს ამ იარაღით. პირისპირ შებმისას უკვე დანის ხმარება შეიძლება. ამ საქმის შემძლე ზოგიერთი კიკუიუ ჰყვება ხოლმე, რა კარგები ხდებიან თეთრკანიანები ყელის გამომღადვრელი პანგას დანახვისას. მაგრამ მათთან პირისპირ მიჭრა მხოლოდ დიდი მსხვერპლის ფასად თუ შეიძლება.

კოკოს ნიშანზე რაზმელები უჩუმრად გაეკრენ მიწას. მათ წინაშე ბიბინებდა სპილოს ბალახით დაფარული მინდორი. მშვენიერი ადგილი იყო ჩასასაფრებლად. ბალახის ყოველი ღერო მოჩხრიკეს მათ მზერით, სმენითა და ყნოსვით და მხოლოდ მაშინ წამოიშალენ, როდესაც დარწმუნდნენ — გზა ხსნილიაო. მანამდე კი, კოკოს ნიშანზე, ნებუმ თავისი მშვილდით ორი სწრაფი ისარი გაგზავნა ბალახებში. რამდენიმე წინტალა წამოფრთხიალდა, მაგრამ იმ ჟამად წინტალების ალო იდგა და რაზმელთაგან წარბიც არავის შეუხრია. მაინც ფრთხილობდნენ წამოდგომისას, რადგან საგანგებო მდგომარეობის ღროს ინგლისელები ნამდვილ ბუშმენებად იქცენ და აფრიკელებს ხშირად აფრიკულივე ხერხიანობით უსწორდებოდნენ.

სისხლით და ხორცით ნებუ საკვებით ჯანსაღი იყო, მაგრამ უშაშხანობა გულს უმძიმებდა და მტკივანი კბილივით აწუხებდა. რამდენჯერაც აჰყარეს ბანაკი და სამხრეთისაკენ, კიკუიუს მშობლიური მხარისაკენ გაემართენ, იმდენჯერ ეჩვენებოდა — ახლა კი წყალობის თვალით გადმომხედავსო ყოვლადძლიერი. მის მხარს, მის თითებს სწყუროდათ ხე და რკინა შაშხანისა, რომელიც მხარს მიებჯინებოდა და ძალოვანს გახდიდა მაჯას. მაგრამ ვერ იქნა და ვერსად მოიხელთა ეს იარაღი.

შუადღისას მდინარის პირას შეისვენეს და შეექცენ შემწვარ, ტკბილ კარტოფილს, რომლის ბოლქვები მოზრდილი ბურთისოდენა იქნებოდა. ზედ აყოლებდნენ ანკარა წყალს, წკრიალითა და რაკრაკით ჩამავალს პირში. თან ოხუნჯობდნენ

ზედამხედველზე, რომელიც ფერმის აკლებისას ჭიშკარს მიაკრეს და მის თვალწინ სახლის პატრონს დამართეს, რაც ეკუთვნოდა, რათა ზედამხედველსაც გაეგო მოსალოდნელი. ბელადმა კოკომ, თავს რომ გენერალ კოკოს უწოდებდა, თქვა: როდესაც წამოსვლისას ჭიშკართან შევყოვნდით, ზედამხედველი ძალიან კარგი შესახედავი იყო.

შემდეგ ისინი მუქლურჯი აჩრდილებივით კვლავ გაექანენ ლიანით მოსირმულ მძლავრ კედრებსა და ტანწერწეტა პალმებს შორის. ვეება ბრინჯაოსფერ კაჭარს მოუარეს და ქვიან ფერდობს დაუყვენ. და იქ, სადაც ქვავნარს ისევ ტყე ენაცვლებოდა, მიწით ამოვსებულ ღრანტეებთან, კვალი შენიშნა ნებუმ.

ნალდარტყმული ფეხსაცმლის კვალი იყო — ამგვარ ფეხსაცმელს ახალმოსახლენი ატარებენ. მწკრივის ბოლოს მიმავალი ნებუ ჩაცუცქდა. რაზმმა თავისი გზა განაგრძო.

განსაკუთრებით მკვეთრად ქუსლი აღბეჭდილიყო, დუიმის მთელ მეოთხედზე მიწაში წასული ქუსლი. ნებუმ თითი მიწისკენ წაიღო, მაგრამ კვალისთვის არ მიუკარებია — ჰაერში მოხაზა ის კვალი თითმა. საოცარია — ნებუ ამღერდა, თუმცა მის ბაგეს ერთი ბგერაც არ დასცდენია. თავი სწრაფად ასწია და თვალი მოავლო მყარ ნიადაგს: მას გაჰყოლია თეთრი ადამიანი. მხოლოდ ერთხელ გადასცდენია ფეხი, ერთადერთი შეცდომა მოსვლია. იმ ადგილას, სადაც თეთრკანიანი ბარდებში შესულა, ნებუმ არაბუნებრივად მოხრილ ტოტს ჰკიდა თვალი, გადაბრუნებული კენჭის სველი ძირიც შენიშნა, მცირეოდენი მიწაც, აბრეშუმის მუხის ფესვებთან ფეხსაცმლიდან დაცვენილი.

იქნებ მონადირეა ამ კვალის პატრონი, ან გზააბნეული ახალმოსახლე. მძიმეა მისი ტვირთი — ქუსლი ღრმად წასულა მიწაში; ბევრი საფასური მიაქვს თან, მაგრამ საფასურთაგან უმშვენიერესია შაშხანა.

ეს ყოველივე მოხდა ყოვლადძლიერის ნებით, რომელმაც შეისმინა ნებუს ვედრება.

იგი აიმართა და მიმოიხედა; ბორა ირაოს აკეთებდა ცაში, ტყის განაპირას არწივი მიფრინავდა. მზის სხივები შუბები-

ვით ეცემოდა მიწას და ნიავს მოჰქონდა სურნელი მიწისა, რომელიც ქვანახშირს ალმასად აქცევს. ნებუმ შემოიჭირა ქამარი. ზედ პანგა ეკიდა. ვეება მშვილდი მარჯვედ ჰქონდა მოგდებული ზურგზე. შვიდფუტიანი შუბი ისე მიჰკროდა, როგორც მოყვარული ცოლი მიეკვრება ცივ ღამეში კაცს, ნებუმ შეიბნია თავისი ძველი მეზღვაურული კურტაკი. თეთრი ადამიანის კვალი თავისკენ უხმობდა და ამ კვალს აედევნა კიკუიუ.

III

კენიას მთიდან (რომლისგანაც წარმოდგება სახელწოდება მთელი ქვეყნისა) ნგონგის მთამდე და იმას იქითაც გადაშლილა კიკუიუს მიწა. ეს არის მაღალი მთებისა და სავანების, წყლისა და გარეული ფრინველების მხარე, მხარე უღრანი ტყეების და მდინარეთა ველებისა, რომლებიც იმდენად ვრცელია, ქვეყნის ყოველგვარ მანკსა და უბედურებას დაიტევდა.

მომბასასთან კონტინენტზე შემოჭრილი ქარი მშრალია და ცხელი; ქარი ცოტათი გრილდება ზეგნებზე, სადაც ზოგზოგიერთის აზრით ისეთივე ამინდები იცის, როგორც ზაფხულობით კენტის საგრაფოში.

ჯუნგლებში კაშეჩები, ლომები, მარტორქები და ლეოპარდები დაძრწიან. სავანებში ანტილოპების, ზებრებისა და ჟირაფების დიდ-დიდი ჯოგებია.

მარტსა თუ აპრილში დგება ალო წვიმებისა, რომლებიც შიშისმომგვრელ ნაყოფიერებას ანიჭებენ ნიადაგს. გადაიხსნება ძველთაძველი იარები და მათგან ახალი ყლორტები აღმოცენდება.

მდიდარია კიკუიუს ქვეყანა, მდიდარია მიწის ნაყოფიერებითაც და მასზე არანაკლებ მძულვარებითაც, რადგან ყველა მის მკვიდრს მისითვე უდგას სული. ეს არის ქვეყანა მტრობისა, რადგან გადამთიელ თეთრკანიანს მისი დამონება სურს, შავ კიკუიუს კი — თავისთვის დანარჩენება.

მაგრამ თეთრკანიანთაგან ამ ქვეყნისა არავის არაფერი გაეგება და არც ძალუძს მისი დამორჩილება. ამას ვერც

შავკანიანთა უმრავლესობა დაიქადის. იგივე ითქმის კეთილ-შობილ ლომთა, კამეჩთა და მარტორქათა გამო. მხოლოდ ლეოპარდმა გაუგო მას; ამიტომაა, რომ ძლიერთ გაურბის და დაჭრილებსა და დაძაბუნებულებს ესხმის თავს.

*

* *

კვალი ორი-სამი დღისა იქნებოდა. ნებუს შეეძლო სწრაფად მიჰყოლოდა მას და თან შიში არაფრისა ჰქონოდა. მაგრამ სისწრაფე უნდა შეეხამებინა თავისი ჯანისთვის — როცა ფეხდაფეხ დევნის დრო დადგებოდა, ყოველ წუთს იქნებოდა მოსალოდნელი მსხვერპლთან გადამწყვეტი შებმა. ეს ყოველივე ნათლად იყო აღნუსხული მის ტვინში. ეს იყო კანონი.

ხუთ-ექვს საათში ტყეს ბინდი მოიცავს და კვალი დაეკარგება. ამიტომ ამ ექვს საათს მარდად უნდა ირბინოს, ღამით რიგიანად გამოიძინოს წაქცეული ხის ფუღუროში საიმედოდ მოკალათებულმა, ხვალ კი ისევ მთელ დღეს სირბილი მოუწევს. ზეგ უკვე სიფრთხილე იქნება საჭირო. ეს ყოველივე მან ისევე ზუსტად იცოდა, როგორც ჩვენ ვიცით ხოლმე მატარებლის გასვლის დრო განრიგის ნახვის შემდეგ.

ნებუ ძალიან მალე მიხვდა, რომ მისი სამსხვერპლო მონადირე არ უნდა ყოფილიყო, რადგან ლანჩების კვალს კი არ სტოვებდა მხოლოდ, ფორხილობდა კიდეც. ჯუნგლები არაა ფორხილით მავალი თეთრკანიანის სამყოფელი. მას ის ველიც კი პირდაპირ გადაუჭრია, რომელსაც, ეტყობა, ხშირად ეწვევა ხოლმე ძუ ლომი თავისი სამი ბოკვერითურთ. ახლადფეხადგმული ბალღი რა არის, ისიც იცნობდა სუნით ამგვარ აღგილს და შორს მოუვლიდა. იქნებ ახალმოსახლეა მის წინ მიმავალი? მაგრამ ახალმოსახლეებს ნაირობის ქუჩებში უფრო უყვართ სეირნობა, ხოლო თუ მაინცდამაინც ბარდებსა და ტყეში ფორხილობენ, ეს ღამღამობით ხდება ხოლმე, როდესაც მათ მასაის პირმშვენიერი და სასურველად ბერწი ქალებიც თან ახლავან.

ნებუ კარგად იცნობდა ყავის პლანტაციათა მფლობელ ფერმერებს. ერთხელ მსახურად იდგა ერთ ქვის სახლში, კე-

ნიას მთის ფერდობზე რომ იყო აგებული, იქ, სადაც მის მა-ნა-პაპას ოდესღაც საქონელი უძოვებია. ნებუ ჩქარობდა, კა-პარჭი თეძოზე სცემდა, მისი თვალები კი გამალებით ეძებდნენ ლანჩის ყოველ ანაბეჭდს, ტყავის შარვლისაგან ხის ქერქზე შერჩენილ ყოველ კვალს.

იგი იგონებდა.

როდესაც ყვავილმა მის ტომს მუსრი გაავლო, ნებუ — ჩვიდმეტი წლის მღვივანი ჭაბუკი — ჯუნგლებს გაეცალა, გზა-ტკეცილზე გამოვიდა და მაშინვე მალვენის სატვირთო მანქა-ნაზე მოხვდა. ბვანა გიბსონის ფერმის თეთრკანიანი ზედამხე-დველი იყო მალვენი, იგი მუშახელს ეძებდა — ყოველ მუშა-ზე ხუთ შილინგს ღებულობდა ჯილდოდ.

— ახალგაზრდებს უფრო მიეტანე, ადვილად გამოიწვრ-თნებიან, — ეუბნებოდა გიბსონი. — მოწიფული კიკუიუ ხეირს არ მოგვცემს. გადასაკრავ ფულს იშოვნის თუ არა, ყველაფერს თავს ანებებს ხოლმე. შენ თუ იცი, როგორ ვძულვართ მაგათ? ზოგიერთი მოხუცი ყელს სიამოვნებით გამოგვღადრავდა. შენ თუ იცი, რომ მაგ ყარაჩებს აზრით ჩვენ დამპყრობლები ვართ?

დამპყრობლები! ცოფმორეულ ბვანა გიბსონს სული შე-ეხუთა. მას მოაგონდა ოფლი და შიმშილი, შიგნეულის დამწე-წი ტკივილები, როცა წვიმები დაიგვიანებდა ან როცა ღამ-ღამობით ისე აცივდებოდა, რომ ყავის მარცვლებს დაა'ხ-რობდა ხოლმე. მას მოაგონდა სიზმარი, ყოველ ღამით რომ ნახულობდა: ვითომ ის ქალი იყო, ხოლო ნაირობის ბანკი — ბამაკაცი, და ვითომ ამ ბანკს, რომელზეც ისე ძალიან იყო და-მოკიდებული გიბსონი, მისი გაუპატიურება ეწადა.

ნებუ საირიგაციო არხებს თხრიდა და გუთანს მისდევდა, ვიდრე ერთხელ ბვანა გიბსონი სამშობლოში არ გაემგზავრა და თან ცოლი არ ჩამოიყვანა. დამთავრდა მარტოხელა კაცის ?ზააბნეული ცხოვრება. და ტანადი ნებუ ველ-მინდვრებს მოა-შორეს, სახლში გადაიყვანეს იატაკის საპრიალებლად თუ ავეჯის მისადგმელ-მოსადგმელად. ქალი კარგი ცხენოსანი გა-მოდგა. მედიდური სიარული იცოდა. ძალიან ახალგაზრდა ცოლი იყო, ბვანაზე ორჯერ უმცროსი.

აფრიკელი წარსულს მოსწყდა და ყური მიუგდო — აწმყო რას მეუბნებაო. მისი ბელადი — გული მკერდში მკაფიოდ და ზომიერად სცემდა. სუნთქვა უქმე დღესავით წყნარი ჰქონდა. ვერ ამჩნევდა — შიოდა თუ არა.

გზა ციცაბო აღმართს მიუყვებოდა და მის გასწვრივ ახლა გოროზად აღმართულიყვნენ მწვერვალთა მპყრობელნი—გიგანტური ღვიანი და ევკალიპტები. ტყის გამეჩხერებულ ნაპირას სოკოები გამოკრთა, მთის ირემმა ისე სწრაფად ჩაუქროლა, სროლას აზრი არ ექნებოდა. ნებუ ავტომატურ შაშხანაზე ოცნებობდა. იმედოვნებდა, — თეთრკანიანი შაშხანას ოპტიკურ სამიზნესაც გაუკეთებდაო. ავტომატურ შაშხანებს ზანგები ქალებს უწოდებდნენ, რადგან შაშხანებმაც კიკუიუს ქალებივით სწრაფი და ბოროტი ენით იციან ლაპარაკი. ნებუს მოაგონდა კიამბუს საპყრობილეს თეთრი პოლისმენი, რომელიც თავს იმით ირთობდა, რომ ასაჭურისებდა ხელში ჩავარდნილ კიკუიუებს. ერთ ღამეს კოკომ დალაშქრა კიამბუ, პოლისმენს ლოგინში მწოლარეს მიუსწრო, ტყვედ წამოიყვანა და ვაკამბაში იმ ქალებს მიუგდო, ვისი ქმრებიც დასაჭურისებულნი იყვნენ. ქალები ერთ კვირას მარჯვედ უნარჩუნებდნენ სიცოცხლეს პოლისმენს, მაგრამ ამ ამბავმა ნადირობის საქმე წაახდინა — ყველა მხეცი განერიდა იმ ადგილებს, საიდანაც პოლისმენის ყვირილის გაგონება შეიძლებოდა.

*

* *

პალმების ძირას გამურული ქვები იმაზე მეტყველებდნენ, რომ ლოყებღაჟღაჟას ცეცხლთან ღამე გაეთია. ნებუს თვალებმა იქაურობა მოიფათურეს და ხელახლა მიაგნეს კვალს. თეთრკანიანი ბრიყვი ისე ნელა მიდიოდა, თითქოს მთის გადალახვისათვის მთელი კვირა ედო წინ. ბავშვიანი ქალი უფრო ჩქარა ივლიდა. ნებუ სირბილს განაგრძობდა, პირმოკუმული მიიმღეროდა და ფიქრობდა — უმჯობესი იქნება, შაშხანას ქსოვილის ღვედი ჰქონდეს და არა ტყავისა, ტყავის ღვედმა შორი ლაშქრობების დროს მხრის გადახეხვა იცისო. ასე იტყოდა ხოლმე კოკო, რომელსაც ორი შაშხანა ჰქონდა.

კოკომ თქვა, რომ მას, როგორც ბელადს, ორი სჭირდებოდა.

ყოველდღე იყო მოსალოდნელი წვიმების დაწყება. ნებუმ იგრძნო — ნაშუადღევის ქარს უკვე ტენიანობა დაჰკრავდა. წვიმების მოსვლამდე უნდა გასწორებოდა თეთრკანიანს. კვალი ახალი იყო. მაინც გონივრული იქნებოდა ფეხის აჩქარება, რადგან აფრიკაში ზოგჯერ მოულოდნელად იცის თქეშმა მოვარდნა. მსაბუ გიბსონმა, ბვანა გიბსონის ახალგაზრდა ცოლმა, არ იცოდა აფრიკული ავდრის ამბავი. აფრიკაში ერთი წლის ნაცხოვრებიც არ იყო, როცა ის ამბავი მოხდა.

იმ დღეს ბვანა გიბსონი ადრიანად გაემგზავრა ნაირობს, საკანონმდებლო საბჭოს სხდომაზე, მისმა ცოლმა კი ცხენით გაისეირნა. მსახურმა ნებუმ დაალაგა სასტუმრო ოთახი, რომლის კედლები თლილი ქვისა იყო, ხოლო იატაკი — წითელი ხისა; გაწმინდა ბუხარზე ჩამოკიდებული ნიანგის ტყავი; ჯიუტი შვაბრა სასადილოს იატაკზე გაატარა. სასადილოს რომ მორჩა, ყველაზე დიდ ოთახს — საძინებელს მიჰხედა.

ძნელი იყო მუშაობა: წვიმების ალო ახლოვდებოდა და ტენიანი, მძიმე იყო ჰაერი. სიცხით და დახუთულობით შეწუხებულმა ნებუმ თავისი წითელი, მაიმუნის ტყავის კურტაკი გაიძრო. შემდეგ ბრიყვული ჩაჩი მოისროლა. დაბოლოს დადგა ჯერი თეთრი შარვლისა, რომელიც ჩასძვრა, როცა აბეზარ ბუზს იგერიებდა ზარმაცად. ცხელსა და წებარო ოფლს კანის ფორებში შეეღწია და ამოევსო სვრეტები. ნებუმ ვეება ჟალუზი ასწია და იმავე წამს მოეჩვენა — გახურებულმა, მოთენთილმა მიწამ შვებით ამოიოხრაო. იგი გაუნძრევლად იდგა ფანჯარასთან, როცა ხეთა შორის გრილი ქარი გამოიჭრა, პურის თავთავები მიაწვინა, ველებს გადმოევლო და ფარდები ოთახში შემოაფრიალა.

მაშინვე ვეება, გრილი და ნაზი მკლავები შემოეჭდო მისი ალმურმოდებული შიშველი სხეულის ყოველ უჯრედს. მათ შეხებაზე შეკრთა, შემდეგ კი მისმა ტანმა, რომელიც ტყეში მდგარ ხეზე ნაკლებ არ იცნობდა სტიქიონს, ეს ქარი ღრმა და ჩუმი შვებით მიიღო. თავი უკან გადაუვარდა. გაეცინა.

შორით ესმოდა ხმაური წვიმისა, რომელიც ახლოვდებოდა და ურტყამდა თვალუწვდენი, განაბული მიწის საფარველს. და, აი, ხეებს თავს დ.ატყდა თქეში და მთელი სახლი ახმაურდა მისი დარტყმებისაგან.

ნებუმ შვაბრა მოისროლა და ხელები ფართოდ გაშალა. ბნელსა და წყლით სავსე უდაბნოში, რადაც გადაქცეულიყო იმ წუთას მისი ქვეყანა, გაიჭრა ნებუს ომახიანი სიცილი. და უეცრად დადგა დღესასწაული, რომელსაც სომალიელთა, მასაის თუ კიკუიუს საუკეთესო მოცეკვავეც ვერ მოიგონებდა. თქეში დოლს აბრახუნებდა, ქარის ნაღარა ბღაოდა, და, თუმცა ნებუ ამ ზეიმზე ერთადერთი მოცეკვავე იყო, მასში განსახიერდა ყველა ტომი, დაწყებული ეთიოპიისა და უგანდას საზღვრებიდან, ვიდრე კილიმანჯაროს დიდებულ მთამდე და ამ მთის იქითაც მცხოვრები.

წვიმის დოლის ხმაზე მროკავი ზანგი ძალ-ღონით აღსავსე და სასწაულებრივად მოქნილი იყო. მის შიშველ სხეულს ქარი კი არ ელამუნებოდა, ის მშვენიერი ქალიშვილი იყო, უხუცესებმა რომ შეურჩიეს ნახევრადდავიწყებულ სიმწიფის დღესასწაულზე, როდესაც ნებუმ პირველად დაამტკიცა თავისი დაკაცება. სარკმლის იქით სიხარულით ოხრავდა წვიმის მკლავებში გათანგული დედამიწა. ღრმულებს ავსებდა, ბორცვებს ეკვეთებოდა წვიმა. ხეები ძირფესვიანად წყლით იქღინთებოდა.

ცეკვავდა ახოვანი, ვიწროთეძოებიანი, კანჭმაგარი, ბეჭებკანიერი ნებუ. მხარ-ბეჭი ისე უბრწყინავდა, როგორც ძველი ღვინო ბრწყინავს ხოლმე მკრთალ სინათლეზე. მის ნარნარ მოძრაობას ვეფხის შიშისმომგვრელი იერი შეეპარა. კაცი იფიქრებდა, ამ ოთახზე თავის უფლებებს აცხადებსო: ზეწრებს ხელს უსვამდა, ტუალეტის მაგიდაზე მდგარ სამშვენისებს, სკამის საზურგეზე გადაკიდებულ მაქმანიან საგნებს თითის წვერებით ეხებოდა. და უცებ ოცნებებმა დასტოვეს ნებუ. იგი შებრუნდა და მისი თვალები ქალის თვალებს შეხვდა.

ქალი წვიმაში მოაჭენებდა ცხენს. სველი კაბა სხეულს ჭიდროდ შემოტმასნოდა; ნებუ ხედავდა გრძელსა და მაგარ

ფეხებს, ლავიწის ღრმულებსა და ბაბილონივით ზვიად მკერდს. მსაბუს დასველებული და მოჩვარული ფეტრის ქუდი ეჭირა ხელში. წყლის წვეთებით დამძიმებული ბრინჯაოსფერი თმა მხრებზე ჩამოშლოდა. ნახტომისათვის გამზადებულ კატასავით უკან გადახრილი. ზანგი სიჭაბუკის ნამდვილი განსახიერება იყო. მსაბუმ ენის წვერით აილოკა ბაგეზე შერჩენილი წვიმის წვეთი.

*

* *

ფერდობი უფრო და უფრო ციცაბოვდებოდა. ნებუ მთიელივით მიდიოდა, ფეხებს განივრად იქნევდა. ამგვარად სიარული დაძაბვას არ მოითხოვდა, ძალას უნარჩუნებდა. პლატოზე ასული ისევ სირბილით გაეშურა. ჩანთიდან გუავის ნაყოფი ამოიღო, გახლიჩა და ლებნები ხელისგულებში მოიქცია, რათა შეუჩერებლად გამოეწუწნა.

სახვალიოდ უკვე უნდა დასწეოდა თეთრკანიანს. თეთრკანიანი ჯუნგლებში ნამდვილი ბალღია—გზის გასაგნებად კომპასს ხმარობს, მაშინ როცა ყველაზე გამოშტერებული თხაც კი არ დაკარგავს თავისი ბაკის გზას, რაც უნდა შორს იყოს ტყეში შესული. თეთრკანიანის დასჯა თუ გინდა, ჯუნგლებში უნდა შეიყვანო და უკომპასოდ დატოვო. ნამდვილად დაიღუპება. ისევე როგორც შავკანიანი, რომელსაც ქალაქში შეიტყუებენ ხოლმე და მყრალ ქუჩებში თავგზააბნეული ჯუნგლის გზას ვეღარ აგნებს. მაგრამ ეს თეთრკანიანი მას ეკუთვნის; ხვალ ის ძალიან კარგი შესახედავი იქნება. ასეთია მისი წერა.

ყოვლადძლიერის შვილთა ცხოვრებას, ისევე როგორც ნიერის მთაგრეხილისას, ბედისწერა განსაზღვრავს. მთის უდიდესი იყო ნიერის გრიგალი. ზათქითა და გრიალით მოარღვევდა თავის გზას. მაგრამ მისი ძალა ცარიელი ხუმრობა ყოფილა — დაილია, გაჰქრა, დაიკარგა. კბილებით ოცი სახლის ოდენა ლოდებს ეჭიდებოდა, მთელ სოფლებს აღგვიდა პირისაგან მიწისა. მაგრამ იბობოქრა, იბობოქრა და ზღვაში

ჩაიღუპა. ასეთი იყო მისი წერა. ადამიანთა ამბავიც ასეა.

ქალებს აქვთ სიბრძნე მიწისა, რომელიც ზრდის ჩირგვსაც და თავმოთნე ფიჭვსაც, ლომსაც და კრავსაც. ზრდის და არა-სოდეს არაფერს ზარალობს. ლომი ჭამს კრავს, კრავი ბალახის მძოველია, ბალახი კი, ბოლოს და ბოლოს, ლომის შთანმთქმელი. მამაკაცები ყოველ ღამით უგმერენ ქალებს, მაგრამ ქალნი თავიანთ ჭრილობებს სიცოცხლით, მომავლის აღმონაცენით აღავსებენ. ეს ქვეყანა, მისი აფრიკა, ნამდვილი ქალია: შეხედე, რა ჩქარა ამოიზრდება ბალახი წვიმით ჩამორეცხილ ნაპრალებში!

*

* *

ახლაც ნათლად ახსოვს, როგორ ებრძოდა მსაბუ შიშს და როგორ ესიტყვებოდა მას თავისი სხეულის ბარაქიან ენაზე. ახსოვს გაუბედავი მოძრაობა მისი მკლავებისა, რომლებმაც ინდენი რამ მიუბოძეს. ეს ის დრო იყო, როცა ბომბასაში, არაბ დამპყრობელთაგან ოდესღაც გაყვანილ ვიწრო, მოკირწყლულ ქუჩებში, ზანგ პოლისმენებს ნახევრად წალეკილი სკოლის შენობებიდან გამოჰყავდათ ინგლისელ ჯარისკაცთა გადარჩენილი ბავშვები.

IV

„ეს ლოყებღაჟღაჟა ნამდვილი ბრიყვია, და ლოყაწითლები ყველანი ბრიყვები არიან“, — ესიტყვებოდა მეორე დილით თავისთავს ნებუ. მირბოდა ნებუ — მაღალი, ახოვანი, სოლისებური აღნაგობის მქონე. მისი ფეხები მაკრატლის პირებივით კვეთდა ჰაერს. ლურჯდაკრული შავი ფერის სხეული ჯან-ღონეს აღევსო, სახე ნიღაბივით გულცივად გამოიყურებოდა. კარგა ხანია გაეძრო მეზღვაურის კურტაკი, სახელოები წელზე შემოეკრა და ახლა კურტაკი შოტლანდიელის იუბკასავით ეფართხუნებოდა თეძოებზე.

ნებუ კარგად იყო გამოძინებული. წუხელ უკვამლო კო-

ცონზე გავარვარებულ ქვებში შემწვარი კურდღლით ივახშმა. მერე წაქცეული ხის ფუღუროში მოიკალათა. ინათა თუ არა, გამოეღვიძა და კვალს აედევნა. მზე ამოდიოდა. ზეცა თვალშეუდგამი იყო და ლურჯი, ხეთა წვეროკინები ბრწყინავდა. გუშინ გაცივებულ კვალს ავყევი, დღეს უკვე თბილ კვალს მივსდევო, — ფიქრობდა თავისი სიმარჯვით გაამაყებული. ხვალ კვალი ფეხისგულებსაც დაუწვავდა. ყველაფერი იმას მოწმობდა, რომ თეთრკანიანი ნელა მიდიოდა.

მიწა არის წიგნი, რომლითაც კითხვას სწავლობს კაცი.

ეს წიგნი ყოველივეს მოგვითხრობს ადამიანთა, ცხოველთა, ფრინველთა, მთვარის გზისა და ხეთა აღნაგობის გამო.

და მხოლოდ მაშინ, როდესაც წვრილად შეიტყობ ტყეში მობინადრე ტომთა დახვანჯული ბილიკების ამბავს, მხოლოდ მაშინ შეძლებ ბილიკები გააფართოვო, ზედ ბეტონი დააგო და ბენზინის წერტები მოაწყო.

*
* *

„ყველა ლოყებლაჟღაჟა ბრიყვია, — ესიტყვებოდა თავისთავს გაჩქარებული ზანგი. — ისინი მოდიან, დასცინიან ჩვენს ღმერთს და გვეუბნებიან — რას აბრახუნებთ მაგ დოლებს კერპთა წინაშე, დიდი ხანია აღარაფერი ესმითო თქვენი. შემდეგ მათ მოაქვთ თავიანთი ღმერთი, რომელსაც საკმეველს უკმევენ და სანთლებს უნთებენ. ისინი ისევე ცოტანი არიან, როგორც პეშვით მოხვეტილი კენჭები. და მაინც გვეუბნებიან ჩვენ, კილინდინის ქვიშის მარცვლებზე უმრავლესთ: „იჯექი შენს ადგილზე, ვიდრე ყავის პლანტაციაში წაუყვანიხართ!“ და მაინც ამგვარ ბრიყვებს თავიანთი თავი ჩვენი ქვეყნის ბატონ-პატრონებად მიაჩნიათ.

ყოვლადძლიერო, გრძელი დანები მოგვეც ჩვენ!“

ნებუ მისდევდა ვიწრო ბილიკს, რომელიც მის უნიათო ბისხვერპლს გაეკვლია დაჭაობებულ ლერწმოვანში. თვალებში სისასტიკე ჩაჰგუბებოდა.

„ალპათ ჩასუქებული და მძიმედ მსუნთქავი კაცია. ტყავის ფეხსაცმელი მოსავს და ზურგჩანთაში სარდინის ქილები აქვს ჩაწყობილი...“ მაგრამ თეთრკანიანის ქონება მას პატივისცემასაც აღუძრავდა, რადგან შაშხანა თეთრკანიანს ეკუთვნოდა. ნებუ გაამაყდება, თავის მსხვერპლს რომ მოკლავს. სიმღერასაც შეთხზავს თავისი გმირობის გამო და სიბერეში შვილიშვილებს უმღერებს ხოლმე ამ სიმღერას.

მაგრამ ნებუ არ იამაყებდა, ბვანა გიბსონის მოკვლა რომ დასჭირვებოდა, რადგან ერთხელ ბოროტი უყო ამ თეთრკანიანს. შემდგომში მსაბუს აღარასოდეს გაჰკარებია.

მაგრამ ქალი მრისხანებანარევი სინაზით მოაგონებდა თავისთავს და ნებუ მზად იყო, ამ თეთრკანიანი ქალის გულისათვის ლომებს შეჰბმოდა უიარაღო. მას გაუჩნდა კადნიერი აზრი — მზეს ყველაზე მცირე ყვავილი უყვარსო, ზოგჯერ ბარდნარს ჩაეფინება და ნათელი ხელით უალერსებსო ამ ყვავილს.

ერთ დილას სასადილოში შესულმა ბვანა გიბსონმა დაინახა, რომ ნებუ ქალის ჭურჭელთან ყვავილიან ვაზას დგამდა. ვაზას მოხვეული შავი თითების მოძრაობაში იყო რაღაც ისეთი, რამაც ბვანას სული აუმღვრია. მან ყვავილი იქით გადადგა, ბრაზმორეულმა გაიცინა და ცოლს უთხრა:

— შენ თუ იცი, რომ ეს შავი ბიჭი შენზე შეყვარებულია, ედიტ! ერთი შეხედე, თავს როგორ გევლება.

— ვიცი, — მშვიდად მიუგო ქალმა.

ბვანა გიბსონს ისღა დარჩენოდა, საუზმეს შესდგომოდა და ჩაედუდღუნებინა:

— ფრთხილად იყავი მაგათთან. რაღაც საძაგელი ხმები დადის ნაირობში, ვითომ ტერორისტული ბანდის მაგვარი რაღაცაო.

დიდი დრო გამოხდა და ნებუს შესახებ სიტყვაც აღარ დასცდენიათ. იმიტომ, რომ ყველანი ნაირობში მომხდარი ამბებით იყვნენ შეშფოთებულნი. სიტყვა აღარ უთქვამთ იმ ღამემდე, როდესაც მოვარდნილ ქარიშხალში მოთქვამდნენ კედ-

რები, წაბლები და ზეთისხილის ხეები, მოთქვამდნენ და მიწას ენარცხებოდნენ წელში გადატეხილნი, როდესაც ნაგზაურებზე მდინარეები ბობოქრობდნენ, როდესაც ბვანა გიბსონი ჭკუიდან შეიშალა.

*

* *

ნებუ მიწას შეეზარდა, აღარ განძრეულა. მისმა თითებმა პანგა ჩაბღუჯეს. კლდის ქიმიდან მინდორზე ლეოპარდმა ისკუპა. კვალს გამოყოლილი მხეცი გვერდულად იდგა, თავი ნებუსკენ მოექცია. ხელისგულში სულჩადგმული დანა სუნთქავდა. ნებუ მოზიდული მშვილდივით დაძაბულიყო. ლეოპარდი ყვითელ თვალებს არ აშორებდა და ნელ-ნელა აჩენდა კბილებს. გამყინველი მზერით მისჩერებოდა მხეცი, მძიმე კუდს ნელიად ატლაშუნებდა. ნებუს სუნთქვა შეეკრა, როცა თავში გაუელვა — ჩემი სახის ნაკვთებს ათვალიერებსო ლეოპარდი. უეცრად მხეცმა შამბნარში ისკუპა. ჭირვეული და მკაცრი იყო მისი მოძრაობა. გზა გაიხსნა, ნებუმ შვებით ამოისუნთქა.

ლეოპარდის ულმობელმა დრუნჩმა მას საოცრად მოაგონა ბვანა გიბსონი. ამგვარი იყო გამხეცებული ბვანა, როდესაც ღრიალებდა და მშობიარობით ქანცმილეულ მსაბუს ურტყამდა მშვენიერ სახეში. ნებუ იდგა თავსხმა წვიმაში და ღრიჭედ ღარჩენილი ფარდებიდან უყურებდა ამ ამბავს.

*

* *

შუადღეს გადაცილებული იყო, მაგრამ მაღლა მთებში გრილოდა. ქარი შიშველ თხემზე წამოეწია ნებუს და მეზღვაურის კურტაკი ხელახლა ჩააცმევინა. შალმა მხრები გაუთბო. მთელ დღეს მირბოდა იგი, წყაროს წყლით იკლავდა წყურვილს. მოუსვენრობის ცეცხლი შემოგზნებოდა გულზე. გრძნობდა თეთრკანიანის სიახლოვეს. ნებუ მას ხვალ დაეწევა, იქნებ დღესაც შეძლოს დაწევა, იმიტომ რომ თეთრკანიანი ძროხასავით ზანტი ყოფილა.

ცხადია, კაცის მოსაკლავად მიიჩქაროდა ოღონდ თავად

სხვა აზრის იყო ამ ამბავზე. მისი ფიქრით საშიშ მხეცკაცს იყო ადევნებული, ისეთ მხეცს, რომელსაც საქარო მხრიდან ვერ მიეპარები. რადგან მან არც საქარო მხარე იცის და არც უქარო — იგი შაშხანის მფლობელია, ხეს ეფარება და ერთი მილის სიშორიდან სულს გაფრთხობინებს. შენ შეგიძლია ისე შეიძულო შაშხანის მფლობელი, როგორც ლომსაც არ შეიძულებდი, იმიტომ რომ ლომს არ ეზიზღება შენი ადათ-წესები და არც დასცინის მათ. ლომს ისიც კი სურს, მხარე ისე გაინაწილოთ, რომ შენ დღე გერგოს, ხოლო მას ღამე დარჩეს საუფლოდ.

ნებუმ მარჯვენა ტერფი გაიჭრა ხავსში ჩამალულ ქვაზე და ახლა ყურს უგდებდა დაჭრილი ფეხის ჩივილს. მისი სხეული იყო იარაღი, რომელიც ამ დღეებში ყოველნაირად გამოიყენა, ამიტომ ჭრილობა შესაძლოა სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა. საქმე მარტო ის კი არ იყო, რომ მტრის კვალს კოჭლობით მიყოლა სახიფათო ამბავია; ნებუ იმაზეც ფიქრობდა, როგორ დაუბრუნდებოდა თავისი ნადავლით კოკოს ბანაკს. საიმდროოდ იგი ალვის ხესავით უნდა იყოს გამართული. გენერალ კოკოს ერთ რამედ მიაჩნდა კარგად სიარული. კოკო დიდხანს იყო თეთრკანიანთა ქალაქებში ნაცხოვრები და ამბობდა — იქ შავკანიანები წელში მოხრილნი, ქედმოდრეკილნი დადიან, თითქოს ნამდვილად უღლის ღირსნი იყვნენო.

— ჩვენ თეთრკანიანებთან არაფერი გვაქვს საერთო! — ხშირად აბობოქრდებოდა ხოლმე კოკო. — ერთადერთი ის შეგვიძლია, გავალამაზოთ ისინი! ლამაზები კიდევ მხოლოდ მაშინ არიან, როცა მაუ-მაუს ხელით სიკვდილს მოიმკიან.

კოკო იმასაც ამბობდა:

— ძმებო, როცა ისინი არ გამცირებენ, მაშინ დაგცინიან მაინც, ძმებო! ჰოდა, განა ჟირაფები ხართ ან მაიმუნები, რომ ისინი დაგცინოდნენ?

ერთხელ ნებუმ მოზრდილთა სკოლა მოინახულა კიამბუში. ტომების უხუცესნი თეთრი მასწავლებლის წიგნში დამარცვლით კითხულობდნენ სიტყვებს, ხოლო სარკმლის იქით მდგარი ახალგაზრდა თეთრკანიანი ზედამხედველნი მასხრად

იგდებდნენ მათ. მაშინ ნებუს მოაგონდა, როგორ წყაროსავით მორაკრაკებდა ამ უხუცესთა პირში სიტყვები ტომთა საქმეების გამო ბჭობის დროს: მათი სიტყვები ქარი იყო, უმაღლესი ფიქვების წვეროკინებს რომ არხევდა, ანდა ქუხილი, წვიმების ალოს დადგომისას რომ გრგვინავდა, ან კიდევ გაზაფხულის დღესასწაულის უტკბილესი სიმღერა იყო მათი სიტყვები. და როდესაც ნებუმ ხელახლა შეჰხედა ახალგაზრდა ზედამხედველებს, შურისძიების, წამებით სულის ამოხდის, მკვლელობის სურვილი აკიაფდა მის თვალებში.

„ვის უნახავს ჩვენი ქვეყანა განთიადისას
კოლინდინიდან თეთრი თოვლის მხარემდე? —

მღეროდნენ ნებუს ნერვები და ძარღვები. —

ყოვლადძლიერო, გრძელი დანები მოგვეც ჩვენ!“

*

* *

საღამოჟამს, როცა ტყის წვრილფეხა მკვიდრნი დიდ-დიდ მტაცებელთა გამოჩენის შიშით დამალვად ეშურებოდნენ, ირემი მოკლა ნებუმ. თეთრკანიანის მიერ გავლილ მინდორზე გამოათრია, აკაციის ხესთან მოიკალათა და გატყავებას შეუდგა. მეხდაცემულივით გაშეშდა, როცა თავის წინაშე დაინახა ის, რაც მისმა თვალებმა იხილეს.

გათელილ ფოთლებსა და დატეხილ ჯოყრებს შორის, მისი მსხვერპლის უთავბოლო გზას რომ აღნიშნავდნენ, ნებუმ ნათლად გაარჩია ფეხსაცმლის კვალი, ქალის ფეხსაცმლის კვალი. ფეხსაცმელი სველ ფოთოლზე დამსხლტარა და მიწაზე მკვეთრად აღბეჭდილა. მაგრამ ზანგისათვის თითქოს მეხი გავარდნილიყოს.

„თვალებო! — უხმოდ ამოიგმინა ნებუმ. — ჩემო თვალებო, სად იყავით გუშინდელს აქეთ? როგორ ვერ იგრძნო ჩემმა ყნოსვამ ვერც ერთი სურნელი, რომლებშიაც თეთრკანიანთა ქალები ბანაობენ?“

სირცხვილეული, დაჯავრიანებული უჩუმრად საყვედურობდა თავის მხედველობასა და ყნოსვას, რომელთაც ასეროგად გააცურეს ნებუ.

„დამიბრმავდეს თვალები!
ან ჩემი ცხვირი რაღა ოხრად მინდა!“

წელში მოხრილი ჩამომჯდარიყო ფეხსაცმლის კვალთან, რაღაცას ფიქრობდა, და მისი სული მკვდარი იყო უკვე.

*

გამთენიისას, ვიდრე გაცრეცილ ბალახს ნამი შეაშრებოდა, მან დაინახა თეთრი ადამიანი.

V

მან დაინახა თეთრი ადამიანი კუნელის ბუჩქებს იქით, სადაც ბოლი ამოდიოდა. თეთრკანიანი მდინარის პირას გაჩერებულიყო ღამის სათევად, იმ მდინარისა, აურაცხელ ქვაზე რომ მოქშუოდა. ადვილი საქმე არაა ასეთი მდინარის დაშოშმინება. მაგრამ ბუჩქებს იქით დაბინავებული კაცი ნამდვილი ბალღი იყო, შაშხანის მფლობელი ლოყებღაჟღაჟა ბალღი. აბა სხვა ვინ გაჩერდებოდა ღამის სათევად ბობოქარ მდინარესთან, რომლის ხმაური იფარავს მოახლოებულ მტერს?

კიკუიუ კვალს ძალიან ადრე აედევნა და გათენებისთანავე წაადგა თეთრკანიანის სამყოფელს. ნახტომისათვის გამზადებული ახლოს მიცოცდა, მაგრამ მოისაზრა, რომ ყველაზე დოყლაპია თეთრკანიანიც კი საშიშია, თუკი ხელთ შაშხანა უპყრია. ამ ამბავმა საგონებელში ჩააგდო, მაგრამ იმავე წამს მოაგონდა, რაოდენ სულელი იყო ეს თეთრკანიანი, გზას რომ ქალთან ერთად დასდგომოდა, და მის თავში კვლავ გახმიანდა მძიმე სიცილი. აბა ერთი გაუსწორდეს თეთრი! ბალახში გაცოცდა და თეთრკანიანის ბანაკს რომ ჩასცდა, შეჩერდა.

დადგა მოლოდინის დრო. ხოლო ნებუს ისეთივე შემზარავი მოთმინება ჰქონდა, როგორც მთელ მის ქვეყანას, სადაც მტაცებელი ცხოველები აჩრდილებივით ელოდებიან მსხვერპლს, სადაც დაჩეხილი ხეები ტყისმჭრელთა წასვლას ელოდებიან, რათა ხელახლა გაიფურჩქნონ.

მისი ლოყა მიწაზე მდებარე შვიდფუტიან შუბს დაყრდნობოდა. პანგა ქარქაშიდან ამოეღო. კუნთები მშვიდად ისვენებ-

დნენ. მხოლოდ მის ტვინში კვლავ მოძრაობდა დაწყვეტილი ფიქრები.

„კოკო ახლა კითხულობს: „ბევრი დაგვიხოცეს დაგორეტ-ში? რამდენი მოიკლა ნდრობოში? ჩიპალუნგუში? ნაი-რობში?“

როგორ შეიძლება ცხვრის მოშენება ჩვენს უმიწაწყლო დროში, როცა წვიმები სულ უფრო ხშირად მთებისკენ მი-დიან?

როდის უფრო ლამაზად ჰყვავის ყვითელი ბამბუკი — გა-ზაფხულზე თუ შემოდგომაზე? სახლები ბამბუკისაგან უნდა აიგოს და ღვიით გადაიხუროს. მაშინ კაცი ღრმად დაიძინებს და მის ყნოსვას სურნელი დაატკბობს“.

ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფიქრი მოსდიოდა მხოლოდ.

უქარო დილა იყო, ნისლი არ იფანტებოდა. მაგრამ მზე მაღლა მოიწევდა და ხეთა წვეროკინებთან უკვე დღე ბრწყინ-ვალებდა. მზის შუქი მომძლავრდა და ნისლი ბოლქვა-ბოლქვა აიკრიფა. თეთრკანიანი მგზავრი უეჭველად გაიღვიძებდა, ალ-ბათ რაღაცას საქმიანობს.

„მაგრამ იქნებ ცოლს ჩახვეული ნადირობს?“ — გაიფიქ-რა ნებუმ. ასე იყო ნგონგის მთებში, როცა ბვანა გიბსონი თა-ვის ახალგაზრდა ცოლთან ერთად მიემგზავრებოდა. უკვე დი-დი ხნის გათენებული იყო, მაგრამ კარვის კარი არ იხსნებო-და და ახლოს რომ მისულიყავი, მათს მძიმე სუნთქვას გაიგო-ნებდი. ნებუ შებრუნდებოდა ხოლმე, როდესაც სახეწამოწით-ლებული, დაქანცული და გულჯავრიანი ბვანა კარვიდან გა-მოძვრებოდა; შემდეგ გამოჩნდებოდა მსაბუ, რომლის თვა-ლები ასეთ წუთებში ნიამორის თვალებსაც მოგაგონებდათ და კატისასაც.

როცა ცეცხლიდან ყავადანი ჩამოდგეს, კუნელს იქით კვამლის სვეტი წამოიმართა. ახლა ქალი ყავას უსხამს ბა-ტონს. ისინი გვერდიგვერდ ჩამოსხდებიან და ხელისგულე-ბით ფინჯანს მიეფერებიან. მიწას განრთხმული იწვა აფრიკე-ლი და უსმენდა მიწაში მოგუგუნე ძველთაძველ ჰიმნებს. მრგვალ ქვაზე ჭრიჭინა აჭრიჭინდა, გაისმა ხაჭუნი ხოჭოს

ძვლოვანი ფრთებისა. ბალახში რომელიღაც მწერი ბიცოცავდა და ბალახის ღეროები მოუთმენლად ელოდნენ, როდის ეღირსებოდათ ხელახლა წელში გამართვა. მას ჰქონდა მძლავრი მშვილდი, ხარის ძარღვებით დაჭიმული, მაგრამ ამჯერად დანა ერჩია. ისრები სტვენით მიფრინავენ და აფრთხილებენ მოწინააღმდეგეს. თეთრკანიანთა შაშხანები არასოდეს არ გაფრთხილებენ ხოლმე.

მისი ქვეყნის ყველა დიდი მონადირე მსხვერპლს წინასწარ აფრთხილებს. მხოლოდ თეთრი ადამიანი და ლეოპარდი არ იქცევიან ასე. ო, შეხედე! ტყეში ქარი შეიჭრება, ცა ღრუბლებით იფარება და ელვას აკვესებს. გარეულმა ტახმა იცის, რომ, როდესაც ხეებქვეშ ჩრდილები გამუქდება, ლომი სანადიროდ გამოდის. მიწამ ზუსტად იცის, რომელ თვეში ჩააფრინდება კბილებით წვიმახშირობა. მაგრამ ბვანები წარბშეუხრელად იტაცებენ მიწის უზარმაზარ ნაკვეთებს, რომლებსაც ერთ დღეში ვერც კი შემოუვლი. ლეოპარდის მსგავსად ბვანაც წვრილფეხა მტაცებელია: მას არც ჯუნგლების მეფე ეთქმის და არც სავანებისა. ბვანა საფარიდან ესხმის თავს მოწინააღმდეგეს, დაჭრილებსა და დაძაბუნებულებს ასალმებს სიცოცხლეს. „ბვანები სხვა ქვეყნებიდან გადმოიხვეწენ და ახლა თავი მოაქვთ იმ ქვეყნების სიმდიდრით. რატომ არ ბრუნდებიან უკან და არ გვიტოვებენ ჩვენს მხარეს, რომელსაც შეურაცხყოფენ და დასცინიან?“

ყოველივე ამის შესახებ ფიქრობდა ნებუ. იმ წუთას სიძულვილისათვის არ ეცალა — ერთობ რთული საფიქრალი გასჩენოდა. ეს იყო ტრაგედია იმდენად მარტივი ჭეშმარიტებისა, რომ მხოლოდ წმიდანთ შეეძლოთ ამ ჭეშმარიტების მიკვლევა და მისით ცხოვრება. ხოლო მის იქითაც და აქეთაც ცოდვილნი სუფევდნენ.

VI

და ყოვლადძლიერმა ისე ინება, რომ ლოყაწითელი მუცელს შეეწუხებინა, ქალს მოშორებოდა და მდინარისკენ წასულიყო მყუდრო ადგილის მოსაძებნად. გულმოსული

გოჭივით ბუზღუნებდა, მიდიოდა და რბილ სილაში კოჭებამდე ეფლობოდა. ბალახებში ჩამალულ ნებუს ესმოდა მისი მოახლოება; სიკვდილის სიმღერა ხმიანებდა მის არსებაში; ეეება სხეული მიწას ეკვროდა და თრთოდა, რადგან მიწა ამცნობდა გათელილი ბალახის ოხვრას, ქვიშის შრიალს, შეშფოთებულ მწერთა ზუზუნს — ახლოვდებოდა დრო, როდესაც უნდა წამომართულიყო და მოეკლა თეთრი ადამიანი.

ნებუ კითხულობდა ბვანას მოახლოების მოთხრობას და ამავე მოთხრობას უმეორებდა ფეხის დაჭიმულ კუნთებსა და დაბღუჯულ ხელს. „მსუქანი ღორი მზადაა", — უჩურჩულეს ბოლოს კენჭებმა და ბალახებმა. ზეწამოიჭრა ზანგი და დანიანი ხელი აღმართა. მაგრამ ვიდრე დანას დასცემდა, მთელი წამით შეყოვნდა.

შეყოვნდა იმიტომ, რომ ბვანა, რომელიც ხმამაღლა ითქვამდა სულს, ბვანა, რომელსაც შეშინებული თვალები შუბლზე აუცვინდა, ბვანა გიბსონი იყო.

მთელ საუკუნეს ვერ გაინძრა ნებუ. და ბვანას შაშხანა მანამდე ალაპარაკდა, ვიდრე ზანგი გონს მოვიდოდა. თოფშა იგრიალა, მოქნეული დანა ბვანას მკერდში ჩაერჭო. ნებუ შეტორტმანდა, წაიქცა და მძიმედ დაასკდა მიწას.

„ყოვლადძლიერო, ისმინე ჩემი, — შეჰღრიალა ნებუმ. თეთრკანიანის ნასროლი ტყვია მიზანს მოხვდა, მაგრამ ზანგი მაინც ზეიმობდა. — ყველა ველი ჩვენია, ატის ყველა ველი, კენიას დიდებული მთის ძირას, სადაც თეთრკანიანებმა ქალაქები გააშენეს!

ყველა მთა ჩვენია! ყველა მდინარე! ტყეებიც! ცხოველებიცა!

ჩვენ გვეკუთვნიან ისინი! ჩვენ არ გვინდა სხვა ქვეყანა კიკუიუს გარდა! ვინც ჩვენთან მოდის, ჩვენს წესებს პატივს უნდა სცემდეს, თორემ ისევე მოვსპობთ, როგორც შენ სპობ, ყოვლადძლიერო, იმ ხეებს, რომლებსაც ქედის მოდრეკა არა სურთ შენეული ქარიშხლის წინაშე!"

•
• •

დაჭრილ ფერდზე ხელი ჰქონდა მიჭერილი ნებუს, ისე წამოიჩოქა. ტყვია მეორე მხარეს გასულიყო, ასე რომ ორივე ჭრილობიდან სისხლი მოთქრიალებდა. იგი ცალი ხელით სისხლის შეჩერებას ცდილობდა, მეორეთი კი მიწას ფხოჭნიდა წყლულზე დასაყრელად. მისი სახე ნიღაბივით ცივი იყო; ჭრილობას თვალი მოაშორა და დააცქერდა ბვანას, რომელიც მიწაზე იწვა და ბუტბუტებდა:

— იმ ქალმა... შავი ბიჭი... გაგიჩინა...

ნებუმ იცოდა, რა იყო სიგიჟე. სიგიჟე დაინახა ბვანას ნათელ, წმინდა თვალებში, რომლებიც ტკივილისაგან მოქცეულ სახეს სულ არ ეგუებოდა. ბვანა უაზროდ ებრძოდა პანგას, მაგრამ დანა ღრმად იყო ჩასობილი მკერდში. თეთრკანიანს სახე წამით დაუმშვიდდა, მერმე დაემანჭა, წაუგრძელდა და უცებ მოულბა. „მე გავალამაზე ბვანა“, — ამაყად გაიფიქრა ნებუმ.

— დიაცის იდიოტური ჟინი... იდიოტური ჟინი! — ღვარძლიანად წამოიყვირა ბვანამ.

„მომაკვდავი ადამიანი მშვიდობის სიმღერას უნდა ამბობდეს, — ფიქრობდა კიკუიუ, — ისე როგორც მოზარდი ნერგი, რომელიც ქარის მობერვაზე წყნარ-წყნარად ჩამოფრიალებულ ფოთოლთა შრიალით გვემშვიდობება. გულგამოქმული და ჭირვეული ბებერი ხე იკრუნჩხება, ხმაურობს და დაცემისას ნორჩ აღმონაცენს ღუპავს. იმას არ უნდა დაემგვანოს კაცი“.

— ...იმას... პატარა მაიმუნს... შენი ამბავი ვუთხარი... მისი შემქმნელის... შავი გორილას ამბავი... სწორედ ჯუნგლებში შემოყვანამდე ვუთხარი... ხა-ხა!.. ერთი გენახა... იმის სიფათი!..

ისევ მოექცა სახე ბვანას. ნებუ შეინძრა და იმავე წამს ტკივილმა იფეთქა ფერდში. დაჰყურებდა მომაკვდავს და სახე ნიღაბივით ცივი ჰქონდა. შეიცადა, ვიდრე ტკივილი გაუყუჩდებოდა. მუცელსა და თეძოებში ძალას იკრებდა, თან იმაზე ფიქრობდა — ფეხზე წამოვდგები, ბვანას სულთაბრძო-

ლას ისე უნდა ვუყურო. გიბსონმა თვალები დახუჭა, სახე ტანჯული ჰქონდა, სიკვდილი ახლოვდებოდა. ზანგმა სიღრმეში ჩაჰხედა ბვანას და დაინახა, როგორ ნთქავდა მის გულსა და ტვინს ტკივილის შავბნელი ტალღები. მოქცევა იწყებოდა და ბვანას წელს მოჯარულ სიცხეს სიცივე ცვლიდა. ყოვლად ძლიერი რამ არის ტკივილი. ტკივილისაგან ხალხი ისე იგრიხება ხოლმე, მათი შემხედვარე ქვებსაც ეცინებათ. ბვანამ დაიგმინა და მოიკრუნჩხა. სისხლმა ერთბაშად შეუღება მკერდი, ტუჩებზეც გადმოხეთქა.

— ნებუ, შავო გორილა!.. — შეჰყვირა მან. — შენი შვილი... მოვიყვანე ჯუნგლებში... ნახოს, როგორ ამოსძვრება სული მამამისს!.. ნახოს! მერე... მე... მერე ყელს გამოვჭრი!..

ბვანას კეთილშობილება არ გააჩნდა. სულთმობრძავი ბვანა გიბსონი უფრო და უფრო საზიზღარი ხდებოდა. ენის ძირთან მწარე წყლები დაუგროვდა და მათ ადგილი აღარ დატოვეს მშვიდობის ტკბილი სიმღერისათვის. მისი ნათქვამის მოსმენა კაცს გულს შეუღონებდა.

ნებუ კი გულცივი ნიღაბით ფარავდა თავის გრძნობებს და უხმოდ უმღეროდა გიბსონს სიკვდილის საგალობელს. თეთრი ადამიანი ყელში ძვალგაჩხირული ძაღლივით კვდებოდა — გატანჯული და გაწვალებული; თან კვნესოდა, წრიალებდა, თითქოს ნებუს მსგავსად ფეხზე წამოდგომა უნდაო. კიკუიუს აზრად მოუვიდა შუბის დარტყმით შეემსუბუქებინა მომაკვდავის ტანჯვა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა; ის უამბობს გენერალ კოკოს, როგორ ლამაზდებოდა მისი ბვანა. ღრმად ამოისუნთქა. ტკივილი გამქრალიყო. გიბსონმა მილულული თვალები გაახილა და ნებუს დააშტერდა.

— მიყურე... შავტუხა ღორო... მიყურე, — წყნარად თქვა ბან. — ნახე, როგორ კვდება... თეთრი ადამიანი... ხომ ვერ შესძელი ჩემი დამცირება!..

„მაგრამ შენც ვერ შესძლებდი ჩემს დამცირებას, — გაიფიქრა ნებუმ. მისი შავად მოელვარე, ულმობელი თვალები ნაკვერჩხლებივით ისარკებოდა სულთმობრძავის სახეზე. — როგორ ვერ გაუგიათ ეს ამბავი თეთრკანიანებს?“

ეკვი არ იყო, ბვანა უფალს ჰბარდებოდა. კრუნჩხვა შეუ-ჩერდა. მოსისხლიანებული მიწა კარი იყო და ამ კარს უკაკუ-ნებდნენ ბვანას თითები.

„თეთრკანიანებს არაფრის გაგება არ შეუძლიათ!“—წყრო-მით შეჰყვირა აფრიკელის სულმა. ნებუ სწრაფად დაიხარა და დანა ამოაძრო ჭრილობიდან.

ბვანა გიბსონისათვის წუთისოფელი დასრულდა ტკივი-ლის ნაკადით, რომელმაც მისი განწირული სხეული დანასთან ერთად ზემოთ ააქანა.

ნებუ ნელა დასწვდა შაშხანას. იგი მის ხელთ იყო. ცივი ლულა ნამს დაეფარა. ახლაღა გაახსენდა ქალი. შეტრიალდა სადგომის მოსაძებნად და უცებ ბავშვი დაინახა.

VII

ნებუ თავით ფეხებამდე შეიარაღებული იყო. მარცხენა ხელში სხვისი იარაღი — შაშხანა ეპყრა; მარჯვენათი პანგა, შუბი და მშვილდი ჩაებღუჯა. მან შემართა იარაღით დახუნ-ძლული ხელები და ასე იარაღის ჯებირის გაღმა-გამოღმიდან უკვრეტდნენ ისინი ერთიმეორეს. ჯიშიან ხისგვარად ტან-ამოლტილი ზანგი გამართული, ფეხიფეხზე მიდგმული ასვე-ტილიყო. ბიჭი წელში მოხრილი იყო, ცალი მხარი მეორეზე მაღალი ჰქონდა.

„ქალი არსად ყოფილა“, — ჩაილაპარაკეს ნებუს შეცბუ-ნებულმა თვალებმა. მან ბიჭი აათვალიერა და დასახიჩრებულ ფეხს ჰკიდა თვალი. პატარა ფეხსაცმლის მიწაზე აღბეჭდილმა ქუსლმა ნებუს აფიქრებინა — ჩემს წინ თეთრკანიანი ქალი მიდისო. ახლა მის თვალებს რცხვენოდათ თავიანთი შეცდო-მისა.

„ჩემს შვილს ერთი ფეხი აქვს მხოლოდ, მეორე ფეხი ტო-ტივით მოგრეხია“. უშვერი სიცილი გახმიანდა მის არსებაში. ყური მოჰკრა ნებუმ. სიცილი შეწყდა.

ბიჭი გამხდარი იყო, ფაქიზი, უფერული. წაბლისფერი თმა კვამლის რგოლებივით ხვეული ჰქონდა. ნებუსთვის თვალი არ მოუშორებია; სისხლით გაწითლებულ მიწასაც კი არ დაჰხე-

და. ზანგმა შეიარაღებული ხელები დაუშვა და როგორც სწორი სწორთან, ისე წარდგა ბიჭის წინაშე.

— გამარჯობა, — თავაზიანად უთხრა ბიჭმა.

— ბვანა... ე... ე... დაიღალ›, — ვანუმარტა ნებუმ. მან გაჭირვებით ამოღერღა სანახევროდ დავიწყებული უცხო სიტყვები, რომელთა წარმოთქმისას ღიტინს გრძნობდა ხორხის არეში. — ბვანამ... დაიძინა... დიდი ხნით.

— შენ კიკუიუ ხარ? — შეეკითხა ბიჭი.

— სანახევროდ, — მიუგო პირქუშად ნებუმ. — დედაჩემი მასაი იყო.

— სტყუი! — ბიჭი ბვანასნაირად ლაპარაკობდა. ნებუმ გაიფიქრა — ეს ყმაწვილი ნაირობში პოლიციის უფროსად გამოდგებაო. — მასაის ქალები უცხოებს ცოლად არ მიჰყვებიან.

ამ სიტყვებმა ზანგი შეურაცხყო, მაგრამ მოითმინა, იმიტომ რომ ოდესღაც ბოროტი უყო ბვანას, რომელიც ახლა მის ზურგს უკან იწვა ბალახში. და მან მიუგო:

— მამის მხრივ მე მიწის მუშა ვარ, დედის მხრივ — მონადირე. ნაჯვარი ვარ.

— როგორ დგახარ ასე გამართული? — შეეკითხა ბიჭი.— ველოსიპედის ტარება იცი?

„შენ ჯერ ბევრი რამის გაგება მოგიწევს, ნახევრადბვანა, — ფიქრობდა ნებუ. — შენ რომ მწყემსი ყოფილიყავი, მთელი დღეები იდგებოდი ცალ ფეხზე, მეორე ფეხის ტერფიკი მუხლზე გექნებოდა მიბჯენილი. ასე დგომით სიმაღლე მოგემატებოდა და დროზე დაინახავდი შენი საქონლისაკენ ხოხვით მიმავალ ლეოპარდს“. და მან ჰკითხა:

— შენ როგორღა დადიხარ ტყეში მტკივანი ფეხით? ჩიტივით ხიდან ხეზე დაფრინავ?

კმაყოფილ ბიჭს გაეცინა:

— მამაჩემი დამატარებს. მამაჩემი სულელია, მარტის აურდღელივით შექანებული.

დილა მოეძალა იქაურობას. ფრინველები იღვიძებდნენ და თავ-თავიანთი გზით მიფრინავდნენ. ნებუმ ბიჭს ჩაუარა და ბუჩქნარით მდინარისაკენ წავიდა. ეკლიან კუნელს რომ გას-

ცდა, სწორედ იმ ადგილას აღმოჩნდა, სადაც სადგომი მოეწყო ბვანას. ყნოსვას მოსწვდა თეთრკანიანთა სხვადასხვაგვარი სუნი და ნებუს ნესტოები გაუფართოვდა. ქალი არსად იყო.

მიწაზე ეწყო რეზინის ორი საბანი და ზურგჩანთა, ცეცხლის პირას კარდალა იდგა, იქვე იყო ორი კორპის ჩაფხუტი— ერთი დიდი, მეორე მომცრო, აგრეთვე სავაზნე. ეს იყო და ეს. ბიჭი ხტუნვა-ხტუნვით გამოჰყვა ნებუს, ცეცხლის პირას ჩაშოჯდა და მტკივანი ფეხი მუხლზე გადაიდო.

— რატომ მოჰკალი მამაჩემი? — შეეკითხა ნებუს.—შეშლილი რომაა, იმიტომ?

— მამაშენი?

ბიჭს მზერა დაენისლა, მაღალი მხარი უფრო მაღლა აეწია და ლოყას მისწვდა. სული რომ მოითქვა, ბავშვურად გაუღიმა ზანგს. თავისი მოკლე კურტაკის ჯიბეს შეახო ხელი. მისი თვალები ორი თაფლისფერი კარიბჭე იყო, რომელთა მიღმა დიდი თუ მცირე საიდუმლოებანი იმალებოდნენ.

ნებუმ ყოველივე უნდა მოითმინოს, ეს მთავარია. ეს არის კანონი. ბრძოლაში შეგიძლია წარბშეუხრელად მოკლა მტერი. მაგრამ როცა შენგან ერთხელ უკვე სიავექმნილი ადამიანი შემოგაკვდება, საზღაურად უნდა გაიღო — ძროხა, მოზვერი და თორმეტი თხა, ან კიდევ საყვარელი ცოლი. მაგრამ მას არაფერი მოეძევებოდა ბვანა გიბსონის საზღაურად გადასახდელი. მიწა კიკუიუებს აღარ ეკუთვნოდათ. ესეც არ იყოს, ვიღას უნდა უზღოს? ნაირობელ პოლისმენს? ინგლისის დედოფალს? ბვანას არავინ ჰყავდა, ვაჟიშვილიც კი არ ჰყოლია.

— შენ რა... სამოგზაუროდ ხარ წამოსული? — ჰკითხა ნებუმ. — თუ ნადირობ?

— ასე მითხრა — ზანგებზე ვინადირებთო, — იცრუა ბიჭმა. — ნამდვილად აირეკა. თუ გაგიგონია როდისმე, მონადირე მონადირეს ზურგზე მოკიდებულს ატარებდეს?

„შენ რომ გაიზრდები, ჩასმულ კბილებს ატარებ და ფეხშიშველა ივლი, — ნებუ ნათლად ხედავდა ამას, — სანახევროდ თეთრკანიანი ხარ“.

— მე ნებუ ვარ, — თქვა ნებუმ. — შენ რა გქვია?

ბიჭი გაფითრდა:

— შენ... შენ... ნებუ ხარ?

ბიჭი უცებ მოიკუნტა, სახე მაღალ მხარში ჩამალა და ნებუს ქვეშ-ქვეშ გამოჰხედა.

ბოლო ხანებში მას სულ უფრო ხშირად ესმოდა მუსიკა; და ეს საგუბრის ფსკერზე ყრუდ და უღიმღამოდ მოჟღრიალე სიმები კი არ იყო, არამედ მაღალი და წმინდა ზილი, რომელიც პატარა მწყემსების საკრავებიდან მორაკრაკებდა იქ, მთვარის მთათა მწვერვალებზე.

ზანგი დასცქეროდა მას. ბიჭმა თავი უფრო დახარა და ეშმაკურად იჭვრიტებოდა იდაყვს ზემოდან. ამ ზანგმა ყოველწამს შეიძლება შუბზე წამოაგოს, სიფხიზლეა საჭირო. „ფრთხილად!“ — ეწერა ბიჭის თაფლისფერ თვალთა კარიბჭეს მიღმა. და ეს კარიბჭე კვლავ დაიგმანა.

— მამაჩემმა... რამე გითხრა?

— არაფერი უთქვამს, — მშვიდად იცრუა ნებუმ. — ბვანა ძალიან დაღლილი იყო.

ბიჭი ქვეშ-ქვეშ შეჰყურებდა, სწავლობდა მას. მერე წელში გასწორდა და მიაშტერდა:

— მე ახალგაზრდა ბვანა ვარ, დალიე ერთი ფინჯანი ყავა.

— ყავა, — სერიოზულად გაიმეორა ნებუმ და კარდალას შეჰხედა.

„ჩვენ, კიკუიუს ხალხმა, ამ ქვეყნის მიწა გავწმინდეთ, დავხანით და ზედ ყავა მოვიყვანეთ“, — ფიქრობდა იგი, როცა კარდალას ნაკვერჩხლებზე დგამდა.

— თქვენ ნაირობიდან მოხვედით?

— ჰო, ნაირობიდან მოვედით, — დინჯად მიუგო ბიჭმა და მოღრეცილი კიდურის ფეხსაცმელზე სუფთა ლანჩას დაუწყო თვალიერება. — მე მგონია, შენ უფრო მეტ კითხვას იძლევი, ვიდრე შავკანიანს შეეფერება.

ნებუ ბიჭს მიაშტერდა და გვერდზე გაახედვინა.

„ვის უნდა უზღო, როცა მიმღები არავინაა? ან რით უზღავ, როცა ყველა თხა დიდი ხანია დაგიკარგავს? როცა მიმღები არავინაა, მთელ ტომს უზღავენ ხოლმე. ასეთი კანონი

მოქმედებს ხეობებიდან ვიდრე იმ მხარემდე, სადაც მზე კენიას მთას ეფარება. საზღაურად აძლევენ თხებს, ძროხებს ანდა დიაცებს“. საზღაურად სხეული მიიღება — ღაღადებს კანონი, ნებუს კი არ გააჩნდა არავის სხეული, გარდა საკუთარი, ტყვიით გახვრეტილი სხეულისა.

— დალიე ყავა, გენერალო ნებუ, — შესთავაზა ბიჭმა.

ნებუმ ყავა თეთრკანიანის ტოლჩაში ჩაისხა და ხარბად შეუდგა ხვრეპას. ცხელი სითხე ყელს უწვავდა, სურნელებითა და ძალით აღავსებდა.

ბიჭმა შეხედა და გამყივანი ხმით შეუყვირა:

— არა! — და აფრიკელს ტოლჩა ხელიდან გააგდებინა. მერე ჯანსაღი ფეხით მარჯვედ მიუჩოჩა შესქელებული რძის გაცლილი ქილა. — ამით დალიე!

ნებუს კიდევ ჰქონდა იმედი — აზვირთებული მძულვარება დამიცხრებაო. მაგრამ ამ გრძნობამ აიტაცა, დააბრმავა და ძაფრად განაცდევინა თავისი მარტოობა. და მან ხელები წაიღო თავის დამაბრმავებელი უცხო ყმაწვილისაკენ.

— არა! — ისე იწივლა ბიჭმა, ხმა კინაღამ ჩაუწყდა. — ნუ, ნებუ, ნუ!

ყვირილმა იმოქმედა და ნებუს ბიჭის ყელთან გაუშეშა ხელები. მან თვალი ჰკიდა, როგორ ფართხალებდა ყმაწვილის ძარღვი თალხი კანის ქვეშ, როგორ გამოასხა ოფლმა ყელის ძირში. ხელისგულის ერთი გვერდული დარტყმა და ეს არსება ტიკინასავით დაიფშვნებოდა. ზანგი ისევ ჩაცუცქდა, მხრებში მოიხარა.

— ყვავილივით... ბვანას სიგიჟე ყვავილივით გადმოგედება, — ჩაილაპარაკა ბიჭმა, რომელიც კვლავ თრთოდა და თავისი მხსნელი ენა ჯერაც ხეირიანად ვერ დაემორჩილებინა.

— მე დავლევ ბვანას ტოლჩით, — წყნარად თქვა ნებუმ.

თვალთა თაფლისფერი კარიბჭე უხმოდ დაიგმანა: „ნება შენია!“

*

* *

ზანგი წამოდგა, აღმა შეუყვა და მდინარის პირას გავიდა. ფერდის ჭრილობა ხელახლა ალაპარაკდა. ნებუ მძიმედ ითქვამდა სულს და ნელ-ნელა გრძნობას იკრებდა. ჩაყლაპა თა-

ვისი სისუსტითა და სირეგვნით გამოწვეული წყენა, როდესაც ირწმუნა, თითქოს ცრუ ცეცხლი ჭეშმარიტი ცეცხლი ყოფილიყოს, მათრობელი ძალა — ნამდვილი ძალმოსილება, ხოლო თხის შავი კურკლი — შავი ალმასი. ნახევრადბვანამ ვერ მოაღორა ნებუ. მან შენიშნა, როგორ დაიგმანა ბიჭის თვალთა კარიბჭე და მიხვდა — ბიჭი მხოლოდ იმიტომ დამეთანხმა ტოლჩით დალევაზე, რომ ჩემზე სუსტი იყოო. მაგრამ განა მამაკაცს თავისი კარიბჭე დაგმანული არ უნდა ჰქონდეს? ყველა ადამიანი აგებს ჯებირებს წეს-ჩვეულებათაგან და ამ ჯებირებს იქით უცხოს არასოდეს პატიჟებს ხოლმე. დალოცვილ დროს, ძველად, ერთი სომალიელიც ვერ გაბედავდა სასმელი შეესვა კიკუიუს წმიდათა წმიდა სასმისიდან, რომელიც ბოგრის კანისაგან გამოითლებოდა და ზეთისხილის ლანგარზე იდგმებოდა. დალოცვილ დროს, ძველად, როდესაც მეომარნი დოინჯშემოყრილნი დაალაჯებდნენ და თავს იწონებდნენ იმით, რომ ასობით მტერი ჰყავდათ გალამაზებული.

და ნებუმ აპატია ბიჭს.

მდინარე კლდეებს ებრძოდა, მშვიდ ადგილებს სწრაფად ტოვებდა და ქვემოთკენ ეშურებოდა ახალ-ახალ ბრძოლათა გადასახდელად. ნებუ ცეცხლის პირას დაბრუნდა, რათა მშვილდი აეღო და რამე მოეკლა სადილად. მაგრამ უცებ გაახსენდა, რომ ახლა უკვე შაშხანის მფლობელი იყო. შვიდი მილის სიმაღლის გოლიათად წარმოუდგა თავი ზანგს.

VIII

შაშხანა სწორედ ისეთი გამოდგა, ნებუ რომ ოცნებობდა. ოფლით გაპრიალებული კონდახი მხარს მარჯვედ ებჯინებოდა; სამიზნეს რომ გაჰხედავდი, შეგეძლო ცა თანაბარ სეგმენტებად დაგეყო. აი, ფოლადის სარკმელში არწივს მოჰკარი თვალი; უმზირე დიდხანს, რადგან თითის ერთი გამოკვრით შეგიძლია მიწას დაანარცხო ღრუბელთა მეუფე! ნამდვილად ღვთაებრივია ასეთი გრძნობა. შაშხანა ხელზე გისვენია და ხელს შერწყმულია; დასაბამიდან შენთვის იყო განკუთვნილი იგი. ეს ისეთი დიდებული რამაა, კაცს სიმღერა მოგინდება.

ნებუმ მუხლებზე დაიდო შაშხანა და ხელის ზურგით შუბლზე ოფლი მოიწმინდა. ასეთი შაშხანის მქონეს გულმშვიდად შეგიძლია დაიძინო. ისევ ასწია და ლოყა ცივ ლულას მიახუტა — ასე შვრებოდა ხოლმე კოკო. მერე თვალით გაზომა ტყვიის საფრენი გზა. მას შეეძლო, ხის წვერი ჩამოეგდო, მაღალი მთის თხემისათვის გაერტყა, შეეძლო, გაფრენილი მტრედი მოეკლა. შაშხანამ განადგურების ნიჭი შესძინა.

ფერმკრთალ ბიჭს შეჰხედა, თავით ფეხებამდე ჩაათვალიერა: ტოტივით მოგრეხილი მტკივანი ფეხი; გადაჯვარედინებული თითები; სქელი, ჭირვეული ტუჩები; ხვალინდელ დღესავით გამოუცნობი თაფლისფერი თვალები. „შენც. ნახევრადბვანა, შენც ადვილად მოგაშთობდი ამ შაშხანით“, — გაიფიქრა ნებუმ.

იგი წამოდგა და გაემართა. „რამე ცხოველი სადილად“, — ეუბნებოდა მშიერი კუჭი. ხოლო სულში იღვიძებდა მაღალი ოცნება, რომელიც არწმუნებდა — სიცოცხლისა და სიკვდილის მეუფე შეიქენიო ამიერიდან. თითქმის სირბილით შეერია შამბნარს ნებუ.

IX

შამბნარი მიელოდა და მოუთმენლობით ათრთოლებული უამრავი მწვანე ხელის ქნევით თავისკენ უხმობდა. მოიხედა, როცა მის ზურგს უკან შეერთდა ბანანის ნორჩი რტოები, და შესცურა მწვანე გამოქვაბულში. შაშხანა ისე ეჭირა, თითქოს მთელი სიცოცხლე ეს იარაღი ეტარებინოს, იმიტომ რომ ერთობ დიდი ხანია ოცნებით შაშხანას ატარებდა. და, აი, მას მართლაც ხელთ ჰქონდა ჩაბღუჯული შაშხანა და ეს ამბავი სულაც არ იყო უჩვეულო. ნებუ აღტაცებული იყო. ამიერიდან იგი იქცა მარილად ქვეყნისა.

მაგრამ თავმა განუცხადა: „კვალი ეძიე, ნებუ!“ და მისი არსების ის ნაწილი, რომელიც მონადირეს წარმოადგენდა, ამაო ფიქრებს მოეშვა და ცხოველთა წყალზე ჩასასვლელი გზების შესწავლა დაიწყო. ბილიკი გაეთელა ტყის ათასგვარ მკვიდრს — დიდსა თუ მცირეს, ბეწვიანს თუ შიშველთათი-

ანს, რომლებიც უხსოვარი დროიდან მოყოლებული ამ გზით წყალზე ჩადიოდნენ. ზანგი სწრაფად ჩაჰყვა ამ ბილიკს. ხელებს მაგრად ჩაებღუჯათ კონდახი, რომლის ღრმულები მასაის ტომის ქალიშვილთა ბარძაყების ღრმულებს მოაგონებდა; და ნებუ ფიქრობდა, როგორ გამოაფრქვევდა შაშხანა გრიალსა და ცეცხლს, როგორ იქცეოდა სიყვარულში გამოტეხილ უტკბილეს დიაცად.

ჯერაც ძალიან ადრე იყო საიმისოდ, რომ წყურვილის მოსაკლავად და ტანის გასაგრილებლად მდინარისაკენ დაძრულიყვნენ პატარ-პატარა, ჩასუქებული ღორები და ირმები, კაკბები, ციცრები, ანტილოპები და ნიამორები, რომელთა ხორცი თავად ყოვლადძლიერსაც გამოადგებოდა საჭმელად. ნებუ გაემართა მდინარიდან ათი-თორმეტი ფუტით დაშორებული მცირე ბორცვისაკენ, კონდახის რამდენიმე მარჯვე დარტყმით ადგილი მოისუფთავა და შიგ მოკალათდა ტოტებს ამოფარებული.

გარეულ ცხოველთა მრავალი თაობის კლანჭებითა და ჩლიქებით იყო აჩიჩქნილი სილიანი ნაპირი, ღრმა ნაიარევი დასჩნეოდა, ისე როგორც თიხის ჯამს დააჩნდება ხოლმე ბზარი. ნაპირზე შემოტბორილ წყალში საითკენღაც მიცურავდა მოზრდილი, მხრებგანიერი ბაყაყი; მისგან გაჩენილი ტალღები ორნატს მოგაგონებდათ.

ჩასაფრებული ნებუ განსხეულებისათვის გამზადებული ბნელი ლეგენდა იყო. სხეული ერთიანად აღგზნებოდა. ხელისგულებს ხშირ-ხშირად იმშრალებდა კურტაკზე. იდაყვებისათვის მაგარი ადგილი მოძებნა. ახლა ქვის მრუმე მდინარედ ქცეულიყო და იცდიდა, იცდიდა შეურყეველი მოთმინებით აღჭურვილი. გაიხედა ლულის გასწვრივ, იქით, საითკენაც სულ მალე ტყვიების მბრწყინავი ნაკადი გაიჭრებოდა. ნებუს ბევრი რამ უსწავლია ბვანებისაგან. მან იცის, როგორ უნდა გახსნას მოპარული კომპოტის ქილა ლითონის პაწაწა მხეცის მეოხებით, ისე რომ ქვებზე არ დასჭირდეს მისი გატეხა; შეუძლია, იდაყვქვეშ გაჩენილი ნოჭივით ერთიბეწო კლიტით გააღოს უმტკიცესი რკინის კარი. ისწავლა მაკ-

რატლით თუნუქის ისევე იოლად გაჭრა, როგორც დანით კარაქს ჭრიან ხოლმე. მისი ცოდნის მარაგი დიდია და საკვირველი. კიკუიუთა უმრავლესობა ტყეებში ცხოვრობს და მათ აქდაგვარი რამეები არასოდეს სმენიათ. მაგრამ ყველაზე დიდი საოცრებაა ლითონის ცხოველი, რომელიც ახლა ხელთ აქვს ჩაბღუჯული; თეთრკანიანებმა არითმეტიკის დენთთან შეჯვარებით გამოიყვანეს ეს ცხოველი და ისევე ხნავენ თავიანთ მტრებს, როგორც კიკუიუები მიწას ხნავენ კამეჩისა და ძროხის თვინიერი და ძალოვანი შენაჯვარით. ნებუმ მოიპოვა სასურველი ცხოველი და მისი მოხმარებაც ისწავლა. „იდაყვებით მაგარ ადგილს დაეყრდენით“, —სულ ამას უჩიჩინებდა მათ ორი შაშხანის მფლობელი კოკო.

*

* *

პირველად გამოჩნდა კაკაბი თავისი ბარტყებითურთ. ფეხაჩქარებით, გულისხეთქვით მიგოგმანდა ერთ მდინარისპირა გუბემდე. ზანგმა დაუმიზნა. მისი ღრმა, ავისმომასწავებელი თვალები, სახის წამოგზნებულ მოზაიკაზე აკიაფებული, პირქარით აალებულ ორ სანთელს ჰგავდა. ნელ-ნელა უსწორებდა ლულას და თან სიამაყე ემატებოდა. თვითონ მარჯვედ მოკალათებული იწვა საფარში, ხოლო მისი ცნობიერება ქცეულიყო ნახევრადგანათებულ ბრძოლის ველად, სადაც იბრძოდნენ და უჩუმრად კვდებოდნენ მისი აზრები. ღორი, ანტილოპი და საჭმელად ვარგისი სხვა ცხოველები ტყიდან მდინარისპირს ჩადიოდნენ, მზე უფრო ღრმად იჭრებოდა ფოთლოვანში. ხოლო მის თავში მომწიფდა აზრი: „ეს არ შეშვენის მეომარს!“

არ შეშვენის ახალთახალი იარაღის ხმარება წვრილფეხა ცხოველებზე სანადიროდ. ეს იარაღი განკუთვნილია მძლეთამძლე ლომის, მძლავრი კამეჩის ანდა გაიძვერა ლეოპარდისათვის, რომელმაც ძლიერის გვერდის ავლა და ძაბუნის ადევნება იცის. და ნებუ წამოდგა და ტყის სიღრმეს მიაშურა. ამაოდ ეძებდა კვალს, ვიდრე შუადღის მზემ არ დაარწმუნა, რომ ირგვლივ არსად იყო მისადევნებელი კვალი. სადგომი-

დან შორს წასვლა კი არ უნდოდა. კვალი არ გამოჩენილა, ვიდრე აბოლებულ ღრუბელთა ველი არ გადასერა. ასე შეარქვა ამ ველს თავისთვის იმის გამო, რომ იქ ბორცვებსა და ბორცვებს შუა ბოლივით გაკლაკნილი მრეში ღრუბლები ჩამოწოლილიყო.

მიწის სუროისა და გამოხურვებულ სპილენძისფერი ცინერარიას დიდებული ხალიჩა ფარავდა ამ ველს; აქ იზრდებოდა პოეტური პოდო, ხეთა შორის უმშვენიერესი, მზის სხივივით სწორი, რომელსაც სამოცდაათიოდე ფუტის სიმაღლეზე ედემურად მწვანე ფოთოლთა გვირგვინი ედგა. ხოლო ლეღვის ხეზე, ძვირფასი თვლებივით მობრჭყვიალე ფოთლებით დამშვენებული ლეღვის ხის ქვედა ტოტზე, სულ სამიოდე შუბის სიშორეზე, ნებუმ დაინახა მისი მომლოდინე საზიზღარი ურჩხული, რომელიც ამ მშვენიერ ველს ისევე არ შეჰფეროდა, როგორც წმიდათა წმიდა ჭურჭელში დაგორგლილი სიკვდილის მოციქული მამბა არ შეჰფერის ამ ჭურჭელს. ზანგი შეჩვეული იყო ფოთლის პირველსავე საეჭვო შრიალზე გაქვავებას. ახლა იგი ქანდაკებად იდგა მზიანში.

ტოტზე ლეოპარდი იჯდა. წარბსზედა რკალები ქვეწარმავალს ამსგავსებდა საოცრად; ხახა პირგაგლეჯილ ქისას მიუგავდა; წინა თათები გადაეჯვარედინებინა. სავსებით მშვიდი იყო, კისერი გველისნაირად არ ერკალებოდა და არც კუნთები უთრთოდა. ნებუმ შაშხანა შემართა. მხარზე მიიბჯინა. დაუმიზნა. მერმე წუთით სუნთქვა შეიკრა და სათუთად დააწვა ჩახმახს — მას ნანახი ჰქონდა, როგორ შვრებოდა ამას კოკო. მაგრამ ნებუ აჭერდა და აჭერდა თითს, არაფერი კი არ ხდებოდა, არაფერი ფეთქდებოდა. ლეოპარდი ცოცხალი იყო, უვნებელი.

ხელახლა გამოჰკრა ჩახმახს, ამჯერად უფრო მკვეთრად, მაგრამ თეთრკანიანის იარაღს არ სურდა მის ხელში ალაპარაკებულიყო. იგი აწვებოდა და აწვებოდა ჩახმახს, თითს გამოჰკრავდა და გასწევდა—ჩახმახი ჩხაკუნობდა მხოლოდ. შუბლზე ოფლმა გამოასხა. ლულა იქით მიმართა და ხელახლა გამოჰკრა. ლულაში ზემოდან ჩაიჭვრიტა, ისე დააჭირა თითი

ჩახმახს. ტყვია რომ გავარდნილიყო, თავის ქალას წააცლიდა. მაგრამ ყრუ ჩხაკუნის მეტი არაფერი ისმოდა და ამ სიჩუმეში ნებუს გულმა ექვსიოდე სახლის სიშორეზე ისკუპა. მისი შიგნეული ამბოხდა და ისეთი ტკივილი მოჰგვარა, რომლის არსებობა აზრადაც არასოდეს მოსვლია. მთები გარს მოეჯარენ, გულის ფიცარი შეუნგრიეს, ძვლები ერთიანად დაულეწეს, გაჭყლიტეს ნებუ. და როდესაც მისი გვამი გაცამტვერდა და მზის შუქი მიწას ხელახლა დაეფინა, მან დაინახა, რომ ლეოპარდი გამქრალიყო. ლეღვის ხე და ველი დაცარიელდა. ნებუს გული სტკიოდა, საშინელი ეჭვები მოსძალებოდა.

ეტყობა, ნგაიმ, ყოვლისმხილველმა, დაივიწყა ნებუ. ნგაის, ყოვლისმხილველს, რომელიც კენიას, ჯუჯას, აბერდარესა და ნგონგის მთათა მწვერვალებზე სუფევს და კიკუიუს ხალხის ყველა შვილში იმყოფება, ყოვლისმხილველს დიდზე დიდი ხანია მიუტოვებია ნებუ. თეთრკანიანებზე მოწყობილ ხუთ თავდასხმაში მონაწილეობდა ნებუ და შაშხანა ხელში ვერ მოიგდო. ხოლო როცა შაშხანის ცივ კვალს წააწყდა და ბოლომდე მისდია, იმ ადგილამდე, სადაც კვალი შანთივით გავარვარებული იყო, როცა ნანატრი იარაღი ხელში ჩაიგდო, აღმოჩნდა, რომ შაშხანას არ სურდა ნებუსთვის ალაპარაკება. მაგრამ მან იცოდა, რატომ მოეცარა ხელი. აბოლებულ ღრუბელთა ველზე გასრესილმა და მიწასთან გასწორებულმა ნებუმ იცოდა, რატომ არ სწყალობდა ბედი. ნგაი ბრძანებს: ბოროტის მყოფელი დასჯილი იქნება, ვიდრე უძვირფასესს, უსაყვარლესს — თავის ჯოგს ან ცოლს თავისას — არ შესწირავს მსხვერპლად. ხოლო ნებუმ ორჯერ უყო ბოროტი ბვანა გიბსონს და ერთხელაც არ უზღავს სამაგიერო.

და უცებ, მსგავსად ზურგის ქარისა ან ზაფრანას პირველი ყვავილისა, მსგავსად ძველი ღვინისა, ნელ-ნელა რომ გეკიდება და უეცრად მთელ შენს სისხლს კი დაეუფლება, ნებუს გაუჩნდა აზრი, თუ როგორ შეეძლო ბოროტის წილ საზღაურის გადახდა. მას ახლდა სხეული, ყოვლადძლიერის მიერ ნაწყალობევი სხეული, და იცოდა, სად უნდა მოეძებნა ბვანას ტომი საკანონოს გადასახდელად. ყველა ბვანა ნაირო-

ბელი იყო ან მომბასელი. ან კიდევ დაგორეტისთან, სმიტის ფორტში ცხოვრობდა, იქ, სადაც ძველად კიკუიუებმა გამაგრებული სოფლები ააგეს და უკუაგდეს ინგლისელთა პირველი ტალღა, რომელსაც მილორდი ლუგარი მოუძღვებოდა. ნებუ დაიბრუნებს ყოვლადძლიერის ნდობას.

ნებუ უკან გამობრუნდა. ფერდის ჭრილობამ გაიღვიძა და მთელი გზა გაჰყვიროდა. როდესაც ნებუ სადგომთან მივიდა, ბიჭმა ცნობისმოყვარედ შეათვალიერა იგი.

X

დიდი წვიმები ნაშუადღევს დაიწყო. ნებუმ ბვანა დამარხა. ყველა წესის დაცვით დაასაფლავა ბვანა, რათა შაშხანა წყევლისაგან განთავისუფლებულიყო. დანით გათხარა სამარე და ძველთაძველი ჩვეულების თანახმად ცხედარს გვერდით ორი ისარი დაუდვა. მიწის წაყრა ფეხების მხრიდან დაიწყო; მთელი სხეული ვიდრე არ დაიფარა, მოკლულის სახეს ნამცეცი არ დასცემია. მერმე მტვრიანი ხელები გაიფერთხა და ბვანასთან დაკავშირებული ყველა მოგონება განაძო სულიდან. ამ მოძრაობასთან ერთად წყევლაც უნდა ახსნილიყო. ფეხის წვერებზე აიწია, გაიმართა და ფერდის ტკივილი შეკრულ მუშტად მოეჩვენა. ჩაისუნთქა და დაელოდა, ვიდრე მუშტი გაიშლებოდა. ნათხარი მიწის გრძელ სწორკუთხედს ზურგი შეაქცია და მიაყურადა. წვიმის მოახლოება და შორეული გრგვინვა ჩაესმა ნებუს. სადგომისაკენ გაექანა. ბუჩქნარიდან რომ გამოვარდა, ბიჭი მის ხელებს დააცქერდა. წვიმის პირველი წვეთები დაფანტული მტევნებივით აცვიოდა შიშველ თავზე.

— არაფერი მოგიტანია! შენ არ იცი შაშხანის ხმარება, — უთხრა ბიჭმა, რომელიც მის ხელებს თვალს არ აშორებდა.

ნებუ სხარტად ჩაცუცქდა და თაფლისფერ კარიბჭეთა დაგმანვამდე მოასწრო მათ მიღმა გადახედვა. მოეჩვენა, რომ მათში დაინახა რაღაც სიცილისდაგვარი, იარაღივით საგულდაგულოდ გადამალული. მაგრამ ბავშვზე გულისმოსვლა არ იქნებოდა. ლომს ხომ არ მოსდის გული წრუწუნაზე!

— მონადირე მასაი შერცხვენილი დაგვირჩა. იქნებ მიწისმუშა კიკუიუმ რაიმე ფესვები მოგვითხაროს საუზმედ?

მაშინაც კი, როცა თაგვი აწუხებს, ლომი არ უნდა ბდღვინავდეს. ბიჭი ბვანას მიერ საბნებისაგან მოწყობილ ჩარდახს შეეფარა. წვიმის მტევნები ცრემლთა უწყვეტმა ნაკადმა შეცვალა. ამ ცრემლთა ღვრას ზეცა მზის გამოჩენამდე აღარ შეწყვეტდა. ნებუს თვალი არ მოუშორებია ბიჭისთვის, ისე წაეტანა ერთ საბანს. ბიჭს ნესტოები აუთრთოლდა, ხოლო ნებუ საბანს მოეჭიდა და წყლის წვეთები და ზედ დაკრული ფოთლები ჩამოფერთხა. საბანი თავსა და მხრებზე ლაბადასავით მოისხა და თასმები წელზე შემოიკრა. მერე კვერცხივით ნაპუჭში გახვეულმა ბიჭს მეორე საბანზე ანიშნა და წამოდგა. მხარზე გადაკიდებულმა შაშხანამ საბანი ამობურცა, წვიმამ წვრილი, სწორი, გრძელი და ფართოდ გადგმული ფეხები ჩამოჰბანა ნებუს. ამგვარ ფეხებს მონობის დროს არაერთხელ გადაუსერავთ მთელი კონტინენტი. გარდასული დროის უცნაურ ნატეხს ჰგავდა ნებუ.

იგი გაბნეული ნივთების ზურგჩანთაში ჩაწყობას შეუდგა.

— საით გაუტიე? — ხმამაღლა შეეკითხა ბიჭი.

ზანგი წელში გაიმართა და ბიჭს მაღლიდან დაჰხედა. მტკივანი ფეხის მოგრეხილ ტოტს ჰკიდა თვალი და მოაგონდა, როგორი ტაატით, როგორ თავგზაბნეულად მიდიოდა მის წინ ბვანა. მას შურისძიების უცნაური ხერხი მოეგონებინა. თუკი ნებუს კვალის მიგნებას და მოკვლას აპირებდა, ჯუნგლებში უტვირთოდ უნდა წასულიყო. მაგრამ იქნებ ბვანას თავში დომხალი ადრევე, იმთავითვე იყო და არა მარტო ღღეს, როდესაც ლამაზდებოდა. ქარიშხლიან ღამეს, როდესაც მსაბუ წაახრჩო, ბვანა ნამდვილად შეშლილი იყო. ამნაირი ტვირთით დამძიმებული ჯუნგლებში მხეცებსაც რომ არ დაეგლიჯათ, დაღლილ-დაქანცულს თვითონვე ამოხდებოდა სული. თუმცა საფრთხეს რომ იგრძნობდა, ბიჭი იქნებ თვითონვე მოეშორებინა თავიდან. ალბათ ასე იზამდა. ბვანამ იცოდა, რომ ნაცრისფერკანიანი ბიჭი მისი სისხლი და ხორცი არ ყოფილა და უყოყმანოდ მოუღებდა ბოლოს. ჯუნგლების მკვიდ-

რის ულმობელმა ლოგიკამ ნებუ სწორედ ასეთ დასკვნამდე მიიყვანა. ბიჭი იმთავითვე განწირული იყო.

თეთრკანიანთა ქალაქებში ხანგრძლივად ნაცხოვრები გენერალი კოკო იტყოდა ხოლმე: სირაქლემას ფრთებსა ჰგავს თეთრკანიანთა მოძღვრება ძმური სიყვარულისა. ჯერ არავის უნახავსო გაფრენილი სირაქლემა.

„ყური მიგდეთ, ძმებო, — მიმართა ერთხელ კოკომ ვეება მიმოზის ქვეშ შეკრებილთ, — ყური მიგდეთ! თეთრკანიანები ყოველ ქალაქში აგებენ სიკვდილის სახლებს. ზოგიერთ ქალაქში ჩამოსახრჩობი სახლებია, ზოგში — მანქანით ან ნაჯახით თავის წასაკვეთელი. სხვაგან კიდევ ისინი თავიანთ მოძმეებს სკამზე სვამენ, სკამში დენს უშვებენ და ისე წვავენ ადამიანებს. ჰოდა, თუკი თავიანთ მოძმეებს — თეთრკანიანებს ამას უშვრებიან, ჩვენთვის რაღა ექნებათ განზრახული!“

ბიჭმა უცნაურად გაიცინა.

— შენ... გეცინება? — შეხედა ნებუმ.

— იცი, ჩემი ტარება მოგიწევს, — კმაყოფილი ხითხითებდა ბიჭი.

ნებუმ წყნარად გადააქნია თავი. იგი ბიჭის სიცილზე ფიქრობდა.

— მამაჩემი ხვნეშოდა და ბორძიკობდა, როცა ოღრო-ჩოღრო ბილიკებზე მივყავდი. ისეთი მემკვიდრე მყავხარ, სიამოვნებით მოგიშორებდიო. მაინცდამაინც არ ვყვარებივარ მამაჩემს. ზოგჯერ ისიც მგონია — ეშინოდა ჩემი. როცა ერთხელ ნაირობში გასაცინებლად ვუთხარი — ბიჭები რუხ ვირთაგვას მეძახიან-მეთქი, სახეზე ხელები აიფარა და დიდხანს შემომყურებდა თითებშუა ჭვრეტებიდან. ისიც გამიგონია — ჭკუაზე შეშლილა ჩემი დაბადების დღეს, შავკანიანებს რომ დედაჩემი მოუკლავთ. ჩემი გადარჩენაც ძლივს მოუხერხებია. შენ როგორ გგონია — დედაჩემზე ადრე ჩემი გადარჩენა რამ აფიქრებინა?

წამოსასხამიდან ფერმკრთალი, ჩამომხმარი სახე შემოსცქეროდა, სქელ ბაგეებს ღიმილი დასთამაშებდა, თაფლისფე-

რი კარიბჭეები გაუწყნარებლად იღებოდა და იგმანებოდა. ნებუ უმზერდა, მაგრამ მისი ცნობა დაბინდული იყო.

— მე ახალდაბადებული ვიყავი. ვერაფერს ვგრძნობდი. რატომ მაინცდამაინც მე გადამარჩინა?

და უცებ ბიჭმა დაინახა, რომ კიკუიუ ტყისკენ მიდიოდა. მალევე დაბრუნდა. თავჩაქინდრული მოემართებოდა, წვიმის ვერცხლისფერ შოლტებს სახეს არიდებდა. ტყიდან ორი მაგარი ორკაპი ჯოხი მოიტანა, ბიჭის წინ გაჩერდა და რამდენიმე ისეთი მოძრაობა გააკეთა, რომლებითაც ახვედრებდა — ჯოხების დახმარებით ასე უნდა იაროო. მერე ჯოხები მიწაზე დააწყო, ბვანას პლასტმასის დასაკეც ტოლჩას დასწვდა და კურტაკის ჯიბეში ჩაიდვა. ეს ის ტოლჩა იყო, დილით ბიჭმა ხელიდან რომ გააგდებინა.

ბიჭი სახეგაქვავებული დასჩერებოდა ყავარჯნებს. მერე ჩარდახს მოეჭიდა და წამოდგა. მტკივანი ფეხი უმწეოდ მოსთრევდა მიწას. ყავარჯნები გასინჯა. აღმოჩნდა, რომ არაფრით ჩამოუვარდებოდნენ იმ ყავარჯნებს, რომლებსაც ხმარობდა ნაირობში და აქეთ გამომგზავრებისას, ვიდრე მდინარეში ჩაუვარდებოდა. წყალში ნიანგის ხახები მოჩანდა და ბიჭი იმედოვნებდა — მამაჩემი ყავარჯნების ამოსაღებად წყალში ჩავაო. ბიჭმა ზანგს გაუღიმა და უკან გაჰყვა.

XI

ქალაქ კიამბუში, შავკანიანებით გაჭედილი, ეკლიანი მავთულით შემოღობილი ბანაკის გვერდით მდგარ რკინა-ბეტონის შენობაში, პოლიციის ინსპექტორმა გაიაზრა შეხედულება არმიას ახალგაზრდა ლეიტენანტისა, რომელიც ეს-ესაა თავისი რაზმითურთ ნაირობიდან ჩამოსულიყო. მისი აზრითაც ამ ოპერაციით შეიძლებოდა კიკუიუს ბანდის სრული განადგურება. პირქუში ახალგაზრდა ლეიტენანტი ტრიალა სკამის საზურგეზე გადაწვა კმაყოფილი იმ ამბით, რომ ზემდგომი დაეთანხმა.

— ახლა ჩვენ მხოლოდ ეტიკი გვჭირდება, გამოცდილი, იმ მხარის კარგად მცოდნე გამყოლი.

— გიბსონი საუკეთესო კანდიდატურა იქნებოდა, — ჩაილაპარაკა ინსპექტორმა.

— მაშ მომეცით გიბსონი.

— გაქრა სადღაც.

— გაქრა? ვინ არის გიბსონი?

— პლანტატორია. უცნაური ამბავია, ამ ორი კვირის წინანდელი. გიბსონი და ის მახინჯი... ვაჟი... მისი ვაჟი...

— თქვენ იმის თქმა გინდათ — შავკანიანებმა გაიტაცესო? ამის თაობაზე პატაკში არაფერი იყო ნათქვამი, არა?

პოლიციის ოფიცერმა თავი გადააქნია.

— არა. უფრო სწორად, ჩვენ არაფერი ვიცით — ამ საქმეში კიკუიუს ხელი ურევია თუ არა. გიბსონი უბრალოდ... გაქრა. ისა და მისი მაიმახი ბიჭი.

— მაშინ კიკუიუს საქმე ყოფილა. მაიმახიო? რა გინდათ ამით სთქვათ — ხეიბარია?

— არა, ისეთია... ერთი სიტყვით, უცნაური. მაგრამ ეს გრძელი ამბავია, ძველი ამბავი. საგანგებო მდგომარეობამდე მოხდა ეგ ამბავი, ვიდრე მე აქეთ გამომამწესებდნენ. გიბსონის ცოლი მშობიარობის დღეს მოკლეს. სახლი დაიწვა. იქნებ ამ მხარეში მაუ-მაუს პირველ გამოსვლას უნდა მივაწეროთ ეს ამბავი. ყველა იმ ეზრის იყო, ამ ამბის შემდეგ გიბსონი შეირეკაო. თუმცა ჩვენ ამ საქმისათვის საგულდაგულოდ არასოდეს მოგვიკიდია ხელი. ისე კი მითხრეს — ერთი ზანგი, რომელზედაც ეჭვი აიღეს, სწორედ მკვლელობისა და სახლის დაწვის დღეს გაქცეულა.

— ჰმ, ასეა თუ ისე, ჩვენ ამით არაფერი გვეშველება. ეტიკი ახლავე გვჭირდება. წვიმების დრო დადგა და ზანგები აღარ მიგველიან. ჩვენ შეგვეძლო ოც-ოცდაათკაციანი რაზმით დაგვერტყა და ორი ნაღმტყორცნიც მიგვეშველებინა, ამ დაწყევლილ ჯუნგლებში სწრაფად გადაადგილება რომ ეხერხებოდეს. რაც მთავარია, უნდა გავანადგუროთ იმის ბანდა... რა ჰქვია იმას?

— კოკო, — თქვა პოლიციის ოფიცერმა, — გენერალ კოკოს ბანდა. მე მგონია გიშოვნოთ კარგი ეტიკი. უბედურება

ისაა, ახლა ყველას ჰგონია, საგანგებო მდგომარეობა დამთავრდაო და თავიანთი ყავის პლანტაციების გარდა აღარაფრის გაგონება აღარ უნდათ.

არმიის ლეიტენანტი წამოდგა.

— ყავის პლანტაციებიო? ერთი მოაგონეთ ლომანის ფერმის ამბავი.

ტანმაღალი და მხარბეჭიანი ლეიტენანტი მიუვალ ციხესავით პირქუში იყო.

XII

კლანჭებით წეწავდა მიწას, ტყის სახურავს ჩამოჰკიოდა წვიმა. ხეთა წვეროკინებს ავად უტლაშუნებდა, მოთქრიალებდა, რტოებს ამტვრევდა, ფესვებსა და ფესვებს შუა ღვართქაფად მოედინებოდა. დელგმას დაებურა დღის სინათლე. გაშიშვლებული სხეულებივით ელავდა მრუმეში ხეები.

ნებუ ტლაპოში მიალაჯებდა. უკან თავჩაქინდრული ბიჭი მოკელანობდა — ყავარჯნები წამისწამ ტალახში ეფლობოდა და მთელი ძალის მოხმარება უხდებოდა ამოსაქაჩად. მტკივანი ფეხი მიწას მოსთრევდა, სიარულს უშლიდა. მაგრამ, როდესაც თავს ასწევდა წინმიმავალი ზანგის დასანახად, მისი მზერა ნათელი იყო. ბიჭს არ სურდა ნებუ დაჰკარგოდა.

დაჭრილ ფერდს ხოჭო შესჩენოდა, კანქვეშ მოკალათებულიყო და ისე იკაწრებოდა, როგორც ლეოპარდი რკინის სახურავზე. ნებუ ხოჭოსთან შესიტყვებით იყო გართული. ფერდი აუტანლად ექავებოდა. ბვანას ტყვია ძლიერი გამოდგა. მართალია, მან ვერ შეძლო სხეულში ჩარჩენილიყო, მაგრამ კანქვეშ ხოჭო მაინც დაუტოვა თავის გასახსენებლად. შაშხანაგადაკიდებულს სიარული ეძნელებოდა, ამიტომ ნებუმ იარაღი ხელში დაიჭირა — ვითომ სიფრთხილეს თავი არ ასტკივაო. არ სურდა ნახევრადბვანა მიმხვდარიყო, რომ მას ეშინოდა ამ შაშხანისა. შაშხანა უსიცოცხლო იყო, ცივი, და ვინ იცის, რა უბედურების დატეხვა შეეძლო.

ერთმა აზრმა ბიჭს შანთივით დაუდაღა ტვინი. იქ, სადგომთან, ზანგი დაიხარა, რათა მის თვალებში ჩაეხედა — არ

ენდობოდა მის თვალებს. აქეთობისას კი გიბსონი ერთხელ ისე შეაძრწუნა ბიჭის გამოხედვამ, შემდეგში შაშხანა მის ამარა აღარ დაუტოვებია. მერე რა მოხდა? დაუკვირდი — ამ დილითაც, მოსასაქმებლად რომ მიდიოდა, გიბსონმა შაშხანა წაიძღოლა და ისე გამოადგა, მეტი აღარ შეიძლება. ამ აზრმა გაუხვრიტა ტვინი იმ წამს, როცა ზანგი მის თვალებში მიჩქმალულის ამოკითხვას ცდილობდა. ასე ბიჭსაც ძალიან უნდოდა ნებუს აზრები ამოეკითხა, ვთქვათ, მის ტერფებზე.

„შეხედე ამ დიდრონ ტერფებს, ტლაპოში რომ მიაბოტებენ. მტვერში ამოგანგლულ ქონის ნაჭრებს ჰგვანან ისინი. ნეტავ რა იცის ამ ზანგმა? მისი ტერფები მიწაში ღრმად ეფლობა და მერე მაღალზე ადის. მათ ფარავს ბნელი საიდუმლო, რომელსაც თავის შავს თავში დაატარებს ზანგი. მაგრამ წვიმა უმალ ჩამორეცხავს ხოლმე ამ საიდუმლოს, ვიდრე მე ერთი სიტყვის წაკითხვას მაინც მოვასწრებდე. მის ტერფებს თვალები ასხია. შეხედე, როგორ ერიდებიან ქვებსა და შექუჩულ ფოთლებს! მათ იციან — ფოთლოვანებში გველებია ჩამალული“.

ბიჭმა იცოდა — არის ისეთი ეკლები, ზედ ფეხის დამდგმელს უეჭველად მოაკვდინებენ. შხამი სისხლს აჰყვება, ვიდრე გულს არ მიაღწევს. მაგრამ ამის იმედად ყოფნა არ შეიძლებოდა. შავკანიანი ისევე იცნობდა თავის მიწა-წყალს, როგორც ლეკვი იცნობს დედის ძუძუს. მის... მამას მაღალყელიანი ჩექმები ჰქონდა და მუხლებამდე კი დაეხა ჯუნგლებში. მას უფლება აქვს მამად მიიჩნიოს გიბსონი. გიბსონი ნამდვილად მამამისი იყო. უტვინო ბერიკაცმა რაღაც მოჩმახა, რომ ეს... ეს...

ბიჭმა ღრმად ამოისუნთქა თავისი ვიწრო მკერდით და დიდ ადამიანად შეიცნო თავი. ზოგჯერ აზრად მოსდიოდა — იქნებ ცუდიც იყოსო დიდად ყოფნა. სხვები იმას სჯერდებოდნენ, რომ პატარები იყვნენ და სულელნი. იქნებ სჯობდეს კიდეც პატარა და სულელი იყო! ყოველთვის როდია სასიამოვნო იმის შეცნობა, რომ აზრის ერთი დაკვესებით ერთი პატარა სულელთაგანის მოკვლა შეგიძლია. მრავალგზის

განუშორებია აბეზარი აზრი, რომ მას შეუძლია მოკლას გიბ... მამამისი, და ეს აზრი მუდამ უბრუნდებოდა თავის სამყოფელს სადღაც კეფის არეში. მას ჰქონდა სისუსტის წუთებიც, როცა შიში იპყრობდა — ერთ მშვენიერ დღეს ვეღარ შევძლებ კეფაში დავამწყვდიოო ეს აზრი. მაშინ მარტოდმარტო დარჩება ტყეში. და მაშინ მთვარეზე მცხოვრები პატარა მწყემსები სიცილით დაიხოცებიან მისი შემყურენი და მიანიშნებენ კიდეც — აქ, მაღლა, ადგილი შენთვისაც მოიძებნებაო. იგი მარტო არ დარჩება ამ დაწყევლილ ტყეში, ოღონდ ყოველთვის, როცა კი შავკანიანს შეხედავს, უმშვენიერესი აზრები კეფისკენ უნდა გადალალოს ხოლმე.

* *

წვიმა მხიარულად შხაპუნობდა ველებზე, ხარობდა, რომ მიწის შესახვედრად ტოტებთან ბრძოლა აღარ სჭირდებოდა. წყლის ნაკადი გაუწყნარებლად ჩამოთქრიალებდა ნებუს სახეზე, ყელთან მილიკლიკებდა და წელის არეში გროვდებოდა. ზანგს ქვედა ტუჩი გამოეშვირა, პირში მოხვედრილ ტკბილ წყალს ულაპავდა. ეს წყალი მაღალი ზეცის მადლით იყო აღვსებული, ყოვლადძლიერის საუფლოდან მოედინებოდა. მას მაცოცხლებელი ძალა შესწევდა, პოდოს მშვენიერ ხეს ფეროვნებას ჰმატებდა და გალობად უხმობდა შროშანს. გამოგვალულ მოწითალო ნიადაგს რუხი, ალაგ-ალაგ კი შავი ფერი ეძლევა. ხანი გამოხდება და ნიადაგი ნაყოფს გამოიღებს, ბალახით დაიფარება. ბალახი ნიამორებს გამოზრდის, ამათ კი თავის მხრივ ლომები შთანთქავენ.

ორი დღეც არ დასჭირვებია, რომ ბვანას დასწეოდა. მართალია, დილიდან საღამომდე მისდევდა კვალს, ძალ-ღონით იყო აღსავსე, მუხლები და კოჭები ზამბარასავით მარჯვედ ეჭიმებოდა, მსუბუქად სუნთქავდა და არც ფერდის ჭრილობა აწუხებდა. მაშინ გრძნობდა, რომ დიდი იყო, რადგან მის ქვეყანაში შემოჭრილ მტერს ასდევნებოდა. ახლა კი ტვინში

ეჭვი აუჩუჩუნდა. ბვანა ხომ ნამდვილი მტერი არც ყოფილა! ბვანა გიბსონს გასაჭირში ჩავარდნილი უფრო ეთქმოდა. წლებმომატებული, განაწამები ნებუ მიაბიჯებდა და გამოქვაბულს დაეძებდა.

*

* *

ღამე ჩამოდგა, ნამდვილი ღამე და არა ხეებქვეშ დელგმით დამკვიდრებული წყვდიადი, და იმ გამოქვაბულის შესასვლელიც ამოქოლა, ნებუს რომ ღამის სათევად შეერჩია. გამოქვაბული სავსებით მშრალი იყო, ღრმად მიდიოდა. ნებუ ათიოდე ნაბიჯით დაშორდა შესასვლელს და სიღრმეში სამი ისარი სტყორცნა. ესმოდა, როგორ აისხლიტა სამივე ისარი უკანა კედელმა. არა მხეცი არ აღრიალებულა და არ გამოვარდნილა. ნებუმ ბვანას ბენზინის სანთებელათი ფიჩხს მოუკიდა. გველებიც არ ჩანდნენ. მაშინ გამოქვაბულში შევიდა და თავისი ისრები აკრიფა. ერთს ბუნიკი წასტეხოდა. ცეცხლი კააჩაღა და მოსასხამი მოიხსნა. ბიჭი უკვე ცეცხლისპირს მოკალათებულიყო, ყავარჯნები კედელზე აეყუდებინა. ნებუმ ზურგჩანთაზე ანიშნა. ბიჭმა დააყოვნა, მერე კი გახსნას შეუდგა. თან ცდილობდა აფრიკელისათვის ზედაც არ შეეხედა.

ცეცხლი უზარმაზარ გუგასავით კიაფობდა გამოქვაბულის თვალის ბუდეში. ზანგი ბნელში გაუჩინარდა და ფარჩხით დატვირთული შემობრუნდა. ცეცხლი მთელ ღამეს უნდა ენთოს. მან წვიმის წყლით გავსებული კარდალა ცეცხლის პირას მიდგა. ყავა მოზრდილ მიხაკისფერ ქილაში იყო. ცელოფანის პარკში ბეკონის გვარიანი ნაჭერი აღმოჩნდა. ნებუს წინაშე ეწყო შაქრით და ფქვილით, შაშხითა და სარდინებით სავსე თუნუქის ქილები. ასე მდიდარი არასოდეს ყოფილა ნებუ. ყავა რომ მოდუღდა, ბვანა გიბსონის ტოლჩა ამოიღო. ბიჭმა კარდალა გადმოდგა და შეუვსო.

ბიჭი უსმენდა მის არსებაში გახმიანებულ მუსიკას, რომელიც ხეთა შორის მოთქრიალე წვიმის ხმაზე მაღალი იყო. ეს იყო იდუმალი და მშვენიერი მუსიკა. იგი არ ჰგავდა რადიოთი გადმოცემულ ჰანგებს, ზევით-ქვევით რომ ადი-ჩამოდის.

ეს მუსიკა მაღლიდან მოედინებოდა, ვარსკვლავთა საუფლოდან, და საოცარ აზრებს აღუძრავდა. ეს მუსიკა გახმიანდა ერთხელ, აქეთობისას, მამას რომ ზურგზე მოკიდებული მოჰყავდა. ამ ამბის შემდეგ გიბსონი ზურგზე მოკიდებამდე მუდამ ხელებს უკოჭავდა.

— მე მიყვარს, როცა ღამეს შინ არ ვათევ ხოლმე, — თქვა ბიჭმა და ყავა დაუსხა მდუმარე ნებუს. — ნაირობელი ბიჭები ჩემზე ამბობენ — ხვლიკს ჰგავსო, ხვლიკ გეკოს. იცი, რომელია ხვლიკი გეკო? ნაცრისფერია, ღამღამობით ბუუბუუი იცის. ნაირობელი ბიჭები მეუბნებიან — იმ ხვლიკს ჰგავხარო, მე კიდევ ავბუუბუუდები ხოლმე და თვალებს გადმოვკარკლავ. გინდა, გადმოვკარკლო თვალები? ავბუუბუუდე შენ-ი:ვის?

ყავადანი იქით მიდგა და სახე ღრმად, საზიზღრად დაინაოჭა, მართლა გეკოს სახეს დაიმგვანა, ხორხიდან კი ამაზრზენი ხმები ამოუშვა: „ურკ, ურკ, ურკერ, ურკ“. თან თვალს ადევნებდა ნებუს.

— ან თუ გინდა, აფთარივით გადავიხარხარებ! ან კიდევ ხვადი ნიანგივით მოვყვები ყეფას!

უქეიფოდ მყოფი, ჩიხში მომწყვდეული ნებუ ცეცხლს ჩაშტერებოდა. მას საკმარისად არ უზღავს თავისი დანაშაული. მართალია, კანონი ღაღადებს — სხეულით უნდა ზღო, მაგრამ იგულისხმება ისეთი სხეული, რომლის გაცემა უფრო ღარიბს, უბედურს გაგხდის. სიტყვაზე, ეს შეიძლება იყოს თხა, ძროხა ან ხელმარჯვე ცოლი შენი. მისი ჭრილობაც კი არ იყო საკმაო საზღაური იმისა, რაც მან ბვანას უყო; ფერდში ხომ ტყვიაც არ იყო ჩამჯდარი, ხოჭო იყო მხოლოდ. ზოგ ჭრილობაში მბდღვინავი ლომი ზის, ზოგს ლეოპარდი წიწკნის ბრჭყალებით. სასიკვდილო ჭრილობებში ხეებს ძირფესვიანად გლეჯენ გამძვინვარებულ სპილოთა ჯოგები. ნახევრადბვანა ნამდვილი ხურდა ფულია. მისი მსხვერპლად შეწირვა იგივე იქნება, სულაც უარი რომ თქვას საზღაურზე. მასაის ქალის ნაშობი ვაჟიშვილი სხეულით ანაზღაურებისათვის აუცილებელი იქნებოდა. ნელად მიმავალ ზვიად მდინარესა ჰგავს მასაის ქალი — მშვენიერია და ხელმწიფური იერის მქონე. მისგან

შობილი ვაჟიშვილი ახალთახალი ნაღდი ვერცხლის ფულია.

ნებუმ ჩაისუნთქა გარედან მონაბერი წმინდა ჰაერი. მერე ცეცხლის იქით მჯდარ მის მოთვალთვალე უტიფარ ბიჭს შეხედა. იცოდა — ბიჭი გულში დასცინოდა. მხარი შეიცვალა წამოწოლილმა და რაც კი შეეძლო ხმატკბილად შეეკითხა:

— ბვანას საღვთო წიგნი წაგიკითხავს?

თაფლისფერი კარიბჭენი განეხვნენ.

— შენ გინდა თქვა — ბიბლია?

ნებუს მოაგონდა მოხუცი ბელადი მოზრდილთა სკოლაში. ტომის უხუცესთა თავყრილობის მრისხანე მოპაექრემ ისე ბეჯითად შეისწავლა ინგლისური წიგნები, რომ ბვანებთან კამათისას მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა, მტერს ბისივე იარაღით განგმერდა. და ნებუმ აღმოთქვა სიტყვები, რომლებიც მოხუცმა ბელადმა ერთხელ უთხრა ინგლისელ პოლიციელს:

— ამიერითგან, — ნებუ ენის ტეხით ამბობდა უჩვეე სიტყვებს, — ამიერითგან რომელი ჰგონებდეს დგომასა, ეკრძალენ, ნუ უკვე დაეცეს. პირველი ეპისტოლე კორინთელთა მიმართ, თავი მეათე, მუხლი მეთორმეტე.

ბიჭმა ტაში შემოკრა და გამოქვაბულის ეხომ ხმა გაიმეორა.

— ვაშა! — შეჰყვირა ბიჭმა. მის არსებაში სულ უფრო მძლავრად ხმიანებდა მუსიკა.

ნებუმ ჩაახველა და ჭრილობის ირგვლივ თითი მსუბუქად შემოატარა. ქავილის დათმენა აღარ შეეძლო.

XIII

გამოქვაბულის შესასვლელთან წვიმა ქვებს ესხმებოდა და უმცირეს შხეფებად იფანტებოდა. და ამ შხეფებში გულადად იღუპებოდნენ აბრიალებული ცეცხლისაკენ მომქროლავი ფარვანები. ნებუ — შავად მოკიაფე, მდუმარე და შეუცნობი ღვთაება — უთვალთვალებდა, როგორ გულდაგულ ინთქებოდნენ ცეცხლში მწერები. ერთი მათგანი შაშხანის ლულაზე დაფრინდა და პაწაწინა ფრთები დაკეცა. მსხვილი იყო, მტვრით დაფარული. „სუსტია, გაუბედავი, — გაუელვა ნე-

ბუს, — სიკვდილის ეშინია“. იგი უმზერდა ცეცხლის ალისკენ უშიშრად მიმქროლავ ფარვანებს.

შაშხანა ხელში აიღო და მხდალი ფარვანა დააფრთხო. ბიჭმა მყისვე თავი წამოსწია, ნებუს ჩააშტერდა. ზანგმა კონდახი ლოყაზე მიიდო, სამიზნე ფარვანას მიაყოლა. მწერი ბიჭს შუბლზე დააჯდა და ნებუმაც ჩახმახი გამოკრა.

— ჭახ! — სერიოზულად თქვა მან.

გააფთრებულმა ბიჭმა შუბლზე ხელი იტკიცა და ფარვანა გასრისა.

— მე მოვკალი ფარვანა, — თქვა ნებუმ. — სუსტი ფარვანა მოკვდა.

ბიჭმა ლულას ჩაჰხედა. ფერმკრთალი სახე მიწისფრად უცეოდა, ნესტოები დავიწროებოდა.

— ცუდ დღეში ჩავარდი, — მთრთოლვარე ხმით თქვა მან. — ცუდი დღე გადგას, კიკუიუ. სულ მალე თეთრკანიანი ჯარისკაცები მოგკლავენ.

— ფარვანა მოკვდა, — გაიმეორა ნებუმ, — ხომ დაინახე, როგორ მოვკალი?

თვალთა თაფლისფერი კარიბჭენი ფართოდ განეხვნენ, ზანგი წაიხარა და ჩაჰხედა.

— ამ შაშხანით ვერასოდეს მოკლავ ვინმეს! — დაიკივლა ბიჭმა. — შენ მამაჩემიც კი გჯობდა. ნამდვილად გჯობდა! თავის საჭმელსაც შოულობდა და ჩემსასაც, ნანადირევით დატვირთული ბრუნდებოდა! აბა! მამაჩემი თეთრკანიანი იყო, გესმის, თეთრკანიანი! შაშხანას შენთვის ჯადო აქვს დადებული, შავო კიკუიუ!

ნებუ მშვენივრად იყო მომზადებული ამ სიტყვებისთვის. ხმა ნაზი ჰქონდა და მოალერსე.

— ჭიამ არ იცის, ფერი რა არის. დიდი წვიმების დროს კი ყველა ჭიაღუა მიწისქვეშ მიძვრება. მათ კარგი საქმე გაუჩნდებათ. ხვალ დილით ბვანას კანი აღარ შერჩება და ყოვლადძლიერი მას ჩემგან ვეღარც განასხვავებს. — ეს სიტყვები კიკუიუს ენაზე წარმოთქვა და ახლა ძველთაძველი სიბრძნის სიმძიმით მოდრეკილი მდუმარედ მისცემოდა თავის საფიქ-

რალს. — ასეთია ყოვლადძლიერის წესი. ჩვენ კანგაცლილნი წარვდგებით მის წინაშე. არც შავკანიანი იქნება ვინმე და არც თეთრკანიანი. ეს დიადი ჭეშმარიტებაა.

— აყროლებულო მძორო! — დაუყვირა ბიჭმა აგრეთვე კიკუიუს ენაზე.

ნებუ შეკრთა. თავისთავს უცბად დაეუფლა და იმდენი წამის განმავლობაში იყურებოდა განზე, რამდენიც საჭიროა ერთიდან ოცამდე დასათვლელად. მერე ბიჭს გაუსწორა მზერა.

— შენ ჩემი ენა გცოდნია, — კიკუიუსავე ენაზე უთხრა ნებუმ. იგი პურივით უშფოთველი იყო. — ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ენა გცოდნია.

მათ ოდნავ დაუკრეს თავი ერთმანეთს, როგორც ჩაის სმის დროს ერთიმეორისათვის ფინჯანის გადაცემისას იციან. მაგრამ ნებუს არსება შინაგან ტკივილს მოეცვა. იგი დაძაბული იყო. კურტაკი შეიხსნა და კვლავ მოისვა თითი აქავებული ჭრილობის ირგვლივ. ბიჭმა დაინახა ჭრილობა.

— შენს ადგილას ჭრილობას თავს გავუხსნიდი, — თანამგრძნობი კაცის ხმით უთხრა მან. — თავს გავუხსნიდი და ჩირქს გამოვრწყავდი.

ნებუ გაოცდა.

— რა... ჩირქს?

წარბშეკრული ბიჭი ყოველ ღონეს ხმარობდა სახეზე ანგელოსური გამომეტყველება აღბეჭდოდა.

— ჩირქი უკეთური წყალია, — ალერსიანად მიუგო მან. — ეს წყალი ადამიანს კლავს.

— დიდი არაფერი ჭრილობაა, — თქვა ნებუმ მცირე დუმილის შემდეგ, — ხოჭოა მხოლოდ. — მისი თითები უფრო მაგრად იფხანდნენ მტკივან ადგილს.

ბიჭმა გულიანად ჩაიხითხითა. რაღაცას ნიშნავდა ეს სიცილი. ოღონდ ეს იყო — არ ღირდა იმის იმედად ყოფნა, რომ ზანგი ჭრილობის თავს გაახსნევინებდა. საიდან მოიგონა ნეტავი — ზანგს ჩემი ნდობა გაუჩნდაო? ცოტა უფრო დიდი რომ ყოფილიყო, დანას იხმარდა. დიდებული განცდა უნდა

იყოს — დანას ნება-ნება, გულდაჯერებული ჩაუშვებ სხეულში და თან შენი მსხვერპლის სახეს თვალს არ მოაცილებ. ერთხელ ასე უქნა სეტერს, წითური ხარის — მამამისის ძაღლს. ამ ამბავზე მამას კინაღამ შემოაკვდა. სეტერს სახე გახევებული ჰქონდა, ზედ არაფერი აღბეჭდილა. მხოლოდ კბილები გადმოყარა და რაღაც დაიყმუვლა ძაღლურად. მაგრამ ზანგის სახე ასე უგრძნობელი არ იქნება. წყეული შავი კანი ჩვარივით დაეჭმუჭნება ალბათ.

— შენ თეთრკანიანთა სკოლაში დადიხარ? — ჰკითხა მოულოდნელად ნებუმ.

ბიჭი გაიკრიჭა. კიდევ ხომ არ აპირებს ეს ზანგი საღვთო წერილის ადგილების თქმას?

— კი, თეთრკანიანთა სკოლაში დავდივარ, — დაუდასტურა მან.

— და მათ ეკლესიაშიც დადიხარ?

— მათ ეკლესიაშიც დავდივარ.

— და მათთან ერთად უზიხარ სუფრას?

— მათთან ერთად ვუზივარ სუფრას, გენერალო ნებუ. შენ — არა? — ღვარძლიანად ამბობდა ბიჭი.

— და თეთრკანიანთა ბავშვებთან ერთად თამაშობ? — ღელავდა ნებუ. — თეთრკანიან ბავშვებთან?

მაღალხმიანი მუსიკა ტვინს უხვრეტდა ბიჭს. დაძაბული უსმენდა და მის ხმას შეწყობილი განივრად მიაბიჯებდა თავისი საღი და ღონიერი ფეხებით. მისდევდა ამ მუსიკის წვერმახვილ ალმებს აგრიალებულ, აგუგუნებულ სივრცეში ვარსკვლავთა შორის. იქ, მაღლა, თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ სახლში. სინათლის გზები გამრავლების ტაბულასავით იცოდა. თერთმეტს მივუმატოთ ოცდათერთმეტი, იქნება ორმოცდაორი, ცამეტჯერ ორმოცდაორი — ხუთას ორმოცდაექვსი, ხუთას ორმოცდაექვსი გაყოფილი ჩვიდმეტზე — ოცდათორმეტი და დაახლოებით ას თვრამეტი მეათასედი. იგი მეორე კლასში იყო, მაგრამ მეოთხეკლასელთა ამოცანების გამოყვანა შეეძლო უკვე. რას ფიქრობს ეს უტვინო ზანგი? ჩავარდნილ მკერდზე წაივლო ხელები.

— მე თვითონაც არ მინდა იმათთან თამაში! გესმის, შავო ჩერჩეტო! — დაუყვირა ნებუს.

ნებუმ ცეცხლს შეუკეთა და გამოქვაბულში ცოტათი დათბა. ბიჭი კიკუიუს ენაზე ლაპარაკობდა, მაგრამ ნამდვილი ბვანა იყო, ერთი ბვანათაგანი. ნებუს თავისი სიამაყე შველოდა. როცა კაცს რასმე მოპარავ, ვალდებული ხარ იმდენივე ან უფრო მეტიც დაუბრუნო. რამე ნაკლებღირებულის დაბრუნება უპატიოსნებაა. ხეიბარ ნახევრადბვანას ნებუს თვალში ფასი მოემატა იმის წყალობით, რომ კიკუიუს ენა იცოდა. ჯერ კიდევ ბევრ რამეს ისწავლის ნებუსაგან, ვიდრე თეთრკანიანებს დაუბრუნდებოდეს. იქნებ მათი ერთად მგზავრობისას ბიჭს კიდევ უფრო დასაფასებელი თვისება გაუჩნდეს! აღელვებული მოუთხრობდა ყოვლადძლიერს ნებუ, როგორ დააშუქა მის არსებას მზის სხივმა. ისევ აიღო შაშხანა. მაგრამ ყოვლადძლიერმა თითები გააშლევინა და თოფი ხელიდან გაუვარდა. ძილი ერეოდა და გრძნობდა ამ ამბავს.

საჭირო არაა საქმის აჩქარება. იმავე წამს იგრძნობს, როგორც კი ყოვლადძლიერი კმაყოფილი შეიქნება მისი.

შაშხანა ახლოს მიიჩოჩა, საბანში გაეხვია და ცეცხლისკენ ფეხშექცეული დაწვა. ხოჭო ისევ უკაწრავდა ფერდს. ეს ტკივილიც შურისსაგები ტკივილია. ასეთია კანონი.

XIV

ღამით ფარჩხი ერთიანად დაიწვა. ცეცხლი ჩაქრა. ბიჭს დაძინება არც უცდია — იწვა და წვიმის ხმას უსმენდა. გამოქვაბულში სინათლეს ჩრდილები მოეძალა, გარეთ ღვარცოფები მიშხუოდა ველურად. ვეება ქვები ხეთქებით მიგორავდა.

ეს ისეთივე უაზრობაა, როგორც აღსარების დროს სიცრუის თქმა. ჰო, ასეა, სწორედ ასე. ისეთივე საძაგლობაა, როგორც აღსარების დროს მოტყუება. აქამდე ვერაფერი გაუკეთებია საიმისო, რომ შავკანიან რეგვენს რამე დამართოდა. როცა ღვიძლ მამაზე იყო საქმე, კაცი ხელის მოცარვას კიდევ

ახსნიდა როგორმე. მამამისი როდი ხუმრობდა, ღამღამობით ხელებს რომ უკოჭავდა. ის კიდევ თავის მხრივ ნამდვილ სახიობას მართავდა: ძილის წინ მორჩილად მუხლს მოიყრიდა, ხელსაბამით გათოკილ თითებს შეაერთებდა და სახეზე ანგელოსურ გამომეტყველებას აღიბეჭდავდა — ზუსტად ისევე, როგორც ნაირობის ეკლესიაში კედლებზე გამოსახულ ანგელოსებს ჰქონდათ.

მერმე „მამაო ჩვენოს“ ჩაიკითხავდა და გულაჩუყებული მოაყოლებდა: „ღვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდეს“, „კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა“. როგორ აწრიალდებოდა ამ დროს ის წითური ხარი! „ეკვედრე ღმერთს ჩვენ ცოდვილთათვის!“ თან მამას თვალს არ აცილებდა. მაგრამ წითური ხარი საბოლოოდ ვერაფრით მოაღორა. გაკოჭილ ხელებს არ უხსნიდა. ახლა კი თავისუფალი და ხელგახსნილი იყო.

თავი ასწია და ზანგს თვალი შეავლო. საბანში გახვეულ ნებუს ღრმად ეძინა.

ეძინა მსგავსად მისი მიწისა, მსგავსად ჯერაც დაურბეველი და გაუძარცვავი ტყეების და მდინარეებისა. თვალები მაგრად დაეხუჭა, მხოლოდ საბნის რხევაზე თუ შეატყობდით, რომ ცოცხალი იყო. მისი ძილი მისივე ქვეყნის რიტმს იყო შეწყობილი; წვიმას რომ გადაეღო ან უეცრად ქარი ჩამდგარიყო, იმავ წამს გაეღვიძებოდა. გაეღვიძა კიდეც, როგორც კი დედამიწა მზის მხარეს მიიქცა.

ისევე გამოცურდა ძილის წიაღიდან, როგორც ამ რამდენიმე საათის წინ შეცურდა მასში. ჩიტის ფრთის შერხევასავით ძლივს გასაგონი იყო ფაჩუნი ნებუს გამოღვიძებისა, მაგრამ ბიჭის აზრები ინტენსიურად გამოსხივდებოდნენ და ისინი უმალვე გადააწყდნენ ამ ფაჩუნს. ეს იყო გაფრთხილება. მჭრქალი სახე მოექცა ბიჭს. ძირს დაგებულ საბანზე წამოწვა. შავმა თვალებმა კი მეყსეულად შემოურბინეს გამოქვაბულს, ბერე შემოსასვლელს მისწვდნენ. გარეთ ღვართქაფი არ შეწყვეტილიყო. ბნელოდა, მაგრამ ნებუს ესმოდა რიჟრაჟის მოახლოება. ეს ამბავი წრიპინით აუწყა სველმა და შემცივნულმა

ხვლიკმა, რომელიც ფოთლის ქვეშ მიყუჟულიყო. ამავე ამბის გამო ჩაახველა წვიმით თავგაბეზრებულმა დიდმა კატამ. ნებუ წამოჯდა, ნაკვერჩხლებს რამდენიმე ჩინჩხვარი შეუკეთა და ჩრდილებმა უკან გადაინაცვლეს.

ღამით ჭრილობაში ჩაბუდებული ხოჭო გაზრდილიყო. ბრჭყალებით ზანგის შიგანს ეჭიდებოდა და კაწრავდა. ტკივილი მუცელშიაც აქოთქოთდა. როდესაც მასაის მამაკაცებს ორმოცი წელი შეუსრულდებათ, ჯანიანნი და ახალგაზრდანი მათ შამბნარში სტოვებენ ხანდაზმულ ცოლთა და მძლავრ ლომთა ანაბარა. მაშინ მოხუცებულნი მდინარის პირას შესერს აღმართავენ, ნაკელისაგან აგურს ამზადებენ, სახლს აგებენ და სიკვდილის მოსვლას შიგ ელოდებიან. გზად მიმავალი ზოგჯერ წააწყდება ხოლმე ამგვარ ბერიკაცებს; არწივისებური თვალები ჩაჰქრობიათ, ქუთუთოებზე ძარღვები დასჩნევიათ, ბებერი ძვლები იდაყვებთან და მუხლისთაებთან გამოჩრიათ, მუცელი გაბერვიათ და ბურთივით დამრგვალებიათ. ხელთ რომ შუბი უპყრიათ, ის შუბი თითებშუა ამოტყორცნილ მზის სხივს აღარა ჰგავს, ყასბის ნაჯახს უფრო მოგაგონებთ. საქონელს იქვე სახლთან იბამენ და აღარც შოლტი სჭირდებათ ჯოგის გადასადენად.

*

* *

ნებუს ახსოვდა, როგორ დიდებულად აშუქებდა მთვარე იმ დღესასწაულზე, როდესაც იგი ჭაბუკ მეომრად ცნეს. ისიც ახსოვდა, როგორ გაემართა პირველად სათარეშოდ კოკოსთან ერთად, როგორი გააფთრებით შხუოდა მაშინ შოლტები. აქაურ ახალმოსახლეთაგან ერთი კონსტებლი შეიპყრეს. ბაზრის გზაზე მოიგდეს ხელში, თავში დარტყმით დაარეტიანეს და ჯუნგლებში შეათრიეს. ეს იყო ჟამი განუცდელი გრძნობისა.

— შეხედეთ მაგას, ყველამ შეხედეთ! — შეჰღრიალა ახალშემომატებულთა გასაგონად კოკომ. — შეხედეთ და განიცადეთ განუცდელი გრძნობა!

და ტალახში მობუზული თეთრკანიანი კონსტებლი შეძრწუნდა მათი შემხედვარე.

— დაგვიჩოქე, ურჩხულო, მუხლი მოიყარე აფრიკის წინაშე! — შეუყვირა კოკომ. — დაჰხსენი ჩემი ბიჭები განუცდელი გრძნობისაგან! შეეჩვიონ ზვიადად დგომას მუხლმოყრილი ბვანების წინაშე!

და შოლტებდაბღუჯულ ჭაბუკ მეომრებს წამუყო — შეუდექითო! ნება-ნება განძარცვეს სამოსისაგან კონსტებლი. მწყემსის შოლტებმა ნაფლეთებად აქციეს მისი ტანსაცმელი. სულ გააშიშვლეს თეთრკანიანი და იგი აბაზანაში ჩაგდებულ ჩვილს დაემსგავსა. იკლაკნებოდა მათი დარტყმებისაგან, ყვიროდა, ღმუოდა ლაფში ამოსვრილი. ხოლო ჭაბუკ მეომრებს, განსაკუთრებულ მდგომარეობამდე იშვიათი მწყემსები რომ იყვნენ, იმ მეომრებს წვეთი სისხლი არ დაუქცევიათ მისი, ვიდრე მთლად არ გააშიშვლეს. ამის მერეც სისხლმა ნემსის ყუნწისოდენა ლალისფერ წვეთებად გამოჟონა მხოლოდ.

*

* *

ფეხები ცეცხლს მიუფიცხა ნებუმ და ფერდში კვლავ აუვარდა ტკივილი. საბანი გადაიძრო, კურტაკის კალთა აიწია და დაინახა, როგორ აყვავებულიყო სხეულში დაგროვილი შხამი. ღამით სიმსივნე მუშტისოდენა შექნილიყო. ხელები ცეცხლზე შეითბო და ჭრილობას დააჭირა. კბილები აუღრჭიალდა შეკავებული ტკივილისაგან. საბნიდან გამოძვრა, შემოსასვლელისაკენ გასწია, სველი თიხა მოფხოჭა და ჭრილობაზე მიიდვა. ტკივილმა იმძლავრა თითების შეხებაზე. ზეაიხედა. ხეთა წვეროკინებიდან ვიწროდ გახელილი თვალებით უმზერდა რიჟრაჟი. ისევ ცეცხლის პირას დაბრუნდა.

ბიჭი წამოდგა და უთხრა:

— გესმის, როგორ ასხამს წვიმა?

ნებუ ქალალდის პარკიდან წყლიან კარდალაში ჩაყრილ სუპს ურევდა.

— მამაჩემი მიამბობდა — ინგლისში ასეთ თავსხმაშიც შეიძლება გადაეყარო კაცს, რომელიც სალამს მოგცემს და გეტყვის — ხომ მშვენიერი ამინდიაო?

ნებუმ კოვზი გვერდზე გადადო, შეხედა და კიკუიუს ენაზე მიუგო:

— კარგი ამინდი გულში დგას ხოლმე.

ბიჭმა გაიცინა. ახლა ისიც კიკუიუს ენაზე ალაპარაკდა:

— სანამ ბანდიტობას დაიწყებდი, ალბათ მქადაგებლად იყავი შენს სოფელში.

— ყველა მქადაგებელი ბანდიტია და ყველა ბანდიტი — მქადაგებელი. ყველა ბელადი გლახაკია და ყველა გლახაკი— ბელადი. ყველა ადამიანი ადამიანია, როცა ადამიანობა ეთქმის.

ბიჭს თვალები ჯუციმციმდა. ხმა მხიარული გაუხდა და აუწკრიალდა.

— იცი, მე მომწონს, ასეთი ყბედი რომ ხარ. იმიტომ ხომ არ აყბედდი ასე, კიკუიუს ენაზე რომ ლაპარაკობ? ან იქნება წვიმა გალაპარაკებს? მამაჩემი მეუბნებოდა —მთვარის გავსებისას და წვიმახშირობის დაწყებისას ყველა ზანგი გაცოფდება ხოლმეო. მართალია, გენერალო ნებუ? მითხარი — შენც ცოფდები ხოლმე დიდი წვიმების მოსვლისას?

ბიჭის სიტყვები ნებუს ცნობიერებას ასცდა და გამოქვაბულის შემოსასვლელში გაუჩინარდა. ზანგს თავი საპნის ბუშტივით გასიებოდა და ეს საპნის ბუშტი ახლა ერთი აზრით იყო გამსჭვალული: ეს ბიჭი ერთი თუთიყუშივით ყბედი ყმაწვილია და მეტი არაფერი. არ შეიძლება მან იცოდეს ყოველივე, რაც მაშინ მოხდა.

— ერთხელ მაინც მანახა ჩემს სიცოცხლეში, როგორ გაცოფდები, — თქვა ბიჭმა და მის ფერმკრთალ, გაძხდარ სახეზე მომჯადოებელი ღიმილი აისახა. იგი გადაიზნიქა, ხელები მუხლსა და ზედ გადადებულ მტკივან ფეხს შემოჰხვია.

ნებუმ შეჭამადი ცეცხლიდან ჩამოდგა, ორ ჯამში ჩაასხა და ერთი ბიჭს გაუწოდა.

— ჭამე, ენაგრძელო. დღეს დიდი გზის გავლა მოგვიწევს.

ღიმილი გაკრთა ბიჭის ბაგეზე. ჯამი ჩამოართვა, ოღონდ კერძისთვის პირი არ დაუკარებია, ნებუს დააშტერდა. მაგრამ ნებუ უკვე ჭამით იყო გართული, ხოლო მისი ფიქრი სადღეი-

სოდ მონიშნულ გზას მიჰყვებოდა. მდინარეები ახლა ადიდებულია და დამღუპველი, წვიმა მატებს მათ ძალას. შორი გზებით მოუხდებათ სვლა, რომ ჩქერებს შემოუარონ. მის ფერდში ბაღი გაფურჩქნულიყო. ნებუ გრძნობდა, როგორ იზრდებოდა იქ ფერად-ფერადი, შხამით სავსე ყვავილები. ნებუ გრძნობდა ბიჭის დამცინავ მზერას, რომელიც მჭრელ დანასავით სიგრძე-სიგანეზე სერავდა მის სახეს. მაგრამ მაინც არაფერს იმჩნევდა.

— ნეტა რაში გჭირდება, თან რომ მიმათრევ? — შეეკითხა მოულოდნელად ბიჭი. მას ჯამი დაბლა დაეშვა და ნებუს შესცქეროდა. — რა, გამოსასყიდზე ფიქრობ? როგორც წიგნებში წერია?

კიკუიუს ენაზე „გამოსასყიდი“ და „ნადავლი“ ერთი და იგივე სიტყვით აღინიშნება. ნებუს თავში აღძრულმა სიცილმა ერთ იარდზე ისკუპა, მერე იქიდან შემოხედა და უკანვე დაბრუნდა.

— შენ იცი, მე არავინ გამაჩნია, სულ არავინ, — ბიჭი ნაღვლიანად ლაპარაკობდა. — ერთადერთი, ვინც მყავდა, შენ მომიკალი.

— ჭამე! — უხეშად უთხრა ნებუმ.

ბიჭს თითები დაეხსნა, ჯამი ხელიდან გაუვარდა. დაღვრილი შეჭამადი ცეცხლის პირას ნაკვერჩხლებზე აშიშხინდა. ბიჭი ახალ მთვარეზე გადამჯდარიყო და იქიდან დასცქეროდა ნებუს.

— შენ მამაჩემის ხმას გიგავს ხმა, — საიდანღაც ზემოდან ჩამოისმოდა სიტყვები.

ნებუ ძირს დავარდნილ ჯამს დასწვდა და ისევ ბიჭს გაუწოდა. მერე ზურგჩანთა მიწაზე გაშალა და შიგ ჩაყარა სხვისი ავლადიდება: წყვილ-წყვილად დაგვარგნილი წინდები, ახალგარეცხილი, უხერხულად დაკეცილი საცვლები, კოლოფში ჩამალული დიდი სამართებელი.

„შეიძლებოდა ისეც მომხდარიყო — მე კი არ მომეკლა ბვანა, იმას მოვეკალი, — ესიტყვებოდა თავისთავს ზურგჩანთის შეკვრისას. — რადგან სიკვდილი მხოლოდ იმის დამამტ-

კიცებელია, რომ კაცი იმდენად ზანტი ყოფილა—სასიცოცხლოდ არ გაჩენილა. სიკვდილი იმას ნიშნავს, კაცი ვერ ასწრებს დროზე აერიდოს გამოტყორცნილ ისარს, ვერ ასწრებს მოიგერიოს ძილის ავადმყოფობის შემყრელი ბუზი, ვერ ასწრებს გვერდზე გახტომას ხის წაქცევისას. და მაინც ზოგჯერ კაცს არ შეუძლია ზანტი არ იყოს. ასეთია კანონი".

დიდის ამბით უღრმავდებოდა ამ აზრს ნებუ და თავადვე ისე აოცებდა ეს აზრი, როგორც ლექსი აკვირვებს ზოლმე ადამიანს. „ზოგჯერ ქარი წვიმას წინ გამოუსწრებს და მთებთან მოჭრილი ოდნავ შეყოვნდება. მაშინ მეომარნი შუბებით ჰკვეთენ მას. მაგრამ ხომ არ კვდება ქარი? ქარი ისევ ცოცხლობს. ქარი წვიმას შეერთვის. და წვიმა იქცევა ბრწყინვალე მხედრობად, რომელსაც დროშები გაუშლია, მოჰქრის, მოჰქრის და ვერცხლის ნალებით აზანზარებს დედამიწას. და მაშინ ბებერი, ქედმოდრეკილი მიწა უკან იხევს, უკან იხევს და საცოდავად იბუზება".

გიბსონის ჩექმის რბილ ტყავს ხელი მოუთათუნა და თქვა:

— როდესაც ნებუს მოკლავენ, მისი არსების ნაწილი კოკოს ან იქნებ რომელსამე სხვა მეომარს გადაეცემა და ძალას შემატებს. არავინ იცის, ვის შეეძინება ეს ძალა, ისე როგორც არავინ იცის, ვის გადაეცემა ძალა ქალის ხვევნა-ალერსის დროს მიცვლილი მამაკაცისა.

რბილ ტყავს ნები გადაუსვა, შორით გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას.

— ორი მხრით მონაბერ ქარსა ჰგავს სიცოცხლე, ჯერ აღმოსავლეთით და მერე დასავლეთით მონაბერ ქარს. ქარი შეიძლება ჩადგეს, მაგრამ სიკვდილით არასოდეს მოკვდება. — და ბოლოს ასპარეზს მოევლინენ თეთრკანიანთა ცხოვრების სურათები: — ნაირობის მაღაზიებში დაწყობილი ძეხვების ძეწკვსა ჰგავს სიცოცხლე. ერთი ძეხვის დამჭკნარი, მოჩვარული ბოლო მეორისას უერთდება და კვლავ იწყება სავსე, გატიკნილი ძეხვი.

— ბუს კვერცხები, — წაიჩურჩულა ბიჭმა ინგლისურად.

ნებუ ზურგჩანთის შეკვრას მორჩა და ბიჭს იმ სიტყვებით

მიმართა, რომლითაც მგზავრობად იწვევენ ხოლმე უხსოვარი დროიდან:

—მოდი, ვნახოთ ერთი, მოსახვევს იქით რა უნდა იყოს!

XV

—შენი ჭრილობა საშიშია, — ალერსიანად უთხრა ბიჭმა. იგი შეჩერებულიყო და კითხვის ნიშანსავით მოკაკული ჩამოჰკონწიალებოდა ყავარჯნებს, თან ნებუს სახეს უკვირდებოდა. — შხამია შენს ჭრილობაში.

თავდაპირველად გზას რომ გამოუყვენ, ჭრილობა ძლივას ბეუტავდა ფერდში, მაგრამ როცა ნებუმ წაიფორხილა, დამაბრმავებლად იფეთქა.

სუნთქვა შეიკავა. შუბლზე ოფლმა გამოასხა. ყურს უგდებდა თავისსავე არსებაში მოღაღადე ტანჯვის ხმას და მის დაცხრომას ელოდებოდა. თავში ჩაიბეჭდა ერთი აზრი — ბიჭს წრფელი სახე არა აქვსო.

ფერმიმკრთალი, უღიმღამო დღე გაჭირვებით მოიპარებოდა ხეებს შორის — მზეს თავისი სისხლით არ გაევსო მისი ძარღვები. ქარი მიწაზე აწვენდა ბუჩქებს. წვიმა დილანდელივით კოკისპირულად აღარ ასხამდა, მაგრამ ნებუმ იცოდა — მალე ისევ თქეში წამოვიდოდა. მუდამ ასეა ხოლმე წვიმახშირობის დაწყებისას. ერთ ხანს ანჩხლი ცოლივით ყვირილსა და მუქარას მოჰყვება წვიმა, მერე თვინიერი და ნაზი შეიქნება, როგორც ახლაა. მაგრამ როგორც კი თავს გაიშიშვლებ და ხელებს გაიწვდი გასაგრილებლად, უმალ დაგაცხრება და ყოველგვარ იმედს გაგიქარწყლებს. ცხოვრება ზოგჯერ წვიმასავით მარჯვედ გააცურებს ადამიანს. ან იმ ველის ტბასავით მოაღორებს, რომლის მოლივლივე ზედაპირის საფარქვეშ უზარმაზარი ნიანგებია ჩასაფრებული.

ტკივილი დაუამდა, ახლა ნაძვის წიწვების ნაზ ჩხვლეტას გრძნობდა ფერდში. ხელახლა დაწინაურდა. შორს წვიმა ხმაურობდა. მაღალი ბალახის ვიწრო ზოლს მიჰყვებოდნენ. შორიახლო ბამბუკების კუნძულს კატასავით ფრთხილად წამოეყო თავი. ნებუმ ბიჭს ხელით ანიშნა — შეჩერდიო, თავად კი

ბამბუკებისაკენ წავიდა. ექვსიოდე ღერო მოჭრა, დაბრუნებულმა გასხლა, ეკლიანი რტოები მოაცილა. როცა ისევ ტყეში შევიდნენ, დადგომა ბრძანა ნებუმ. მერე ბამბუკის ღერები სიგრძივ დახლიჩა და თითო ფუტის სიგრძეზე დაჭრა. ბოლოს ლიანები დასხიპა და რამდენიმე ჭილობი დაამზადა. ორი ჭილობი თავად ამოიკრა, ერთი ბიჭს ამოუკრა ჯანსაღ ფეხზე, ორიც კიდევ ყავარჯნებისთვის იხმარა. ბიჭმა ხელახლა გასინჯა თავისი ყავარჯნები და დარწმუნდა, რომ ახლა სვეტივით მტკიცედ შეეძლო ჩამდგარიყო ტლაპოში.

— შენ ძალიან ჭკვიანი ხარ შავკანიანის პირობაზე, — ინგლისურად თქვა ბიჭმა, მერე კიკუიუს ენაზე გაიმეორა იგივე, ოღონდ სიტყვა „შავკანიანის“ ნაცვლად „კიკუიუ“ იხმარა.

წვიმამ ხელახლა კოკისპირულად წამოუშინა, იქაურობასაც მოსწვდა და ხეებს თავები დაახრევინა. ბიჭსა და ნებუს წყალი ისე ჩამოსწურწურებდათ, თითქოს სველი ქოლგები ყოფილიყვნენ. მაგრამ რეზინის მოსასხამებქვეშ შეფარებულთ წვიმა ასერიგად არ აშინებდათ, წყალი მხოლოდ კოპებთან ეხებოდა მათს სხეულებს.

— ზოგი კიკუიუ ჭკვიანია, ზოგიც სულელი, — თქვა ნებუმ თავის ენაზე. — ზოგი თეთრკანიანი ჭკვიანია, ზოგი კიდევ სულელი. მითხარი, შენ ჭკვიანი თეთრკანიანი ბიჭი ხარ თუ სულელი?

ბიჭმა ჩურჩულით უპასუხა. ნებუმ შაშხანა მხრიდან ჩამოიღო, ხელში დაიჭირა. ყველაფრით ისეთივე იყო ეს შაშხანა, როგორც კოკოს იარაღი: გაზეთილი ლულა, რომლიდანაც წყალი ისე მოსრიალებდა, თითქოს გარეული იხვის ზურგი ყოფილიყოს, გაუმაძღარი ხახა, მშვიდი და ზუსტი ჩახმახი. თავისთავზე გაეცინა ნებუს: მართალია, კოკოს შაშხანების ტყუპისცალია ჩემი შაშხანა, მაგრამ უწყინარი ხასიათი აქვს, ხმამაღალ ლაპარაკს ერიდებაო. აი იმ დაღვლარჭნილი ბებერი ზეთისხილისთვის რომ დაემიზნებინა თავისი ტყუპისცალი და საკმაოდ დიდხანს დალოდებოდა, უეჭველად მოკლავდა ქვედა ტოტზე მჯდარ ცხოველს, რომელიც უნდა ყოფილიყო. და ზეთისხილს მიახლოებულმა ნებუმ უეცრად თვალი ჰკიდა მუ-

რა ფერის, სველ, ხალიჩის მსგავს არსებას, რომელიც ტოტზე ნებივრად მოკალათებულიყო. სუნთქვა შეეკრა ნებუს. შაშხანა მის ფერხთით დავარდა, ხოლო ხელი მყისვე ამოქმედდა. რკინის მძიმე შუბი ხელისგულზე მოექცა, ცერსა და საჩვენებელ თითს შორის გაწონასწორდა. ნახევრადმოხრილი ფეხი წინ ჰქონდა წადგმული ნებუს და ლეოპარდის ნახტომს ელოდებოდა. წვიმით მოსილ ტყეში ვეება კატის ნახტომს ელოდებოდა ნებუ და ამ მოლოდინის თანმხლებ გაურკვევლობის გრძნობას მის არსებაში დაერთო ნათელი შეგნება იმისა, რომ ლეოპარდს მისთვის თავი დაევლო, სწორედ მას ჩასაფრებოდა. შემაშფოთებელი იყო ეს აზრი, მოულოდნელი და წონასწორობის დამკარგვინებელი.

მძიმე თავი შექანდა, მომწვანო-მოყვითალო თვალები წამით ნებუს თვალებს შეხვდნენ. მერე ლეოპარდი ერთი ნახტომით გაუჩინარდა შამბნარში. და ნებუ მეტად და მეტად დარწმუნდა, რომ ლეოპარდი სწორედ მას ასდევნებოდა.

XVI

დაბინდებამდე გამოქვაბული მოძებნა ნებუმ და იმდენი ფარჩხი მოიმარაგა, რამდენიც საჭირო იყო გუნებაწაუმხდარად ღამის გათევისათვის. შესასვლელთან ქვების ზვინი პირამიდასავით აღმართა, რომ გამოქვაბულში მხეცები ვერ შეეჭრილიყვნენ. მერე ჭრილობა გაისინჯა და ჩირქი დაყნოსა. დილით ისევ იგრძნო ჩირქის სუნი და ტკვილიც აჰყვა. ეშინოდა ჭრილობის ხელის ხლება. იცოდა — საშიში ჭრილობა იყო, მაგრამ სველი თიხის გარდა სხვა რამ წამალი ვერ მოეგონებინა. მის მშობლიურ სოფელში მოხუცი დედაკაცები ჭრილობას დაღეჭილი ბალახის საფენს დაადებდნენ და ადვილად შეუხორცებდნენ. მაგრამ აქ, ამ უღრანში, ნებუ იყო ლომებისა და ლეოპარდების ამარა მიტოვებული ორმოცი წლის ბერიკაცი. ახლა სადღაც ახლომახლო დაძრწის ლეოპარდი, სიბნელეში დაგზნებულ კოცონს შემოჰყურებს და თავში ათასგვარი კადნიერი აზრი მოსდის. ოღონდ იმას არასგზით იფიქრებს ცეცხლით მოზღუდულ ადამიანს მიეჭრას. ვერც

ერთი ლეოპარდი ვერ გადალახავს ცეცხლის ზღუდეს. იგი დაგელოდება, ვიდრე შენში უზრუნველობა კეთილგონიერებას დაძლევდეს, ვიდრე ცეცხლის რკალიდან გამოხვიდოდე. მაშინ კი დაგახტება ზურგზე და კბილებს იქ ჩაგანობს, სადაც კისერი მხრებს უერთდება. დაგახტება და ვეღარც მოიშორებ. ნებუმ ერთხელ ნახა, როგორ მიიკვლევდა ჯუნგლებში გზას ლეოპარდი და პირით თხას მიაპორწიალებდა. თხა ჯერაც ცოცხალი იყო, შიშისაგან გამომეტყველება დაჰკარგოდათ მის თვალებს. ლეოპარდი გვერდულად უთვალთვალებდა ნებუს. ავის მომასწავებელი ღრიალი ჯაგარივით აეშალა ხახაზე. ეკლის გვირგვინს მოგაგონებდათ ეს ღრიალი, დაკრუნჩხული თხისთვის შეთხზულ ეკლის გვირგვინს.

საბანში გახვეული ნებუ ცეცხლის პირას იწვა და მირიად მოგონებებში იყო დანთქმული. მაგრამ ჩირქის სუნის შეგრძნება მაინც ვერ განეშორებინა.

ბიჭსაც არ ეძინა. იწვა და იგონებდა, როგორ დაიჭირა ერთხელ ნაირობში თაგვი და მამამისის კატასთან ერთად მოამწყვდია დაგმანულ ოთახში. თავად სარკმლიდან უთვალთვალებდა, როგორ დაწრიალებდა წრუწუნა, როგორ ხტებოდა, ყალყზე დგებოდა, მაგრამ თავი ვერაფრით დაიცვა, როცა თათი დაჰკრა კატამ. თაგვს ხერხემალი გადაუტყდა და ბიჭი ნეტარებამ აათრთოლა, როცა მოაგონდა მისი უმწეოდ გაფშეკილი ფეხები და პატარა კუდი, რომელიც მაინც კიდევ წრეებს ავლებდა, ვიდრე კატის ხახაში არ გაუჩინარდა. მოაგონდა, — როცა ყოველივე დასრულდა, ოთახში შევიდა, კატა ხელში აიყვანა, თათი აუწია და აღტაცებული დიდხანს ათვალიერებდა სიკვდილის იმ იარაღს, რომელიც ახლა ქარქაშში ჩამალული და უხიფათო იყო. და როცა ყური მოჰკრა, როგორ ბრუნავდა საბანში ზანგი, იდაყვზე დაყრდნობილი ალერსიანად შეესიტყვა:

— დილა მშვიდობისა, ნებუ. მგონი დღესაც მშვენიერი ამინდია, არა?

შესანიშნავად გრძნობდა თავს, ატაცებული იყო და წყალობის მადლით აღსებული.

ნაწილი მეორე

XVII

ლეოპარდი ნაშუადღევს გამოჩნდა. გამოჩნდა გამხმარ წაბლის ხეებთან. დაბალი ტოტიდან ისკუპა. გაწუწული იყო, გათოშილი და სიკვდილის შხამით მსუნთქველი. ჩქამის გაუღებლად ისკუპა ტოტიდან, ოღონდ ეს იყო — მოლიპულ ხის კანზე დაცურებულმა კლანჭმა გაიფხაჭუნა წამით. და როდესაც ნებუმ თვალი მოჰკრა, მხეცი უკვე მხრებზე ახტებოდა ბიჭს. ყოველივე თვალის დახამხამებაზე მოხდა, ნებუს მხედველობის არეში თითქმის არც კი გამოჩენილა ლეოპარდი, მაგრამ ჯუნგლებში შეძენილმა ინსტინქტმა ზანგი მოქმედებად აიძულა. ამ დიდ კატაზე სწრაფი იყო ნებუ და ფიცხლად შებრუნდა შუბშემართული. მაგრამ მხეცი ჰაერშივე დიდებულად გაუსხლტა, მხოლოდ გვერდი გაჰკრა შუბის ბუნიკს. და მაშინ ნებუს მხრებმა და მკლავებმა ნამდვილი მიწისძვრა იგრძნეს.

ლეოპარდი ოთხივე თათზე დახტა — წინა თათები მიწაზე გაუცურდა და მბდღვინავი მხეცი უკანებზე შემოუტრიალდა. დიდი თავი მარცხნივ გადაუქანდა და ნებუმ წამით დაინახა მისი მურა სამკუთხა ცხვირ-პირი. მძულვარება, გამძვინვარება და ავი ზრახვები იხატებოდა ამ სახეზე. ლეოპარდს ნებუს დატორვა ეწადა და წინ მოიწევდა. ნებუმ იმის დანახვაც კი მოასწრო, რომ ბრჭყალები გატალახიანებოდა. ბიჭმა შეჰკივლა და მიწაზე დავარდა. ამ ხმამ მიიპყრო ყურადღება ქვეწარმავლის მსგავსი თავისა და მისი დაღრჭენილი, ბასრი კბილების ორი მწკრივი გამოჩნდა.

— არა! — შეჰღრიალა ნებუმ.

რაიმეთი მაინც განერიდებინა ბიჭისთვის მხეცის ყურადღება!

შვიდფუტიან შუბს იქნევდა გამწარებული.

—არა, შე დამპალო, არა! აქეთ! აქეთ! მოიძიე შენი ულუფა, ლეშო!

ნებუ ისე იქცეოდა, როგორც ტყის კეთილშობილ შვილს შეჰფერის. მას მოესმა ლეოპარდის ბდღვინვა, თვალი ჰკიდა, როგორ შეტოკდა მისი კუდი, როგორ სალტესავით გადაეჭიმა მუცლის კუნთები. ღრიალით ისკუპა მხეცმა.

ის იყო ნებუს შუბი უნდა ეძგერებინა, ლეოპარდმა უკანა თათები მიწას ჩაასო, გაშეშდა, მერე უკუიქცა და ორიოდე ნახტომით შამბნარში გაუჩინარდა. ნებუმ შეიცადა, ვიდრე ხმაური და ლაწალუწი საბოლოოდ მიწყნარდებოდა ტყის სიღრმეში.

მერე სახე წვიმას მიუშვირა. წვიმა შეუპოვრად სცემდა შუბლზე, გაღებულ პირში ჩასდიოდა. თვალებს ახამხამებდა, რათა წყლით არ ამოვსებოდა. დაწმენდილი მზერა დაბლა მიმართა, ბიჭს დაჰხედა და მისკენ დაიხარა. ბიჭი უჩვეულოდ გატრუნულიყო, ფართოდ გახელილი თვალებით იქით იყურებოდა, საითაც ლეოპარდი გაუჩინარდა. ტკივილი რეკდა აფრიკელის ფერდში, ტკივილი უვლიდა მის სხეულს. ფეხის წვერებისაკენ ეშვებოდა და აუტანელი ტანჯვით აღავსებდა.

— შენ სასიკვდილოდ განწირული ხარ,—უთხრა ბიჭს და წელში გაიმართა.

— რატომ ამბობ მაგას, რატომ? — შემოხედა შეშფოთებულმა ბიჭმა.

საჩქაროდ საჭირო იყო პასუხის გაცემა.

— ეს ლეოპარდმა თქვა, ახალგაზრდა ბვანა, — მიუგო მან. — ლეოპარდმა თქვა, რომ შენს წასაყვანად იყო მოსული.

— ნუ სულელობ! — შეუყვირა ბიჭმა. იგი ყავარჯნებს

ეპოტინებოდა და წამოდგომას ცდილობდა. — შენ ცრუ-მორწმუნე ზანგი ხარ და მეტი არაფერი.

ყავარჯენს ერთი ჭილობი მოსძრობოდა. ნებუმ ჩაიმუ-ხლა და ისევ გაამაგრა.

— რატომ არ მოჰკალი ლეოპარდი? ისიც ზანგების ღვთა-ება ხომ არაა? — მასხრად იგდებდა ბიჭი.

როგორც ნახევრადბვანა ამბობს, ნებუს უნდა მოეკლა ლეოპარდი. შუბი უნდა ეტყორცნა — ირმის ნახტომის სი-შორეზე თუ იქნებოდა კატა მისგან. მაგრამ მისმა სხეულმა, რომელსაც აგრე მშვენივრად იცნობდა, შეუვალად განუ-ცხადა — ძალწართმეული ვარო. გული რომ გერჩის, ეს არ კმარა მომაკვდინებელი შუბის სატყორცნად. საამისოდ ერთ მოძრაობას მთელი შენი სისხლი, ყველა კუნთი და მთელი ცოდნა უნდა ჩააქსოვო. მხოლოდ მაშინ შეძლებ გულდაჯე-რებულად სტყორცნო შუბი. ხოლო ნებუმ რომ შუბიანი ხე-ლი შემართა, ბვანა გიბსონის ტყვიით მიყენებული ზიანი იგრძნო სხეულში. იმას თუ შეძლებდა, რომ დაეჭრა ლეოპარ-დი. დაჭრილ ლეოპარდთან შედარებით კი ახლად ბოკვერებ-დაყრილი ძუ ლომიც ცხვრად მოგეჩვენება.

— თეთრი ადამიანის შაშხანით უნდა მესარგებლა მისი შვილის დასაცავად, — თქვა ნებუმ. — მაშინ თეთრი ღმერ-თი შემიწყალებდა და თეთრკანიანის ვაჟის გადასარჩენად შაშხანასაც აალაპარაკებდა.

ბიჭის მზერა შავ კეფას ბასრ დანასავით ჩაესო, რადგან მოეჩვენა — დამცინისო ზანგი. თეძო ეწვოდა. მიწაზე რომ დავარდა შეშინებული, მაშინ გადაეყვლიფა. სამაგიეროდ მან ნებუზე ადრე შენიშნა ლეოპარდი. მაგრამ მაშინ აზრად არ მოსვლია — ჩემს წასაყვანად გამოცხადდაო. უცნაური რამ განიცადა ტალახმოდებული დაკუნთული თათების დანა-ხვისას... თათები მზად იყვნენ მას შემოხვეოდნენ. ბალიშე-ბიდან ნელ-ნელა თავს ჰყოფდენ ბრჭყალები, ისე ნელა, რო-გორც ღიმილი ეპარება გოგონას, როცა ფიქრობს — გიპ-წკინოს თუ არა. ზანგი სხარტად და მარჯვედ გაისარჯა, ამაზე არაფერი ეთქმის. მაგრამ როგორ ბედავს მის დაცინვას! გაუ-

გონარი ამბავია! შეურაცხყოფით აღსავსე დასცქეროდა ზანგის ხუჭუჭ თმას, როცა ის ყავარჯენზე ჭილობს ამაგრებდა.

ნებუ რომ წელში გასწორდა, ბიჭმა უთხრა:

— შენ შაშხანა არაფრად გარგია. ისევ ისა სჯობს, შენი უბრალო იარაღი იხმარო, შენი მშვილდი და შენი ისრები. რას მეტყვი ამაზე? მშვილდი რატომ არ იხმარე?

— შემართული მშვილდით არავინ დადის ტყეში.

— თეთრკანიანები ტყეში გატენილი შაშხანით დადიან, შავკანიანები კი შეუმართავი მშვილდით დაეხეტებიან, — მიმხვდარი კაცის კილოზე თქვა ბიჭმა.

— სწორედ მაგიტომაა, რომ შავკანიანებს ფათერაკი არ შეემთხვევათ ხოლმე, — გაიხუმრა ნებუმ. სახე გაქვავებული ჰქონდა. — თუ სმენია როდისმე ახალგაზრდა ბვანას, რომ შავკანიანი ისარს შემთხვევით მოეკლას? ანდა შუბს მოეკლას შემთხვევით? ეს იარაღებია აფრიკაში სახმარი.

— მაგრამ სწორედ თეთრკანიანთა შაშხანები კლავენ თქვენს მშვილდოსნებსა და შუბოსნებს! — შეჰყვირა გააფთრებულმა ბიჭმა.

— რამდენსაც გინდა, — მშვიდად გაეპასუხა ნებუ.

ნებუ გზას გაუყვა. ტკივილს არ იმჩნევდა, ოღონდ ფიქრობდა — გიბსონის სახლის წინ დადგმულ სილის საათს ჰგავსო ეს ტკივილი. სილა რომ ჩამოთავდებოდა, შეგეძლო საათი შეგეტრიალებინა და ყოველივე ხელახლა დაიწყებოდა. ტკივილი უნდა დაილიოს მის სხეულში, ერთი მარცვალიც აღარსად უნდა დარჩეს, ისევე როგორც სილის საათის ზედა ნახევარში აღარაფერი რჩებოდა, რათა სისხლი ხელახლა დაეწმინდოს, კუნთებს სისხარტე დაუბრუნდეს და თვალებს სინათლე, რათა უვნებლად გალიოს ჯუნგლები, რათა ამ ბიჭს, მის უკან მომავალ ყმაწვილს გაუძლოს როგორმე. ნებუს იმედი ჰქონდა სახვალიოდ გოგირდის ტბამდე მიეტანებინა. ეს სასწაულებრივ განკურნებათა ადგილი იყო.

•

• •

წვიმამ გაათკეცებული ძალით წამოუშინა. მძლავრი ქარი ეკვეთებოდა ხეებს, დიდრონთ არხევდა და ნორჩებს წელში ორად კეცავდა. ნებუმ ხელახლა წამოიხურა მოსასხამი. ბიჭს მოჰხედა,—ფერმკრთალი, შეშინებული გაჰყურებდა ბნელსა და აბობოქრებულ სივრცეს. ყვითელდაკრულ ბრუმეში ნებუმ გაარჩია წაბლის ვარდისფერი ყვავილები, წვიმის მიერ ჩამოფენილი და ლაფში არეული, გარეული ლელვის ფართო ფოთლები, ჩამონთქრეული წყლით სახეცვლილი და დამახინჯებული. და მას ისევ აღეძრა აზრი, რომელიც ბავშვობაში მოსვენებას არ აძლევდა: სად ჰქრებიან წვიმების დროს ლომები, კამეჩები და მარტორქანი? ან საით იმალებიან ანტილოპები და ნიამორები, დელგმა რომ წამოვა ხოლმე? არწივებსა და ღვთაებრივ ფლამინგოებს რაღა მოსდით? ქვებში ხომ არ იმალებიან და წვიმახშირობის გათავებამდე ხომ არ მოთქვამენ და არ იკლავენ თავიანთ მზვაობრობას?

იმ სანახებს იქით, რომლებშიც მისი ტომის წევრნი ნადირობენ, სადაც კუზიანი ბორცვები აღმოსავლეთისაკენ სამი დღის სავალზე ადი-ჩამოდიან, წვიმები რომ გადაიღებს, მზის პირველი სხივები ყვითელი სვეტებივით შვეულად ჩაერჭობა მიწას; მაშინ შეგიძლია დაინახო, როგორ ივსებიან ისინი ძალით, როგორ თრთიან და დიდდებიან, ვიდრე ოქროვანი სფერო მათ მთელი სიმძიმით დაემყარებოდეს. და აი, გორაკებსა და გორაკებს შორის უზარმაზარი, გახალისებული, მოხარხარე სივრცე გადაიშლება და ღამეული ბნელი ღმუილით გაეცლება იქაურობას.

ეს იყო დიდი ხნის წინათ. ისინი იწვნენ და ქოხის ღია კარიდან დღის შემოსვლას უჭვრეტდნენ. ამომავალ დღესავით ნორჩნი და ძალით აღსავსენი იყვნენ, მათში ჯერაც ხმიანობდა მუსიკის ხალისიანი რიტმები.

— მე ვინადირებ, ვითევზავებ, ვხნავ და ვთესავ, — თქვა

მაშინ ჭაბუკმა. — დაზამთრებულზე კი ძროხები და თხები მეყოლება მზითვად.

— მე დაველოდები, ვიდრე ჩემი ქმარი ამას გააკეთებდეს, — თქვა ახალმოყვანილმა ცოლმა. — როცა ჩემი ქმარი დამიბრუნდება, მე შვილებს გავუჩენ.

— ჩვენი შვილები სახელოვანი ვაჟკაცები შეიქნებიან, — თქვა ქმარმა.

— და ერთგული ცოლები.

— და სხვა სახელოვან ვაჟკაცთა დედები.

— და სხვა კეთილ ქალთა დედები, — დილის რიჟრაჟს უთხრა ქალმა.

— წუხელ... არ... გეშინოდა? — შეეკითხა გულადი ჭაბუკი.

იგი ისე შებრუნდა, რომ ქალის სახე დაენახა. გაოცდა მისი დამნახავი. ამ სახეზე აღბეჭდილმა ძალამ გააოცა. და შეშინდა, როცა ქალის ტირილი შემოესმა. ტკბებოდა მისი მკაცრად მოხაზული ბაგეების, ნათელი, მშვიდი შუბლისა და ნაზი თვალების მაცქერალი. იგრძნო — ყველაფერში შეიძლებოდა დანდობოდა ამ ქალს, მასთან ერთად პირისპირ უშიშრად დაუდგებოდა კბილდაღრჭენილ ლომებს, ან მოსისხლე მეზობელ სოფლელებს, ან კიდევ თეთრკანიანთა შაშხანებს.

— გეტკინა... წუხელის? — წესი მოითხოვდა ამის თქმას. — გეტკინა?

— ტკივილი ენაჭარტალა დედაბრების დანებმა წამართვეს, — უპასუხა ქალმა და ორივემ გაიცინა, რადგან გაახსენდათ ადათ-წესები, რომლებმაც ისინი დიდებად აქციეს. მაგრამ ამ წესებს ისინი არ დასცინოდნენ.

ვაჟმა თქვა:

— ხვალიდან ჩვენი ქოხის შენებას შევუდგები.

— დღესაც ხვალეა, დღესაც დროა, — უპასუხა ტომის მიერ მისთვის ცოლად შერჩეულმა ქალიშვილმა. — დღეს, ახლავე, ჩემო ზოზინა ქმარო!

მაგრამ ტკბობა ისევ იღვიძებდა მათს სხეულებში. დღეს ამ საქორწინო ქოხში მყუდროებას არავინ დაურღვევდა.

— შენი აზრით ნებუ უნდა გვეყოლოს? — სიყვარულს სიამაყეც მუდამ თან ახლავს.

ქალის თვალებში იმავე წამს პასუხი აინთო და მან აღელვებულმა გულიანად გაიცინა. იცინოდა და უკვირდა ვაჟის გულუბრყვილობა, ოდნავ ნაწყენიც იყო. ის, მისი ცოლი, ნაკურუს ახლო ულამაზეს გორებზე ადიოდა, ნაივაშასთან ტბაში ბანაობდა, კარტოფილისა და ბადოს ვეება კალათებით ჯუნგლებს ეწვეოდა ხოლმე; მისი ტანი დედოფლის სხეულივით გამშვენიერებულა და ღირსებისამებრ დაუკავებია ადგილი ნებუს გვერდით. თავსაც არ იცოცხლებს, თუკი ნებუს სიხარული არ მიანიჭა. საჭმელს დაუმზადებს და სარეცხს დაურეცხავს, მისი ჭურჭლისა და იარაღის მტვირთველი იქნება. ვიდრემდე უყვარს, ნაზი, ფრთხილი და ყინიანი სიყვარულით ეყვარება. მაგრამ გააღიზიანებს კიდეც ნებუს, მხოლოდ თვალებით გაეპასუხება, თუმცა კი გული სიხარულით ექნება ხოლმე ამღერებული.

— შენს თვალებში მერცხალმა გაიფრთხიალა, — უთხრა ვაჟმა.

— არა, — უპასუხა ქალმა, — მერცხალი მოფრინდა და შენთვის იჭიკჭიკა.

— ჩემთვის?

— ჩვენთვის, ჩვენი ვაჟებისა და ქალიშვილებისათვის.

ქალი მიამიტ თვალებში ჩაჰყურებდა ჭაბუკს და იქ კითხულობდა გულისპასუხს. არა, არ შემცდარა, მისი ღირსება რომ ირწმუნა. ქალი შებრუნდა და გარეთ გაიხედა. ხეთა წვეროკინების თავზე ხალისიანად ღვიოდა განთიადი. ჰაერში ჩიტები დანავარდობდნენ. სრულქმნილი და სიხარულის მომნიჭებელი იყო ქალის სხეული, მრავლის მომთხოვნი და მრავლისავე უხვად მბოძებელი, ნებუს სხეულთან ერთიანი რიტმით შეწყობილი.

XVIII

— საღამო წამოგვეწია, — უთხრა ნებუმ ლაფსა და ტალახში წვალებით მოკელანე ბიჭს, რომელიც მისი ბრძანების თანახმად ახლა წინ მიდიოდა. — ხვალ ან ზეგ თეთრკანიანთა გზას უნდა ვუწიოთ.

— თუ მანამდე ლეოპარდმა არ მოგიღო ბოლო. ჩირქის სუნით ხარ აყროლებული, — ღვარძლიანად მიუგო ბიჭმა.

— ჩირქის? უკეთური წყალის? ეს სიცოცხლის სუნია, პატარა ბვანა.

მაგრამ ნებუ თავადაც გრძნობდა ამ სუნს. თანაც ტკივილი მძვინვარებდა მის ფერდში. მთელ დღეს ებრძოდა ამ ტკივილს, რომელიც ხშირ-ხშირად შეჩერებას მოითხოვდა მისგან. ნებუს კი მხოლოდ ერთხელ შეეძლო შეჩერებულიყო, ისიც დასანაყრებლად. მაგრამ ახლა გადაწყვიტა და ეგ არის — გოგირდის ტბასთან უნდა დაყოვნდეს. სველმა თიხამ ჭრილობა ვერ დაუამა, ბალახების წამლად ხმარება კი ნებუმ კარგად არ იცოდა. გოგირდის წყალში ბანაობა დახოცავს მის ფერდში მობობოქრე სპილოებს. დილიდან ლეოპარდისათვის თვალი აღარ მოეკრა, მაგრამ იცოდა — სადღაც ახლომახლო დაძრწოდა მხეცი, საქარო მხრით მოსდევდა მათ, ტოტიდან ტოტზე მიძვრებოდა, მაღალ ბალახებს ეფარებოდა, არ ჩქარობდა, ტანის მოსაფხანად ან დასამთქნარებლად ჩერდებოდა კიდეც, მაგრამ ფხიზლობდნენ მისი ყვითელი თვალები და აქეთ-იქით ერწეოდა საზიზღარი თავი. მზად იყო მსხვერპლის შესახვედრად.

— მე... მე იმედი მაქვს, რომელიმე ქალაქამდე მიმიყვან,— პასუხის მოლოდინში ბიჭი გუნდასავით დაილია.

— თეთრკანიანებთან რომ მოხვდები, შიში აღარაფრის გექნება, — თქვა ნებუმ.

— ოღონდ ჩემი გზაზე მიტოვება არ იფიქრო. გზაზე მხეცები დაძრწიან ხოლმე.

— ეგენი ქალაქებშიც ბლომად არიან, — მოუჭრა ნებუმ.

ბიჭი გადაკრულს მიუხვდა და ჩაიქსუტუნა.

— ჰო, თეთრკანიანები ასო-ასო აგკუწავენ, როცა შეიტყობენ, როგორ მექცეოდი მე — ახალგაზრდა ბვანას. ესეც არ იყოს, ხომ ფაქტია, რომ შენ თვითონ ტყის ნადირი ხარ და მეტი არაფერი. ყველა შავკანიანი ტყის ნადირიაო — ამბობდა მამაჩემი.

— გუშინ ვინ გადაგარჩინა? — მშვიდად მიუგო ნებუმ,

რომელიც მიმხვდარი იყო — ამდენს მხოლოდ იმიტომ ტლიკინებდა ბიჭი, როგორმე მისთვის ეწყენინებინა.

— გამოსასყიდმა, — ჩაიცინა ბიჭმა. — შენ იმის იმედი გაქვს — ახალგაზრდა ბვანას გამოსასყიდად თეთრკანიანებს გვარიან ფულს დავცინცლავო.

წვიმა შეწყდა, მაგრამ ქარის ყოველ შემობერვაზე ხეებიდან წყალი მოთქრიალებდა. ზოგჯერ ქარს ტყისპირიდან მისი ქვეყნის ათასგვარი სურნელი მოჰქონდა. მაგრამ ნებუ ყურადღებას არ აქცევდა ამ სურნელს. იგი ბიჭზე ფიქრობდა.

— დაგენაძლევები, შენ ნანობ, ზანგი რომ ხარ.

„შენ მოიგებდი ამ სანაძლეოს,—ნებუს აზრები ნათელი და ცხადი იყო. — მოიგებდი იმიტომ, რომ მე დავიქანცე და მინდა ჭრილობა თეთრკანიანთა მაგიამ მომირჩინოს. მხოლოდ ამიტომ მოიგებდი ამ სანაძლეოს“.

— ზეგ იქ იქნები, — მშვიდად თქვა მან.

XIX

გამთენიისას ნებუმ უთხრა თავის ბელადს — გულს: „ბრძოლა მომქანცველია. იგი ჯერ საყვირს დასცემს, მერე კი გაბზარული დაფდაფივით ჟღრიალებს. და როცა გამარჯვება არ ძალგიძს, მაშინ მას შმორის სუნი აქვს“.

ეს გამთენიისას ჩაესმა ნებუს: მის გულში მძიმედ ბრახუნობდა, ხოლო მაჯებსა და საფეთქელში წკრიალებდა და რაკრაკებდა დოლი. ამ ხმებმა ყოველი მხრიდან მოიცვეს და გააყრუეს ნებუ. ტკივილი გაუმძაფრდა. მხარი შეიცვალა და ტკივილმაც იცვალა მხარი. წამოჯდა და ტკივილიც თან აჰყვა. განუშორებელ თანამგზავრად გადაექცა ტკივილი. ფეხების გამართვაც გაუძნელდა, რადგან ჩირქით დამძიმებოდა. ბეჭები შეესიტყვნენ ნებუს, დაბალი ხმით, მაგრამ საკმაოდ მკაფიოდ განუცხადეს — ჩვენ მზადა ვართ გემსახუროთო. მაგრამ ფეხების ბედი აწუხებდა.

თავად ფეხები ეჭვობდნენ — შევძლებთ თუ ვერა ყოვლადძლიერს ვუძღვნათ ციცაბო გზის მრავალი მილი, რომლის გადალახვაც გვიწერიაო. ღამით წელს ქვემოთ გვარიანად

შესიებულიყო ნებუ. მაგრამ გოგირდის ტბაც აღარ ეშორებოდა. ნებუ ამჩნევდა მისი სიახლოვის ნიშნებს და დარწმუნებულიც იყო, სახვალიოდ იმ ტბაში განიბანებოდა.

მიწას ძლივძლივობით მოსწყდა და ცეცხლის პირას მთელი ტანით აიმართა. დაუოკებელი კისერი დაეძაბა წამოდგომისას. ნერწყვი გადაყლაპა ნებუმ და სიმწრის გემო იგრძნო. შემოსასვლელისკენ გაემართა. მისი გზა ტკივილით იყო მოკირწყლული. გარეთ გაიხედა, მერე ცეცხლთან მიბრუნდა და ფიქრს მიეცა.

„თუკი შემიძლია მოვკვდე, ისიც შემძლებია, რომ გავიმარჯვო“, — უთხრა მან გულს. ბელადმა თანხმობის ნიშანი მისცა, შორეთიდან ისმოდა მისი ხმა.

ბიჭს აშფოთებდა და აღიზიანებდა ის ამბავი, რომ მომავალი ბნელით იყო მოცული. ზანგს რომ აჯობა, ამას გრძნობდა, მაგრამ ლეოპარდისას ჯერ ბევრს ვერაფერს მიმხვდარიყო. ცრუმორწმუნე ზანგს, რაღა თქმა უნდა, არ გამოსტეხია, მაგრამ ცხადად გაიგონა: მიწას რომ გაეკრა ლეოპარდი, მისი საკუთარი სახელი წარმოთქვა. ეს შავი იდიოტი კი ადგილზე წრიალებდა და თვალებს ქაჩავდა. ვერაფრით მიმხვდარიყო ბიჭი, საიდან შეიტყო ლეოპარდმა მისი სახელი. ირგვლივ მრავალი მილის სიშორეზე მისი მცნობელი არავინ იყო, ზანგისთვისაც კი არ უთქვამს თავისი სახელი. საიდან გაიგო მისი სახელი იმ აყროლებულმა კატამ? ო, იმდენი შეაძლებინა ნეტავი, რომ როგორმე თვითონვე გაუმკლავდებოდეს ლეოპარდს! მთელ ღამეს ამაზე ფიქრობდა, მაგრამ სასიკეთო არაფერი მოუვიდა თავში. მისი აზრი უმიზნოდ დარონინებდა სადღაც შორს, ზედეთში, და იქაურ მუსიკას იყო მიყურადებული. იგი უთვალთვალებდა, როგორ მიადგა გასასვლელს ნებუ და როგორ დაბრუნდა უკან. ჩირქის სუნს მთელი გამოქვაბული აევსო. ამ ზინზლიანს არაფრად ჩააგდებდა, ლეოპარდის გახსენება უწამლავდა სიცოცხლეს.

— ღმერთმანი, შენ ისე დააშინე, დაბრუნებას ვეღარც გაბედავს! — წამოიყვირა ბიჭმა.

ნებუმ ცეცხლს თვალი მოაშორა და მისი მზერა ბიჭის ცივად აკიაფებულ თვალებს წააწყდა.

— დილა მშვიდობისა, — თქვა ზანგმა. — დღეს მშვენიერი ამინდია.

ბიჭმა ჩაიცინა და ტუჩი მოილოკა. კარგად ესმოდა წვიმის თქრიალი.

— გახსოვს, გენერალო ნებუ, სწორედ ამას ამბობდა მამაჩემი. ესაა მშვენიერი ამინდი. შენ როგორ გგონია, დღეს გამოგვიჩნდება?

— ვინ, მამაშენი?

მოთმინებადაკარგული ბიჭი ფიცხლად გამოძვრა საბნიდან.

— ძაღლიშვილო! როგორ მიბედავ დაცინვას! ხომ მშვენივრად იცი, რომ ლეოპარდზე გეუბნები! შენი დოყლაპიობის წყალობით არ გაგვისხლტა ხელიდან?

— უთხარი შაშხანას ჩემზე ერთი სიტყვა და მაშინ ბვანა ლეოპარდის გამოჩენა ჩვენ ვეღარ შეგვაშინებს,—ნაღვლიანად თქვა ნებუმ.

ბიჭი დორბლებივით ისროდა სიტყვებს, მაგრამ მალედვე სძლია სიბრაზეს და უკეთური ღიმილით თქვა:

— შავკანიანის იარაღი შუბია და მშვილდი, რატომ არ გინდა შენი იარაღი მოიხმარო? გრცხვენია, ზანგი რომ ხარ?

ეს მშვილდი ექვსი ფუტის სიმაღლისა იყო. პირველი მშვილდი მპვეკის ხისგან გამოიჭრა ჯუნგლებიდან მშვიდობით დაბრუნების შემდეგ. უხუცესნი ჯუნგლებში გზავნიდნენ ჭაბუკებს, რათა ისინი შესჩეოდნენ თავისთავზე ზრუნვას, გამოწრთობილიყვნენ, სულით გაძლიერებულიყვნენ და ზვიად მეომარ ჭაბუკებად ქცეულიყვნენ. ნებუს ის დღეც ახსოვდა, როცა მშვილდი იქით გადადო და ბვანებთან სამუშაოდ წავიდა. ახლანდელი მშვილდი რამდენიმე წლის მერე გაიკეთა, მამაკაცური სიყვარულის ჟამის მომდევნო ხანს, მაღალ მთებში, მუდმივი თოვლის ხაზის ახლოს.

მშვილდი ხელში აიღო ნებუმ და, ვიდრე კარდალაში წყალი ადუღდებოდა, სინესტისაგან ოდნავ მოფამფალებული საბელი რამდენიმე დუიმით დაამოკლა. მერე მშვილდი მოზიდა — კარგად დავჭიმე თუ არაო, და იგრძნო, როგორ მოიზიდა იგი მის ფერდსა და დასიებულ ფეხებში. ხელი შეუშვა და მოზუზუნე საბელი, რომელსაც ვნება მის გარდა არავისთვის

მოუტანია, ნელ-ნელა დაცხრა. შუბლზე ოფლმა გამოასხა. გრძელი, მოქნილი და ძალიან ღონიერი მკლავები ჰქონდა. მდუმარედ დაჰყურებდა მათ და ფეხებზე ფიქრობდა. ოდესღაც მისი ფეხებიც გრძელი იყო, წვრილი და მუცელს მარჯვედ აკრული. ახლა ისინი სიგანეში წასულან, მსხვილ, ძირგამომპალ ხეებს, წყლითა და ქარით ნაწეწ-ნაგლეჯ ხეებს დამსგავსებიან და ლობიოს ღეროებზე მეტი სიმტკიცე აღარ შერჩენიათ. ყოველი იარდი თითო მილად ეჩვენებათ. ახლა ისინი ნაირობის უმაღლესი სასამართლოს პროკურორს ეკუთვნიან, ნებუსთვის უცხონი შექნილან.

— მგონი თავს კარგად ვერა გრძნობ, არა? — ალერსიანად ჰკითხა ბიჭმა. — ჩემთვის უნდა დაგეჯერებინა. ჭრილობას პირს გავუხსნიდი, მთელ ჩირქს გამოვრწყავდი. ხომ გითხარი ერთხელ.

„მცირედი მწუხარება, მცირედი ნაღველი, სიხარულით აღტყინება — ასეთია ცხოვრება“, — აშოშმინებდა გულს აფრიკელი.

გულში კი მისი ბელადი თანხმობის ნიშანს აძლევდა. ბელადი იღიმებოდა. წყალი ადუღდა.

ნებუმ კარდალა ჩამოდგა. მდუღარეში ორად გაკეცილი ჩვარი ჩადო, მერე კურტაკი გადაიწია და ჭრილობა გამოიჩინა. შეზარა მისმა დანახვამ. ბიჭი სწრაფად წამოდგა და ხტუნვა-ხტუნვით მიუახლოვდა.

— აბა, — თქვა ბიჭმა, — მომეცი, კარდალას მე დაგიჭერ! — მერე კარდალას ხელი სტაცა და ზანგს ახლოს მიუტანა.

ცხელი ჩვარი ჭრილობაზე მიიდო ნებუმ და სპილოები ფერდში დიდრონი ხეების ძირფესვიანად გლეჯას შეუდგნენ. ტკივილი გახმიანდა მთელ მის არსებაში და ამ გახურებულ ღრიანცელში უცებ ყოველივემ იფეთქა.

*

* *

ეტყობა, ყოვლადძლიერმა იგი შეთხზა ნატანჯი მცირე ნაჭრებისაგან, რადგან განუჭვრეტელი წყვდიადიდან დამაბრმავებელ კაშკაშა სინათლეს დაუბრუნდა. ნანგრევებს რომ თავს აღწევდა, იგრძნო — ფეხები სველი ჰქონდა. მერე მიწაზე

გადაპირქვავებული კარდალა დაინახა. გამოქვაბულის რომელიღაც კუნჭულიდან ბიჭი უთვალთვალებდა ნებუს.

— შენ მოულოდნელად შეინძერი, — დაიყვირა ბიჭმა, როცა ზანგის შავ თვალებში თავისი თავი ჯვარცმული დაინახა. — კარდალა... კარდალა ხელში გამვარდა და!..

მაგრამ ბიჭის გონებაში აღინიშნა, როგორ ჰგავდა ხეს, შავი ხის ნაფოტს ნებუს სახე. მასზე, ისევე როგორც მაშინ ძაღლის სახეზე, ტანჯვა არ აღბეჭდილა. ბიჭი გაცოფებული იყო, რომ ნებუმ ტკივილი არ დაიმჩნია. ნამდვილად უგრძნობელი ყოფილა. აბა ასეთი ტკივილისათვის როგორ უნდა გაეძლო? მართლა ცხოველებივით არიან შავკანიანები.

ზანგი გვერდზე გაჩოჩდა და ხრინწმორეული სუნთქვით ბიჭის ფიქრები დაადასტურა. ნესტოები გაითავისუფლა, თავი შეანჯღრია და ზედ ჩამომზღვლეული ტონობით მიწა ჩამოიბერტყა. ბიჭს ქვეშ-ქვეშ გაჰხედა. რწმუნდებოდა, რომ უკვე რაღაც-რაღაცეებს მიმხვდარი იყო და ნაღვლიანად ამოიოხრა. კარგიც კია, რომ ხოჭომ მიატოვა ჭრილობა და ახლა იქ სპილოები მძვინვარებენ. მას ძალზე იოლი საზღაურით სურდა თავის დახსნა. ერთობ იოლით.

— ახალგაზრდა ბვანა კიდევ მე მისაყვედურებს მოუქნელობას, — წყნარად თქვა ნებუმ. მაგრამ ბიჭის სახეს ვერაფერს შეატყობდი. თვალთა თაფლისფერი კარიბჭენი ყრუდ იყო დაგმანული. — მოდი შევჭამოთ რამე და გავუყვეთ.

მათ უკვე მრავალი კონსერვი შთაენთქათ, ასე რომ ტვირთი საკმაოდ შემსუბუქებულიყო. ნებუმ იმასაც მოაკლო, მარტო ის წაიტანა საგზლად, რაც გზაზე გასვლამდე დასჭირდებოდათ, დანარჩენი გამოქვაბულში დატოვა. მშვილდიც იქვე დააგდო, თან პანგა და შუბიღა გაიყოლა. პანგა ერთთავად ქამარზე ჰქონდა ჩამოკიდებული და უკვე მისი სხეულის ნაწილად ქცეულიყო, რადგან ნებუ ძილშიაც არ იშორებდა. შუბი ახლა მის სხეულზე ძლიერ იარაღად აღარ ჩაითვლებოდა, ხოლო მშვილდი სულაც ვერაფერს არგებდა — მოზიდვა აღარ შეეძლო. შაშხანა თან წაიღო ნებუმ.

სიჩქარეს ბიჭის კოჭლობა აფერხებდა, ასე რომ თავდა-

პირველად ნებუ საკმაოდ მსუბუქად მიაბიჯებდა, მიუხედავად დასიებული ფეხებისა. უცებ ბიჭის მხიარული ხითხითი შემოესმა.

— მე მგონია, სასაცილო ამბავი გვჭირს, გენერალო ნებუ! სასაცილო არაა? მე და შენ ორი ხეიბარი ვართ. ორი ხეიბარი. ღმერთმანი, ლეოპარდს გაუჭირდება არჩევანი — რომელი ჩვენგანი გადასანსლოს პირველად.

ნებუს არაფერი უპასუხნია. ძალას ზოგავდა. იგი უკნიდან გეზს აძლევდა ბიჭს იმით, რომ ხან მარცხენა მხარზე შეახებდა შუბს, ხანაც მარჯვენაზე; როცა გაჩერება უნდოდა, კეფას მისწვდებოდა ხოლმე. იუმორის გრძნობა არ დაჰკარგოდა და მის არსებაში მშვიდი სიცილი ხმიანებდა, როცა გაიფიქრებდა — ჩემს წინ მიმავალი ნახევრადბვანა ბაზარში გასაყიდად მიდენილი ბოჩოლა არისო. მუშტრები შეაფასებენ საქონლის ავკარგიანობას, შემოევაჭრებიან ნებუს. განსაკუთრებით საფასური ღვიძლია და მყესები. ფრთხილად მიიწევდა წინ, მის თვალებსა და ხელებს ჯერაც შერჩენოდათ ჩქარი სიარულის რიტმი. ჩირქის სუნი იმდენად ძლიერია, არ შეიძლება ლეოპარდის ყურადღება არ მიიქციოს. დაღმართში ლეოპარდს აფთარიც შეუერთდება. მაგრამ აფთრისა არ ეშინოდა ნებუს. სხვა მიზეზის გამო კეთილშობილ ცხოველთა შიშიც არ ჰქონდა — ისინი გახრწნადს ერიდებიან. თავისთავზე ნაღვლიან ფიქრებს ძალას არ ახარჯვინებდა, ისე უბრალოდ იცოდა, რომ გახრწნა დაიწყო. ლეოპარდს სიშმაგე ემატება იმისდა მიხედვით, დაჭრილს მისდევს თუ დაძაბუნებულს. თითებით შაშხანის რკინას ბღუჯავდა. ზურგისა და მხრების ჰანგი დამამშვიდებლად ჟღერდა: იმ სრულყოფილ სიმღერას ჰგავდა, რომელიც მათში აღიძვრებოდა ხოლმე ბვანას ტყვიასთან ნაცნობობამდე.

— როცა მოვა, ასე ვუთხრათ,—მხიარულად თქვა ბიჭმა,— მოდი ვუთხრათ: „ბატონო ლეოპარდო, ვიდრე თავს დაგვესხმოდეთ, კარგად მოიფიქრეთ, რომელი ჩვენგანი უფრო გამოგაძღობთ. კარგად მოიფიქრეთ და არჩევანი არ შეგეშალოთ, ბატონო ლეოპარდო!“

ნებუმ გეზი მარჯვნივ ააღებინა — ხეებს შემოუარე და

კირქვებისაკენ წადიო. წვიმამიძალებულ, დანისლულ პლატოზე კირქვები მკრთალად კიაფობდა.

— შენ უკვე სანახევროდ დამპალი ხარ, მე კი სავსებით ჯანსაღი. — ბიჭი მხიარულად იცინოდა. — ერთი სიტყვით, გენერალო ნებუ, შენივე სიცოცხლისათვის მოგიწევს ბრძოლა.

ნებუმ მის კეფას შუბი შეახო და ბიჭი შეჩერდა.

— აი გოგირდის ტბა, — თქვა ზანგმა და კირქვებს შორის ორთქლმოყენებულ გუბეზე მიუთითა. — მე ჭრილობას გავიბან, შენ აქ დადექი და თვალი გეჭიროს — ლეოპარდი არსად გამოჩნდეს.

პლატოზე დაბალი ბალახი იზრდებოდა, და ნებუ არ შიშობდა — ლეოპარდი ახლოს მოგვეპარებაო. ლეოპარდი საფარიდან ესხმის ხოლმე თავს. დაბალ ხეებზე ან მაღალ ბალახში იმალება, იქიდან ისკუპებს დიდებულად და ნახტომის დროს მის ტყავზე მურა და ნათელი ლაქები შეირწყმის. ზანგმა დასიებულ ფეხებზე შარვალი ფრთხილად გაიძრო და გუბეში ჩავიდა. მოშიშინე წყალი რძეს დაემსგავსა, როცა მისმა ფეხებმა კირქვის ნალექი აშალეს ფსკერზე. ნებუ ჩაჯდა. წელზე სცემდა წყალი, თბილი წყალი, დედა დიადი სიყვარულისა. ის აცმევდა, ის აჭმევდა, ის იცავდა ნებუს. ტკივილს გრძნობდა, მაგრამ ეს ტკივილი სხვის სახლში თუ იყო. მას შეეძლო სინათლეც დაენახა მეზობელი სახლის სარკმელში; იქ ვიღაც უცნობი ხალხი ავადმყოფს უვლიდა.

*

* *

მეორე დღეს მზითევის შეკრებას შეუდგა. ძნელი საქმე იყო, საგვიანო. ზამთრის ცივ ღამეებში მამამისის ჯოგს აძოვებდა და გასამრჯელოდ ძროხებსა და თხებს ღებულობდა. დღისით სიცხეში იდგა შუბშემართული. თვალები უსივდებოდა და სტკიოდა, რადგან მტაცებელთა მოლოდინში თვალის დაუხამხამებლად უნდა ემწყემსა საქონელი. წლის დამლევის ერთ მშვენიერ დღეს, როცა დიდი წვიმები შეწყდა, პლატო ისევ გამოცოცხლდა და ქარზე მონანავე ლორთქო ბალახით

დაიფარა, ნებუმ მთელი თავისი ჯოგი შეაქუჩა და შინისკენ გაირეკა. ვიწრო ველებით ორ კვირას უნდა ევლო იმ ქედისაკენ, რომლის გადაღმაც მისი სოფლელები სახლობდნენ. უღელტეხილზე მცირედ დაყოვნდა.

ჭაბუკმა ნებუმ ნატისუსალის სუნი იყნოსა და გაკვირვებული შეჩერდა. რაღაც გაურკვეველი ხმებიც ჩაესმა. მიაყურადა. დუმ-და-და-დუმ — ვიღაც ხელის ზურგს სცემდა სიკვდილის დაფდაფზე.

იქნებ სისხლისმოყვარული სრმალიელნი დაესხენ თავს სოფელს? თუ თეთრკანიანთა ქალაქიდან მოსულმა დამსჯელმა რაზმმა დაარბია? ამ ფიქრებით ქედს გადაადგა ნებუ და ძირს გადაიხედა. სოფელი ჩამკვდარიყო. აქა-იქ აფთრები დაძრწოდნენ.

სოფლის მისანს არათუ ვერ შეეჩერებინა ყვავილი, თვითონაც შეჰყროდა სენი. ახლა იჯდა ყველასაგან მიტოვებული და თავისი დაფდაფის გვერდით კვდებოდა. მან მოუთხრო ნებუს ყოველივე. ცოცხლად გადარჩენილებს მკვდრები და მომაკვდავნი დაეგდოთ, შორს გადახვეწილიყვნენ თავად. ის დიდი ხნის წინ მომკვდარიყო. სასიკვდილო იარებით დაფარული მისანი ხელის ზურგს ნება-ნება სცემდა დაფდაფზე.

*

* *

— ლეოპარდი! — იყვირა ბიჭმა. — ნებუ, ლეოპარდი!

მისი სხეული, წყალს რომ გაჭირვებით ააცილა, სპილოს სხეულივით დამძიმებულიყო. დედაბერივით მოფორთხავდა გუბიდან. თბილი წყალი თეძოებზე ეწურწურებოდა. და უეცრად გაცივებული ჰაერი ათი ათას ნემსად ეჩხვლიტებოდა. ცალ ყავარჯენს დაყრდნობილი ბიჭი აღტყინებული ირწეოდა და ხეებისაკენ იშვერდა ხელს.

— იქიდან გამოძვრა... მე... მე დავინახე, როგორ მოიპარებოდა და... დავიყვირე და ყავარჯენი ვუმარჯვე! მაშინ შებრუნდა და შამბნარისაკენ მოუსვა!

ნებუმ იქაურობას თვალი მოავლო, მაგრამ ლეოპარდის კვალიც ვერსად დალანდა. წესის თანახმად განკურნების მსურველნი დილიდან შუადღემდე უნდა ისხდნენ ტბაში. მაგ-

რამ ნებუს გაახსენდა თავისი დაძაბუნებული სხეული, წყლიდან რომ ასეთი გაჭირვებით ამოათრია. იცოდა — იმდენად დამძიმებული იყო, თავს უფლებას ვერ მისცემდა ლეოპარდს გუბეში ჩაწოლილისათვის მიესწრო. სვენებ-სვენებით ჩაიცვა, იარაღი აისხა და ბიჭს ანიშნა გზას გასდგომოდა. ბიჭმა უმწეოდ შეხედა.

— ყავარჯენი... ყავარჯენი რომ ვესროლე!.. აი, იმ ქვის იქით დავარდა.

ქვის იქით, სადაც გვიმრნარი იყო მოდებული მწვანე მაქმანებივით. ნებუმ თავი დააქნია — მიხვდა, როგორ გაუჭირდებოდა ბიჭს სველსა და სლიპ მიწაზე ნაბიჯის გადადგმა. თვითონ გაემართა ყავარჯნის მოსატანად და გვიმრებში გორგალივით დაგრაგნილ მამბას გადააწყდა. მაგრამ შემკრთალ გველს ნახტომი ადრე მოუვიდა. ნებუმ ხრინწიანად ამოისუნთქა და მოასწრო გველის იქით მოსროლა მანამ, ვიდრე იგი კვლავ გორგალივით დაეხვეოდა ახალი ნახტომისათვის. მერე სწრაფად უსწორა პანგა და თავი წააცალა.

გლუვი და შავი ნიღაბი, რომელსაც უჩინო თვალები ძვირფასი ქვებივით ასხდა, ბიჭის ზურგს უკან დავარდა. ნებუმ კი შორეულ გორაკებს გაჰხედა. მის გულში ერთი კითხვა ბოგინებდა.

— აიღე ყავარჯენი, — უთხრა ბიჭს. იგი ათასი წლის ბერიკაცი იყო უკვე. — აიღე, თეთრკანიანო ბიჭო!

მისკენ მიქცეული ბიჭის სახე დახშული იყო და შეუვალი. უცნაური სიამაყე შესძენოდა ბიჭის ყოველ მოძრაობას, ვერც კი იტყოდი — კოჭლობით შიდისო. იგი დასწვდა ყავარჯენს, რომელიც წეღან გვიმრებში გადააგდო, როცა დაინახა იქ მამბა მიძვრებოდა. თავწაწყვეტილი გველის ტანი მოაცილა ყავარჯენს, მერე ბალახზე გაწმინდა, ზედ ჩამოეყრდნო და კიკუიუსკენ შებრუნდა.

— ლეოპარდი სულ არ გამოჩენილა, — თქვა ნებუმ. თავს მარტოსულად, დაძაბუნებულად გრძნობდა. მისი სახლი ყველას მიეტოვებინა.

ბიჭის არსებაში მჯდარი ფეხმარდი ათლეტი და კაცისმკვლელი მისგან გამოიჭრა და ახალი მთვარისაკენ გაქროლდა.

მხიარულად იღიმოდა, თავის ჯანსაღ ფეხებს აქანებდა და ყურისწამღებ მუსიკას უსმენდა. ტბის ზედაპირი ისევ ააჭავლა წვიმამ. ნებუმ წამოისხა და ბიჭს სვლა უბრძანა.

ლეოპარდი, რომელიც საქარო მხრით მათგან ერთი მილის ხიშორეზე ისვენებდა, წამოიმართა და ღრანტეს გამოშორდა.

XX

მუხლისთავიდან ბარძაყზე ზამბარასავით გადაჭიმულ გრძელ კუნთს ნებუმ უთხრა: „დღეს გორაკებზე მოგვიწევს სიარული“.

მისი თავი ავსებულიყო გორაკებით, ღია-მწვანე და მუქ-მწვანე გორაკებით, რომლებზეც დილდილობით ბაიები ყვითელი ალივით იფეთქებს ხოლმე; ნებუმ მშვენივრად იცოდა, რომ გორაკის თხემამდე შეფენილი ველის გარდა სხვა აღმართის ავლა არ მოუხდებოდა. ამ გორაკს იქით კი ნაირობისკენ მიმავალი გზა გადიოდა. კუნთს სისუსტის გამო გაესაუბრა.

დასიებულ კანქვეშ ჩამალულმა კუნთმა პასუხად რაღაც წაიბუტბუტა. ზანგმა უკვე იცოდა — მძიმე სამუშაო ელოდა. მოგიზგიზე ცეცხლს უმზერდა და ეკითხებოდა წვივს, ბარძაყს, ძვლებს, რომელთაც აგრე კარგად იცნობდა და რომლებიც წარსულში მისთვის ისევე კარგნი იყვნენ, ვით გაზაფხულზე მონადირისთვის კარგია მზიანი დღეები, ვით ბებერი კლდეებია კარგი ნორჩი ბორცვებისათვის, ვით მრავალ ჭირნახული ტყე — ახალმოზარდი ყლორტებისათვის. და ძვლები პასუხობდნენ — ტკივილისა და დასიებული სხეულის სიმძიმისაგან ქანცი გამოგველიაო. მაშინ შიშმორეულმა, შუბლზე ცივ ოფლგამოსხმულმა ნებუმ, რომლის ფერდშიც კვლავ მწვავედ იფეთქა ტკივილმა, განწირულად შეჰყვირა და ბელადს მიმართა:

„მითხარი, ჩემო გულო, შევძლებ თუ ვერა თეთრკანიანთა ქალაქამდე ნახევრადბვანას მიყვანას? მეყოფა თუ არა ძალა ამ გზის გასავლელად?“

დადგა შემზარავი წუთი — ნებუმ მიაყურადა ბელადის საფიქრალს, მიაყურადა მკერდში ჩაქუჩის ნელიად ცემას.

„განა საზღაური აუცილებელია?“ — შეეკითხა დაბოლოს ბელადი.

„ჰო, საზღაური აუცილებელია“.

„მერე ვინ უნდა ზღოს? დაზარალებული ხომ შენა ხარ?“

„მე უნდა ვზღო, — გაუბედავად მიუგო ნებუმ. — მე უნდა მივუზღო დაზარალებულს“.

„თუ ასეა, რაღას მეკითხები? გინდა წინაპართა მცნებათაგან გარდახდე?“

„რატომაც არა? — წამოიყვირა მისმა სისუსტემ. — განა ნახევარკაცს შეუძლია თეთრკანიანთა შაშხანებს აჯობოს და ლეოპარდს სძლიოს ისე, თუ წინაპართა მცნებათაგან არ გარდახდა?“

მაგრამ ბელადმა მისი სიმხდალე შეიცნო და ნაღვლიანად პირი იბრუნა მისგან.

ტკივილმა დააბრმავა ნებუ, მძიმედ შეირხა და კაშკაშა ცეცხლიდან ექვსიოდე დუიმზე მიწას დაენარცხა.

— აი სასწაული! — წამოიძახა ბიჭმა. ნებუ ძლივძლივობით წამოჯდა და კედელს მიეყრდნო. — რა მოგდის, გენერალო ნებუ?

კარგა ხნის შემდეგ ნებუმ შუბის წვერი გაიწოდა შორეული კორდისაკენ, სადაც მისი გუმანით ნაირობის გზა გადიოდა:

— იმ გორაკს გადაღმაა თეთრკანიანების გზა. მე თუ დავარდი, შენ მარტო წადი. შენ თეთრკანიანებს უნდა დაუბრუნდე.

ფერმკრთალი სახე მისკენ გადმოიხარა:

— მარტო წავიდე? გაგიყდი? მერე ლეოპარდი?

ნებუ ხედავდა, როგორ დაუნაოჭა ბიჭს სახე შიშმა.

— ის თუ გირჩევნია — აქ დარჩე და ჩემთან ერთად მოკვდე?

— მოვკვდე... შენთან ერთად? — თავზარი დაეცა ბიჭს. — შავო მაიმუნო! მომეცი შაშხანა! შაშხანა მომეცი-მეთქი!

გაშმაგებულმა ყავარჯნები აამუშავა და შაშხანას წაეპოტინა. პატარა ხელი ნებუს მხართან თასმას ჩააფრინდა და დაქაჩა.

— შავო გორილა, ქეციანო, საძაგელო, საძაგელო გორილა!

სახე ცრემლებით ჩამოღარეოდა, თასმას გამწარებული ქაჩავდა და ნებუს ფერდში ტკივილს აღვიძებდა. ზანგი ბოძივით იდგა, ვიდრე თასმა მხრიდან არ ჩამოუცურდა და ბიჭი ტალახში არ გადაგორდა. მის ფერხთით იწვა აცახცახებული და ტალახიან მიწას თავს ურტყამდა. ნებუ იდგა. მარტოდმარტო იყო ამ უკაცრიელ ველზე, სახე აეშვირა და მის ღაწვებს წვიმა ელამუნებოდა. ენის წვერით ნაკადს მისწვდა და ხარბად დაიწყო წვიმის წყლის სმა.

*

* *

კოკოსთან მოხვედრამდე რამდენიმე სხვა რაზმის წევრად ითვლებოდა. მდგომარეობა აიძულებდა რაზმიდან რაზმში გადასულიყო. ერთ რაზმს წინამძღოლობდა მლოდი — ჯმუხი ჩრდილოელი კიკუიუ, რომელიც შემდეგში ინგლისელებმა დაიჭირეს და ჩამოახრჩეს. მლოდის რაზმი უკან იხევდა მთებში. თოვლის ხაზის სიახლოვეს უხდებოდათ სვლა. ირგვლივ არც სოფელი იყო სადმე, არც სანადირო ადგილი და არც ქალები. ინგლისელებს კი ემატებოდათ და ემატებოდათ მაშველი ძალა. ქვემეხები მოაგორეს, თვითმფრინავები ღრიალით დაჰბრუნავდნენ და ბომბებს აყრიდნენ თავზე აფრიკელებს. ეს იყო დღეები ტკივილისა.

-- ჩვენი კუჭი და ჩვენი ნაწლავები შიმშილმა აგვიტკივა, — თქვა ერთ საღამოს მლოდიმ. ის უხეშად ლაპარაკობდა, როგორც ბელადს შეეფერებოდა. — თითქმის ვერაფერს ვნადირობთ და არც ქალები გვყვანან. შაშხანები რომ გავისროლოთ, თეთრკანიანები მყისვე მოგვაგნებენ. დაე ყველამ იცოდეს: ხის ქერქით და ფოთლებით გამოვიკვებებით და ერთმანეთს ისე დავიცავთ.

და ნებუ, რომელსაც აზრად არასდროს მოსვლია თავად შექნილიყო ბელადი, გაოცდა — რატომ არ ბრძანებს მლოდი, ის მლოდი, ყოველ წამს რომ თავს შეგახსენებს — მე ბელადი ვარო, რატომ არ ბრძანებს მშვილდები გამოვჭრათ და

იმით წავიდეთ სანადიროდ? ეს აზრი ერთ რაზმელს გაუზიარა, იმ რაზმელს კი მლოდის შიში ჰქონდა და, ბელადის გული რომ მოეგო, ყოველივე მოახსენა. ამიტომ იყო, რომ იმ წვიმიან დღეს მლოდიმ ამაზრზენი ხმით უბრძანა ნებუს—მწკრივიდან გამოდიო.

— გაიძრე თეთრკანიანთა ტანსაცმელი! — იკივლა მლოდიმ და კვერთხი მეზღვაურულ კურტაკზე მიუშვირა.

ნებუმ მიმოიხედა და მკაცრ, შეუვალ სახეებს წააწყდა. იცოდა, რაც მოხდებოდა, წინააღმდეგობის გაწევა რომ განეზრახა. კურტაკი გაიძრო და გაშიშვლებული იდგა იმ სიცივეში. გახარებული მლოდი ცეკვავდა და გაჰყვიროდა:

— ახლა შენ ველური ხარ! ახლა ველური ხარ! — თან ურტყამდა და ურტყამდა შიშველ ზურგზე. — ხომ გინდა ველური იყო? — ყოველი სიტყვა მძულვარებას აფრქვევდა. — გინდა ისევ შიშველი ტყიური გახდე? — ზურგს უიარებდა და სულს ტკივილით აღუვსებდა, რათა თოვლზე თეთრი გაეხადა ნებუ.

და შემდეგ, როცა მლოდის შოლტით დასისხლიანებულსა და დაიარებულ ზურგს თიხით იგოზავდა, ნებუმ ერთხელ და სამუდამოდ ჩააგონა თავს, რომ ტკივილის დღეები აგრეთვე შაშხანის დღეებიცაა. შუბი წაიტანა და წავიდა მლოდის ბანაკიდან. მლოდიმ იმიტომ გაშოლტა, რომ ნებუს სურდა კვლავ ხის დღეებს, მშვილდის დღეებს დაბრუნებოდა. დაღმართზე ჩამავალი განგმირულ რაზმელთა სხეულებს ნახულობდა. მეორე დღეს იმ ადგილს მიატანა, სადაც მპვეკის ხე იზრდებოდა, და იმ ხისგან მშვილდი გამოიჭრა. გულმხეც მლოდის ხალხი შემოეფანტა, ინგლისელებმა დაიჭირეს და თოკით მოაშთეს.

*

* *

— შაშხანა არც შენთვის ალაპარაკდება, — უთხრა ნებუმ წინ მიმავალი ბიჭის კეფას. — შაშხანა ბვანების იარაღია.

— ბრიყვო! შენი აზრით მე ბვანა არა ვარ?

ნებუმ ველი თვალით გაზომა და დაფიქრებულმა თქვა:

— მე ძალა აღარ მყოფნის. ლეოპარდს კი მოთმინება დაელევა. ვიაროთ!

ნელი წვიმა ეფინებოდა სანახებს, ვერცხლისფერი ძაფები მოძვრებოდა ტყვიისფერი ჯამის ხვრელებში. ნებუ იგონებდა, როგორ მგზავრობდა ხოლმე წინათ, როცა მზეგადაფრქვეულ, აბიბინებული ბალახით დაფარულ ბორცვებზე კაკბები დაგოგმანობდნენ, კამკამა ტბები კი ნარინჯისფერი წითელფეხებით იყო სავსე. ზოგიერთი მგზავრობა ვერცხლისფრად იყო დაფერილი. ეს იყო მცირე წვიმების დროს თუ დეკემბრის ცივ დღეებში, როცა მთვარე ანათებდა ცაზე. ღამღამობით მგზავრობაც ახსოვდა ნებუს, როცა ბნელში ჩირაღდნით მიიკვლევდა გზას. ცეცხლის ალი მოსავდა მუცელს, თეძოებსა და ფეხებს კოჭებამდე, და პარვით მოახლოებულ ლეოპარდს მისი ჩირაღდნის ცეცხლი არ აშინებდა. ასეთი მგზავრობა ბნელი ჩურჩულით დაუვლის ხოლმე ძარღვებს.

ნებუმ მიმოიხედა და დაინახა, რომ უკვე ტეიტა წამოზრდილიყო, თეთრ-თეთრი ხუჭუჭი ყვავილი დაესხა. ეს ყვავილები მხოლოდ იმისთვის იფურჩქნება, რომ სურნელი მოაფრქვიოს გარემოს წვიმახშირობის დროს. ხლაკუნებიც თბილ, ნარინჯისფერ ეჟვანთა გირლიანდებით რთავდნენ და მით ნუგეშს ჰფენდნენ მჭმუნვარე ხეებს.

და მან დაინახა აგრეთვე:

ადონისის ცეცხლოვანი სფეროები, ნებივრად აგიზგიზებული.

და სურნელოვანი ბაღის ინები, ისეთი მაღალი და დაბურული, კამეჩი ჩაიმალებოდა მათში.

მრავალხელა შვიტა, მოოჭვილ ქვებთან გუშაგად ამართული და ჩამპალ ხეთა ძირკვებში დამარხული საიდუმლოს დამცველი.

და მარიქისის კურთხეული მკლავები, რომელთაც სურნელოვანი ფიალებისათვის თავი წაექციათ და მისი სავალი გზა ძოწეულით მოეფინათ.

მიწის სიღრმეში, მის ფეხთა ქვეშე მოგუგუნე მიწის სიღრმეში ესმოდა შრიალი ნეშომპალასი, რომელიც ესწრაფოდა მიწის ზედაპირზე ამომძვრალიყო და ცოცხალთათვის ემცნო

ახალი აღმონაცენის ამბავი. და დიდ, ძალგამოლეულ ფეხთა ტერფებით ნებუ შესთხოვდა თავის სასტიკ ღვთაებას:

„ყოვლადძლიერო ღმერთო! — ევედრებოდა იგი. — შესძინე ძალი ჩემს კიდურებს, რათა ჩემი გზის გავლა და ლეოპარდის გამკლავება შევძლო!“

მან იცნო მვენათი დაფარული აღგილი. დიდრონი, წვერმაღალი, ფოთლოვანში მოკიაფე ყვითელი ყვავილებით დამშვენებული ხეები ამართულიყო მის წინაშე. ეს უზარმაზარი რუხი ბაობაბიც იცნო ნებუმ. ამგვარი ბაობაბის ძირას მისი ტომის ხალხი ბაზრობას ან ბჭობას აწყობდა ხოლმე. როცა დღესასწაული დადგებოდა, მთელ ღამეს როკავდნენ აღტყინებულნი, მზის ამოსვლისას კი გრეხვითა და ფეხების ტყაპუნით ყველანი ბაობაბისაკენ დაიძრებოდნენ, შემოერტყმოდნენ და მის უხვ ჩრდილში მოექცეოდნენ.

— ბაობაბო, — მიმართა ნებუმ ხეს, როცა ტკივილმა წამოუარა და აიძულა მის ღეროს მიყრდნობოდა, — ბაობაბო, თეთრკანიანის ტყვია მალამაზებს, ჩემი ჭრილობა ამყრალდა. მიპასუხე — უნდა გავლამაზდე თუ არა?

და ბაობაბი მკაცრად შეეკითხა: „რა გითხრა გულმა?“

ამაზე ნებუმ ვერ უპასუხა. ჭრილობისკენ დაიხარა და ნაღვლიანად ჰკითხა:

„ჭრილობა, ჩემს ფერდში გაფურჩქნულო მწვანე ბალნარო, როცა შენი შხამიანი ყვავილები გაიშლება, სიკვდილიც მომეახლება?“

მაგრამ ჭრილობას სასტიკი მიზეზი ჰქონდა საიმისოდ, რომ არაფერი ეპასუხნა.

ნებუმ შუბი ბუნიკით მიწას ჩაასო და ზედ დაეყრდნო. წამით თვალები დახუჭა და, როცა გაახილა, ბიჭის აღგზნებულ თვალთა დაჟინებულ მზერას წააწყდა. ხელით ანიშნა — ვზა განაგრძეო!

— რატომ არ გინდა დაისვენო? — ბიჭის ხმა მზრუნველი იყო და ალერსიანი. — თუ დაისვენებ, ტკივილიც გაგივლის. დაწექი, წაიძინე, მე ვიდარაჯებ.

ზანგმა დაიკვნესა და ისევ წასვლა ანიშნა. ბიჭი არ განძრეულა. სახეზე თანაგრძნობა გამოეხატა.

— სხვა არა იყოს რა,—დამამშვიდებელ კილოზე ამოთქვა მან, — სავსებით დარწმუნებული ვარ, ლეოპარდი უკვე ჩამოგვეხსნა. საკვირველ რამეს გეტყვი, ნებუ: ჩირქის სუნი აღარ აგდის. დარწმუნებული ვარ, მალე გამომჯობინდები; დაისვენე, მერე უკეთ ივლი. რას იტყვი, გენერალო ნებუ?

მაგრამ ნებუმ ბუნიკი შეახო ცრუსა და გაუტანელ ბიჭს და თავით ანიშნა — იარეო! კარიბჭენი განეხვნენ ბიჭის თაფლისფერ თვალებში და ნებუმ მათში რისხვა დაინახა. კარიბჭენი უმალ დაიგმანენ. ბიჭმა ნაღვლიანად გადააქნია თავი.

— მაშინ მომეცი პანგა, მე წამოგიღებ, — სთხოვა მან. — ამდენი საჭურვლის ზიდვა ძალიან გაგიჭირდება. გზაზე გასვლამდე არ უნდა დავარდე.

შუბი შეაბრუნა ნებუმ და ახლა ხის წვერი მოუთათუნა ბიჭს მხარზე.

— ვიაროთ, ბიჭიკო, ვიაროთ-მეთქი! — მკაცრად თქვა მან.

ბიჭმა წაიბორძიკა, მაგრამ არ წაქცეულა. წელში მოხრილი გაუყვა გზას. წვიმა სცემდა თავ-პირში. წვიმა უსველებდა მხრებს. მაგრამ გულში იცინოდა. მთელი ამ გზის მანძილზე იცინოდა ბიჭი გულში. ზანგი აყბედებულა და ხეს ესაუბრება. ბიჭი დაძაბული უსმენდა, ისევე დაძაბული იყო, როგორც მაშინ, ახალი მთვარის ნამგალზე მჯდომარე ყურისწამღებ მუსიკას რომ უსმენდა. ახლა იგი ზურგს უკან სხეულის დაცემის ხმას ელოდებოდა. იცოდა — სწორად ეჭირა თავი აფრიკელის წინაშე, ზუსტი იყო, თავშეკავებული და ულმობელი. შავკანიანს ბოლო მოეღება.

ნებუმ ხელი გაუწოდა და დასასვენებლად ჩამოაჯინა პეპელა. მოფარფატებდა ყვავილის დასველებული მტვრით დატვირთული მწერი. ნებუს თითზე ჩამოჯდა.

ნახევარი მილის სიშორეზე საქარო მხარეს ლეოპარდმა ჩირქოვანი ჭრილობის სუნი იყნოსა და ქარის პირისპირ გამოუყვა შამბნარს.

XXI

„ლენდროუვერზე“ დადგეს ხელის ტყვიამფრქვევი, რომელსაც სამიზნეში ტყვიაგაუვალი მინა ჰქონდა ჩასმული. მას

მიჰყვებოდა ჯავშანტრანსპორტერი მეორე მსოფლიო ომის-დროინდელი მოძველებული ყაიდის ტყვიამფრქვევითურთ. მაგრამ ეს მოძველებული იარაღი კიკუიუს ხალხს ისევე მარჯ-ვედ უმკლავდებოდა, როგორც დანა — ყველს. საკუთარმა გამოცდილებამ დაარწმუნა ამაში არმიის ლეიტენანტი. მან მოზომილად დაიქნია ხელი და თან უბრძანა პოლიციის უბ-ნის ჯარისკაცებს:

— წინ!

მცირე რაზმი გასცდა კარიბჭეს, სადაც ორი გუშაგი იდგა, და გზაზე გავიდა.

წვიმა მოთქრიალებდა უძირო ციდან. წვიმა შავბნელ ღრუბლებს თოკებით მოექაჩებოდა კიდევ უფრო ჩაბნელე-ბული მიწისკენ. ირგვლივ ყოველივე წვიმის ტყეს დამგვანე-ბოდა. ტყე ლიანებს დაებურა და მანქანები ვაი-ვაგლახით მიი-კვლევდნენ გზას. „ლენდროუვერის“ ბლაგვი ცხვირი შექანდა, აიწია და აღმართს შეუყვა. მას ჯავშანტრანსპორტერი მიჰყვა. კარგა ხანია მიწას აღარ უხაროდა წვიმა, პირქუშად ეგებებო-და მის დარტყმებს. ლეიტენანტმა თათმანიანი ხელით შეორ-თქლილი მინა გაწმინდა და კენტის საგრაფოს ნარნარი წვიმა და სვიის მათრობელი სურნელი მოიგონა.

XXII

ნებუ ფრთხილად მიაბიჯებდა, ცდილობდა ფეხები ერთი-მეორეს არ შეჰხებოდა. ძლივძლივობით მიდიოდა, მაგრამ მის სხეულს ზვიადი იერი არ დაჰკარგოდა. შუბს ხელჯოხივით ეყრდნობოდა, მხრებსა და თავს სამკუთხად წამოხურული სა-ბანი უფარავდა. თითქოს შვიდი ფუტის სიმაღლის წინასწარ-მეტყველი ყოფილიყოს, ქალაქიდან ქალაქს მიმავალი. მის წინ სკუპ-სკუპით მიიჩქაროდა ბიჭი. ისინი მარტოდმარტონი იყვ-ნენ სველსა და მდუმარე საუფლოში, სადაც ჟამიდან ჟამზე წყლის სიმძიმით ჩამოტეხილი ტოტი თუ ჩამოვარდებოდა. ზანგმა კარგა ხანია დაასკვნა, რომ შეეძლო იმედი ჰქონოდა თავისი ტანის დიდი და მძლავრი კუნთებისა. თუკი შეძლებ იჯდე და გამართული გქონდეს ზურგი, ვიდრე ის თავის საურ-

დენს არ იპოვნის, შეგიძლია ლეოპარდის დაძლევის იმედიც იქონიო. იცოდა — ფეხები ბარძაყიდან ტერფებამდე ოჩოფეხებად გადაქცეოდა: მათში არც სიყვარული ბოგინებდა და აღარც მრისხანება. დაღლასაც კი ვეღარ გრძნობდნენ ისინი. უკვირდა, რომ იქ, ქვემოთ, ნებუ უკვე აღარ იყო, მაგრამ თვალებს რომ დახრიდა, მაინც ხედავდა ინდაურებივით გაფუყულ ორ ფეხს, რიგრიგობით რომ ნაბიჯს ადგამდნენ. ნებუ დასცინოდა მათ, თავისთვის ოხუნჯობდა მათ გამო. მაგრამ ზედატანის დიდი კუნთები სხვა იყო. მათ ჯერაც შერჩენოდათ ძალა და ღონე.

დიდი კუნთებისადმი მიძღვნილი სიმღერა შეთხზა ნებუმ და გზადაგზა მიიმღეროდა:

„ჰოი, მშობელთაგან ბოძებულო მძლავრო კუნთებო,

ჰოი, მძლავრო ციხე-სიმაგრენო, გარს რომ შემორტყმიხართ ჩემი მხრების ბორცვებს, კისრის მაღლობსა და მკერდის ველს;

ჰოი, ურიცხვი ლაშქრის სიმღერასავით ჩემში აჟღერებულო ძალავ;

ჰოი, მომეცით არწივის ფრთები, რომ მაღლა ჰაერში ვბოინობდე, რადგან მიწაზე ვეღარ დამატარებენ ძალნი ჩემნი;

შემძინეთ უნარი ომახიანად ვდვრინავდე, ვითარცა ლომი, ვისაც სიმშვიდეს უკარგავს სიმამაცე თვისი;

შემძინეთ ამტანობა აქლემისა, რათა გაჭირვების ჟამს დრტვინვას მივეცე, მაგრამ ცრემლი არ გადმომდინდეს;

შემძინეთ დამაბრმავებელი ძალი მზისა, რათა ვერცა ვინ გამიბედოს თვალის გასწორება;

შემძინეთ ჯადოსნური ძალი მთვარისა, რათა ჩემი მზერის ქვეშ გამშვენიერდეს ყოველივე მახინჯი და უსახური!“

მხრები შეიბერტყა და მოსასხამიდან წყალი მრავლად ჩამოაქცია. შუბი შეახო ბიჭის მხარს, უბრძანა ხეებიდან მოშორებით ევლო. იცოდა — როცა ლეოპარდი ხელახლა თავს გესხმის, გამძვინვარებული უფროა, ვიდრე ვერაგი. ამიტომ ამჯობინებდა ხეებიდან მოშორებით დაეჭირათ თავი.

პირველი თავდასხმა მან მოიგერია და ახლა იცის, რომ

ლეოპარდი სადმე ბარდებში უსაფრდება, წრიალებს, ხან საქარო მხრიდან მოაშურებს, ხანაც სწრაფად გაცოცდება პირქარის მხრივ. მისი კუდი აქეთ-იქით ეტლაშუნება, უძრავი თვალები გარემოს ზვერავენ, ყოვნდება ხოლმე, რათა წვიმით სახე განიბანოს და ზანტად დაამთქნაროს. ასეთ დროს იმდენად უძრავია, ფერადი კლდისაგან ვერ გამოარჩევ.

მხრიდან შაშხანა ჩამოიღო ნებუმ და მარცხენა ხელში მოიქცია. გუშინწინ შაშხანამ ხელი შეუშალა. ლეოპარდის ნახტომის მოგერიებისას შეამჩნია, რომ ზურგის კუნთების წონასწორობა დარღვეული ჰქონდა. დღეს უფრო სუსტად იყო, საბოლოო შერკინებისათვის ძალა არ ეყოფოდა. მალიმალ დახედავდა შაშხანას, თვალებთან ახლოს მიიტანდა, ათვალიერებდა; თითქოს არაფრით განსხვავდებოდა კოკოს შაშხანებისგან, ყველაფერი ნაცნობი ჰქონდა ამ იარაღს. ეტყობა, რაღაც საშინელი დანაშაული ჩაუდენია, რომ სამმაგადაა დასჯილი — ღრმა ჭრილობით, ვერაგი ბიჭითა და შაშხანით, რომელსაც არ სურს ხმა ამოიღოს. შაშხანა თვალთან მიიტანა და ფრთხილად შეანჯღრია.

— ტყუილად ლოცულობ, სულ ტყუილად, — გაისმა ბიჭის ხმა, — შენთვის მაინც არ გაისვრის.

თეთრკანიანთა პლანტაციებში დადგმულ საფრთხობელას ჰგავსო ეს ბიჭი, გაიფიქრა წინმიმავალი ხეიბარის შემხედვარე ნებუმ.

— რატომ არ უნდა ალაპარაკდეს ჩემთვის? — თქვა მან უხეში ხმით. — რითა ვარ სხვებზე უარესი?

— ძალიან ბევრი რამით. შენ არ გინდა თეთრ ადამიანს მიენდო.

— მივენდო? რომელ თეთრ ადამიანს უნდა მივენდო?

— მე, მე უნდა მომენდო, — მიუგო განაწყენებულმა ბიჭმა. — ჩვენი შეხვედრიდან დაწყებული არც ერთხელ არ მომნდობიხარ. შენთვის არ უსწავლებიათ, ბვანებს უნდა ერწმუნოო?

გაქვავებულმა ნიღაბმა თავი დაუქნია; ასე გამოხატავენ თანხმობას თეთრკანიანები.

— უნდა დაემორჩილო თეთრკანიან ბატონს, როგორც ის

ემორჩილება თავის ღმერთს, რომელიც ქადაგებს: „არა წინააღდგომად ბოროტისა, არამედ რომელმან გცეს შენ ყურიმალსა შენსა მარჯუენესა, მიუპყარ მას ერთკერძოცა“. ნებუს ფერდიც პურის ნატეხითაა დაჭრილი.

— შენ ის მიიღე მხოლოდ, რაც გეკუთვნოდა. შენ გმართებდა ჩვენიანებიდან თავი შორს დაგეჭირა.

— როგორღა უნდა დაგმორჩილებოდით, თქვენგან რომ თავი შორს დამეჭირა?

ზოგჯერ გახუმრება ლექსის შეთხზვაზე სასიამოვნოა. ხუმრობაზე შეგიძლია პასუხი მიიღო. ლექსი პასუხს არ მოითხოვს და არც თვითონ გაძლევს პასუხს. ლექსებს თავში იწერ შენთვის, მერე მღერი. ეს ამბავი ხეთა ზრდას ან ფოთოლცვენას ჰგავს. ჩამოცვენილ ფოთლებს პასუხი არ ეძლევათ, თუ იმას არ ჩავთვლით პასუხად, რომ სადაც ისინი დაეცემიან, იქ სხვა ხეები ამოიზრდება. მაგრამ ეს ხომ პასუხი არაა, ეს სულ სხვა რამ არის... გაზაფხულზე ღეროს წვენი აჰყვება ხოლმე, ზაფხულობით ხეები ჰყვავის, შემოდგომაზე ფოთოლცვენაა და ფიფქების მოფრენისას ყოველივე ქვდება. მაგრამ გაზაფხულზე ღეროს ისევ მიჰყვება წვენი. პოეზია ფოთოლთა ცვენას კიდევ შეედრებოდა, შვილი რომ გყავდეს და, როცა შენ აღარ იქნები ამქვეყნად, — შენს ლექსებს იმღეროდეს. წინ მოხტუნავე კაუჭა კითხვის ნიშანს შეხედა აფრიკელმა და ასე მიმართა:

— თეთრკანიანთა ექიმები ბევრ სასწაულს ახდენენ. არ შეეძლოთ ახალგაზრდა ბვანასთვის მტკივანი ფეხი გაესწორებინათ?

ბიჭი უცებ შეჩერდა. წელში მოხრილი, თავჩაქინდრული საწყალობლად იდგა წვიმაში. გაკვირვების მცირე ზოლი გაკრთა ნებუს თავში. შაშხანა ზურგსუკან მოიგდო და ბიჭს ხელი გაუწოდა. მაგრამ მან მაშინვე მოიშორა და უცებ ზებუნებრივად ამღერდა. საოცარი ბგერები გაუხმიანდა ხორხის არეში და გახევებული სახით აჰხედა ნებუს:

— მამაჩემმა მოღრეცილი ფეხით იმიტომ დამაჯილდოვა, რომ ყველა ვიგინდარასაგან გამოვირჩეოდე. სწორს ვამბობ თუ არა, ზანგო? — ბოროტად შეეკითხა იგი.

აფრიკელმა იგრძნო, როგორ დააღო მის ქვეშ ხახა ჭაობმა, როგორ ჩაითრია ტალახსა და სიმყრალეში. შეძრწუნებული გაჰყურებდა სივრცეს. ფერმკრთალ სახეზე რაღაც გაკრთა ღიმილის მაგვარი.

— შენ რა, არ მეთანხმები, რომ მე... სხვებს არ ვგავარ?— ჩურჩულით თქვა ბიჭმა. — ენა რა გექნა? ხომ არ გაგიფრინდა? მიპასუხე, ზანგო! შენ გერცხვინება იმისა, რითაც მე მამაჩემმა დამაჯილდოვა.

ნებუმ ბიჭს შეხედა და მყისვე თვალები დახარა.

— აა... ახალგაზრდა ბვანა დამცინის, — მორჩილად თქვა ნებუმ. — ახალგაზრდა ბვანა ხუმრობს.

ბიჭის მობერებული სახე ნებუს ნათქვამს დაუფიქრდა.

— დაგცინი? ვხუმრობ? ჰო, აგრეა, სწორი ხარ. ნუღარ მომცემ სულელურ შეკითხვებს და განუყრელი მეგობრები გავხდებით. გაიგე, კიკუიუ?

— გავიგე, ახალგაზრდა ბვანა, — მიუგო თავდახრილმა ნებუმ.

ბიჭი გულდასმით აკვირდებოდა მის სახეს. უცებ თქვა:

— იცი, რა გითხრა? მე რაღაც დავიღალე. ეტყობა, ჩემი ტარება მოგიწევს. ერთი დაიხარე, კისერზე შეგაჯდე!

ორ თვეს იხრებოდა ნებუ. უგრძესი გზა განვლეს მისმა მუხლებმა, ვიდრე მიწას შეეხებოდნენ. ეს იყო უმწეო დღეთა მთელი წელიწადი, ჟამი მდრტვინავი ძვლების და ხორცისა, ჟამი ფერდში აკივლებული ტკივილისა. მუხლებზე დაჩოქებით ნებუმ მოკლა თავისი სხეული. წამოიმართა და ასწია კისერზე გადამჯდარი ბიჭი. თავის ქალა გადასძვრა, გაშმაგებული დატრიალდა და შორეულ გორაკს იქით გადაიკარგა.

— ნუ აჩქარდები და აღარ გეტკინება, — მოწყალედ დართო ბიჭმა ნება. — ნელა იარე, ნებუ, არაფერი გიშავს.

„იტანჯე, — უთხრა თავისთავს ზანგმა, — იწვალე, არაფერს გავნებს ტანჯვა“.

ბიჭი უცებ ახითხითდა, მაგრამ მალევე სძლია თავს და სხაპასხუპით მიაყარა:

— აქ მშვენივრად ვგრძნობ თავს. ძალიან სასიამოვნოა ამ სიმაღლეზე ყოფნა. ყური მიგდე, ნებუ! შენ თუ იცი, რომ

არსებობენ სიგანით ოცდუიმიანი ფრთების მქონე ყარყატები? ისინი დასრიალებენ წყლის თავზე; რომ ჩაყვინთავენ, თევზს ნისკარტს მოსდებენ, ამოყვინთვისთანავე ჰაერში შეისვრიან და მერე იჭერენ ნისკარტით. ჰოპ! — და გადაყლაპავენ. საწყალი თევზი!

„ბევრმა ბვანამ არ იცის ეგ ამბავი, — ამღერდა ნებუს სული. — მათ არასოდეს სმენიათ, რომ მიხაკისფერი მექვიშიები ნერბობის დროს წაბლისფრად ფერადდებიან. არც ის იციან, რომ დედალ-მამალ კაკაბს დეზები აქვს ფეხებზე. კაცს შეგიძლია ძაღლის ყეფას მიბაძო და ამით შეაშინო თეთრკანიანი“.

—მე ვხედავ, როგორ მოაბიჯებს ჩვენთან ერთად ცხვირისატეხელა! — წამოიძახა აღგზნებულმა ბიჭმა. — იმასაც ვხედავ, ხვართქლა როგორ მოსდებია მიწას!

„ერთი-ორ თეთრკანიანს თუ ეცოდინება, რომ ნაშუაღლეს მერე მონსონიას ფოთლები იკეცება, — ამღერდა პასუხად ნებუ. — არც ის მოეხსენებათ, რომ მვენტია ათი ფუტის სიმაღლეზე იზრდება და ახალი მთვარის დადგომისას კვდება. ეს ბიჭი მეცარია“.

ბიჭის მხიარული სიცილი მაღლად ხმიანებდა.

— ნებუ! გენერალო ნებუ, გენერლის ცხენი ხარ შენ! თავი მაღლა, როგორც გენერლის ცხენს შეშვენის!

„მაღლა, როგორც გენერლის ცხენს შეშვენის“, — ნებუ ბედნიერი იყო იმისდა მიუხედავად, რომ ბიჭის ფეხი ფერდში დეზივით ესობოდა და ჭრილობის შიგნით გაფურჩქნულ ბაღს ველურად ლეწავდა და ატიალებდა. მიაბიჯებდა პირქუში, წელში გამართული, შუბშემართული ნებუ. სწორედ ასე აპირებდა კოკოს ბანაკში დაბრუნებას: თავს მაღლა დაიჭერდა, შუბს შემართავდა, არა, შუბს კი არა — მძლეთამძლე შაშხანას.

— გასწი! — ყვიროდა მის კისერზე შემომჯდარი ბიჭი.

„მეომარნი დიდ დღესასწაულზე იკრიბებიან, — გამოეპასუხა გულში ნებუ. — ახლა შესანიშნავი ბიჭის სადიდებელი ცეკვა დაიწყება“.

— გასწი! — სცემდა ქუსლებით მტკივან სხეულზე ბი-

ჭი. — გასწი! ლეოპარდიც გამობრძანებულა და ჩვენთან ერთად მოაბიჯებს!

„დიდებული ლომები სადღა არიან? — ეკითხებოდა თავისთავს აფრიკელი. — სად არიან ფეხმარდი ნიამორები? სპილოები რაღა იქნენ? ჩვენ თვალი უნდა მოვკრათ ნადირობიდან დაბრუნებულ მაძღარსა და სისხლში მოსვრილ ლომებს. უნდა დავინახოთ ბებერი ბეჰემოტი, ხისქვეშ რომ ღრუჩუნობს და საკუთარი ჩრდილის რომ ეშინია. მითხარი, როცა შამბნარიდან უზარმაზარი პიტონები გამოცოცდებიან. ყველაფერი წვრილად მიამბე, რასაც ჩემს ქვეყანაში ნახავ, პატარა ბიჭო! მე ვივლი, უკანმოუხედავად ვივლი“.

მათ ზურგს უკან, ასიოდე ფუტის სიშორეზე, შამბნარიდან ლეოპარდმა ისკუპა და მომწვანო-მოყვითალო გაშეშებული თვალები დააშტერა წინმიმავალთ. შუბლის მსხვილ ძვალს უკან ულიმღამო გაიცება აღებეჭდა: რა წერას აუტანია ეს ხალხი, თავი რომ დაუდვიათ და უშიშრად მიდიან? რბილი ნაბიჯით აედევნა მათ მხეცი, ოღსავ შეჩქვიფებული იმ ამბით, რომ ერთ-ერთი მათგანისაგან ჩირქის სუნი იყნოსა.

— შენ ისევე მიგყავარ, როგორც შამაჩემს, — ხმადაბლა ჩაულაპარაკა ბიჭმა დასველებულ ხუჭუჭ თმას, რომლის ორი კულულისათვის ხელი ჰქონდა წავლებული. — ზანგის პირობაზე შენ ძალიან კეთილი ხარ.

„გასწი! — შეუყვირა ნებუმ თავის სატკივარს. — გასწი! ღვესასწაულზე მიგვეჩქარება!“

XXIII

ლეოპარდი ეზოს ძაღლივით დარაჯად დაუდგა გამოქვაბულის შესასვლელს. ღამის სათევად მოწყობილ ბიუსა და ნებუს შიში აღარაფრის უნდა ჰქონოდათ. ლეოპარდი მათ ეტრფოდა და თვალყურს აღევნებდა, რაიმე საფრთხე არ დაშუქრებოდათ. დროდადრო წაქანულ ცხვირ-პირს მიწაში ჩარგავდა და ნებუს სხეულის მიერ დატოვებულ სუნს ყნოსავდა. წვიმა კოკისპირულად ესხმებოდა და ხაოიან ზურგზე ცივი წვეთები უბრწყინავდა. უკანა ფეხები ერთიმეორის მიყოლებით

დაძაბა და წყალი ჩამოიბერტყა. მერე მსხვილი კისერი დაჭიმა და მუცელზე აილოკა წყალი. კედელს ზურგმიყრდნობილი ნებუ ფიქრობდა: რა საოცარია, რომ ლეოპარდი იძულებული შეიქნა გარეთ იდგეს თავსხმა წვიმაში!

სამჯერ თუ ოთხჯერ წაიქცა ნებუ, მაგრამ ბიჭი ძალზე გულკეთილი იყო. თავს დაადგებოდა და მოთმინებით ელოდებოდა, როდის წამოიჩოქებდა ზანგი და კისერს ხელახლა მიუშვერდა შესაჯდომად. თანაც კარგი მხედარი იყო, დეზებს მხოლოდ მაშინ იყენებდა, როცა ნებუ წაიფორხილებდა. ბევრი ბვანა იქნებოდა ასე თავაზიანი? ყავარჯნები კარგა ხანია გადაყარა ბიჭმა.

გამოქვაბულის სიღრმეში რომ შევიდა, ნებუ დაჯდა და დასიებული, თითო მორისოდენა ფეხები გაშალა. მისი ფეხები სხვა ქვეყანას ეკუთვნოდა. მშვენივრები იყვნენ ისინი — ოდნავ მწვანემოკიდებული ხის ღეროსებურნი, სავსებით მრგვალნი. კაცი გაოცდებოდა — სად გამქრალიყო კოჭები, ან რა მოსვლოდათ კუნთებს, რომლებიც ოდესღაც ესოდენ მშვენივრად ასრულებდნენ სწრაფსა და მძიმე სამუშაოს! წელში მოიხარა ნებუ, ორივე ხელი მოავლო ფეხს, ასწია და შეეკითხა — საიდან გაჩნდიო ჩემს გვერდით ასეთი უცნობი საგანი?

— ახალგაზრდა ბვანას შეუძლია ამ ფეხებს დამესესხოს თეთრკანიანთა გზამდე სასიარულოდ, — თქვა მან.

ბიჭი გამოქვაბულის უშორეს კუთხეში მიყუჟულიყო.

გარეგნულად ყინულივით ცივი გამომეტყველება ჰქონდა, შიგნით კი გულისწყრომით ათუხთუხებულიყო — რატომ შეიოხეტაო ამ გამოქვაბულში ზანგი! ყოველივე მოიმოქმედა. რათა ზანგს შეუჩერებლად ევლო დიდი გზისაკენ, მაგრამ ბრიყვმა კიკუიუმ გამოქვაბულს თვალი მოატანა და მისკენ დაიძრა მთასავით შეუსმენელი. ფერდში ქუსლს სცემდა ბიჭი, ცდილობდა, რაც გაეწყობოდა ტკივილით გაემწარებინა. მაგრამ, ეტყობა, ზანგმა პირველივე დაცემის შემდეგ დაკარგა უნარი ტკივილის შეგრძნებისა. ზიზღმორეული დაჰყურებდა აფრიკელის სხეულს, კასრს რომ დამსგავსებოდა. გასიებულ ზანგს ხრწნის სუნი ასდიოდა. დაწინწკლულ კატას გაჰხედა

ბიჭმა და ისევ გაშეშდა შეძრწუნებული. რაღაც უნდა გაეკეთებინა, მაგრამ ვერაფრით მოეგონებინა, სახელდობრ რას შეძლებდა. ზარდაცემული იყო. ფიქრით ფიქრობდა, მაგრამ განძრევას ვერ ახერხებდა. ცხადად წარმოიდგინა, რომ ნაცრისფერი ქვისაგან გამოთლილ მარად უძრავ ქანდაკებად ეწერა დარჩენა.

ნებუს გვერდით ეწყო იარაღი — შუბი, პანგა, შაშხანა. თანაბრად სუნთქავდა, თავს სავსებით ჯანსაღად გრძნობდა. შემოსასვლელთან ცოტათი მოშორებით გამოქვაბული ფართოვდებოდა და საკმაოდ მოზრდილ ოთახს წააგავდა. შუა ოთახში ეგდო კაცის სიმაღლე ორი ქვა, რომლებიც ალბათ ჭერს მოსწყდომოდა. ამ ქვებით შესაძლოა შემოსასვლელი საიმედოდ დაგმანოო, — გაიფიქრა ნებუმ. მაგრამ იმდენად მოხერხებულად იყო მოკალათებული, ადგილიდან არც დაძრულა. ესეც არ იყოს, ლეოპარდი ნებუს სტუმარი იყო და უცხო სტუმრისათვის კარის დახშვა მისი ტომის ხალხს არ სჩვეოდა.

— შემობრძანებულიყავი, ძმაო ლეოპარდო, ცეცხლზე გამშრალიყავი ცოტა ხანს, — წყნარად მოუხმო მან.

მაგრამ ნათქვამი ადრე მოუვიდა ნებუს. ჩვეულების მიხედვით დამძრახებამდე მეტ ხანს იყო საჭირო დუმილი. ლეოპარდი მასზე უკეთესი აფრიკელი გამოდგა. თავი დახარა ნებუმ და უკეთური მზერით აათვალიერა მხეცი. არაა ურიგო კატა — ძარღვმაგარია და თვინიერი. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას — ტყავი უზადო ექნება, დაუზიანებელი. კუდიდან მშვენიერი მარაო გამოვიდოდა, ტომის დიდ საბჭოზე თავის დასამშვენებელი მარაო, რომელსაც თავად ბელადიც ვერ დაიწუნებდა. მართლა რომ დიდებული ნადირია, იშვიათი ტყავის მქონე. ჯუნგლიდან დაბრუნებულს ამგვარი ნანადირევი რომ გხლებოდა, ქალები აღტაცების ნიშნად ნელიად ტაშის ცემას მოჰყვებოდნენ, ხოლო უმცროსი ბელადები გარს შემოგერტყმოდნენ და უხმოდ თავის ქნევით ვაჟკაცობას მოგიწოდებდნენ. იქნებ თავად ბელადიც გამოსულიყო თავისი ქოხიდან; ის არსაით გაიხედავდა — არც მარჯვნივ და არც მარცხნივ, მხოლოდ მოკლულ მხეცს დააშტერდებოდა

მახვილი მზერით და შემდეგ სირაქლემას ფრთებისაგან გაკეთებულ მარაოს შეგახებდა მხარზე. მაგრამ ახლა ყოველივე ამას თქმულებები თუღა გაიხსენებენ.

სოფლები აღიგავა, ბელადები ნაირობის ფაბრიკებში მუშაობენ, ქალები კი გავერნმენტ-როუდის მეძავებად ქცეულან. გამოქვაბულის კართან დარაჯად მდგარი ლეოპარდი, ვერაგი ბიჭი და შენი დაძაბუნებული სხეულის მომწყლველი შხამიღა შთენილან მხოლოდ. ნებუმ გადააფურთხა.

„ამღერდი, სისხლო, — აღმოთქვა გამწარებულმა, — ადიდე ზურგში, მკლავებსა და ბეჭებში შერჩენილი ძალა! სიმღერით აწვიე გამოქვაბულში ძმაი ლეოპარდი! ბრძოლით მოიპოვოს საზრდო, როგორც კეთილშობილ მხეცს შეშვენის“.

ბიჭი შეკრთა და თავი აიღო.

— შენ ხომ მითხარი, გზაზე გაგიყვანო! მოატყუე ახალგაზრდა ბვანა? — შეუტია მან.

— უსასრულოა თეთრკანიანთა გზა, როგორც ქვიშრობი კილინდინისა, — ნებუ საუბრად იყო განწყობილი. — უძრავია ის გზა, როგორც ზღვა კილინდინის სიახლოვეს. შენ მიაღწევ იმ გზამდე, ოდესმე, სადმე უეჭველად მათს გზაზე გახვალ.

— ჰო, მივაღწევ, როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები, — უხალისოდ თქვა ბიჭმა.

— არა, — შეედავა აფრიკელი, — არა, ახალგაზრდა ბვანა არასდროს არ მოკვდება, იგი მუდამ იცოცხლებს, ისევე როგორც გზა თეთრკანიანებისა.

— მამაჩემმა თქვენი ენა მასწავლა, — მოულოდნელად საუბრის საგანს გადაუხვია ბიჭმა, გამოცოცხლდა და წელში გაიმართა. —როდისმე უეჭველად გამოგადგებაო, მეუბნებოდა. იმასაც ამბობდა — იშვიათად რომ თეთრკანიანმა კიკუიუს ენა იცოდეს, სულელები არიან და არ სწავლობენო. თვითონ იყო სულელი მამაჩემი, თუმცა მე კი ბევრი კარგი გამიკეთა.

— რატომ გგონია სულელი იყოო?

ბიჭმა მტკივანი ფეხი ხელისგულზე დაიდვა და ნებუსკენ გადაიხარა. თვალები უბრწყინავდა.

— დღეს შენც ძალიან ჰგავდი მამაჩემს, როცა კისერზე

შემისვი. აქეთობისას, მთელი გზა, რაც ყავარჯნები გადავყარე, მამაჩემს ზურგით მოვყავდი, ერთი არ ჩამომსვა ძირს.

— რაო, ყავარჯნები შენით გადაყარე?

ბიჭს ნაცრისფერი სახე ჩაუქრა, მოიქუშა:

— დავკარგე-მეთქი! როდის დაეხსნები მაგ ტუტუცურ შეკითხვებს?

„კარგი სიცილი გაშლილ ველზე ლაღად სიარულსა ჰგავს, — გაიფიქრა ნებუმ. — მთელი სხეული გითამაშებს, ღალღის ძახილი ჩივილად აღარ ჩაგესმის, ისე მიჰყვები ჭინჭრიანს და ისუსხავ ფეხებს, თითქოს ზიზილებით მოფენილ მინდორში ყოფილიყვე“.

ხოლო როცა იძულებით გაიცინებდა, თავს ისე გრძნობდა ნებუ, თითქოს მტვერი ახრჩობდა უმძიმეს გზაზე მიმავალს.

— ნაირობში თუ უცხოვრია ახალგაზრდა ბვანას?

— პარკლენდში ვცხოვრობდი, — ბიჭი კვლავ გამოცოცხლდა. — დიდი სახლი გვედგა იქ, ბევრი მოსამსახურე გვყავდა; მე ერთი ზორბა სომალიელი ქალი მივლიდა, ზევით-ქვევით დამატარებდა კიბეზე. კარგად ვიყავით შეწყობილი. მამაჩემთან არასოდეს მიჩიოდა, მაგრამ ტიროდა კი ხშირ-ხშირად. იმ ქალს სახე შენნაირად ძაღლივით გაშეშებული არ ჰქონია.

— ძაღლივით? გაშეშებული? ჩემნაირად? — შეცბუნდა ნებუ.

ბიჭი გაცოფდა.

— ვინ გითხრა მასე? — შეუყვირა მჭახედ. — გამოშტერებულო შავო მაიმუნო!

ყვირილზე ლეოპარდი შეინძრა და გამოქვაბულში დაბინავებულებზე მიშტერებულს თვალებში ნაპერწკლები დაეგზნო. ნებუს ხელი უჩუმრად გადასწვდა შუბის ტარს. ბიჭი შორეულ კუთხეში გახევდა და გაილურსა. თვალებში ძრწოლა ჩაუდგა.

— შემობრძანდი, ძმაო ლეოპარდო, — წყნარად თქვა ნებუმ, — მოდი, შევუდგეთ ჩვენს მუსაიფს.

ფერდი ორღანოსავით ყრუდ, ღრმად და მძლავრად აგუ-

გუნდა. „ეს ბიჭი სულ ცრუობს. ჯერ ერთი სიტყვაც არ უთქვამს მართალი“.

XXIV

— მიამბე რამე დედაშენზე, — სთხოვა ნებუმ, როცა ტკივილი ცოტათი დაუცხრა და შუბლზე ოფლშემშრალმა სული მოითქვა. იგი ცდილობდა დასხლტომოდა მიწის მკლავებს, აისის პირველ სხივს უხმობდა სიცოცხლემოწყურებული.

მაგრამ ბიჭის კანი და ძვლები ლეოპარდს დაემონებინა. წიგნის ფურცელზე აღბეჭდილი ასოებივით უძრავი იყო მისი შემხედვარე.

„მე გიამბობ დედაშენის ამბავს, — გახმიანდა ნებუს ფიქრში. — მისი თვალები ისე ნათელი იყო, როგორც მზესუმზირაა ნათელი აპრილში, ი'ეთი ცისფერი. როგორც ლიპვეს ყვავილი. მისი მკერდი თოვლიანი მწვერვალები იყო. მე გიამბობ დედაშენის ამბავს: კენიას მთაზე დევს ხელუხლებელი თოვლი, მხოლოდ მზის სხივებს აქვთ უფლება მისი მიალერსებისა. მისი მკლავები, მისი ფეხები მდინარეებივით გრძელი იყო და გრილი. შენ შამბნარში იმალები და გუბურებში ბანაობ, გაშლილ ადგილზე კი აკრძალული გაქვს ბანაობა. ის ქალი მთის გადაღმა ცხოვრობდა და შენ მისი შეხედვა გეკრძალებოდა. შარშანდელი გრგვინვა იყო ის ქალი შენთვის, დოლის ჩურჩული ღამეულ სიმყუდროვეში, შორეულ ბუჩქზე შეფრთხიალებული ჩიტი იყო. დიდი ხნის დავიწყებული ბაღნარი იყო, სადაც სიჭაბუკის შენის ნერგი გაგიხარებია ოდესღაც“.

წინ გადაიხარა ნებუ. მხრები წამოემართა. მის თავში გუნდი საგალობელს გუგუნებდა: „მე გიამბობ მის ამბავს. აკრძალული გზა იყო ის ქალი და იმ გზას დაადგა ნებუ. გზამ თავად ბელადის ქოხამდე მიიყვანა. მაგრამ განა მეომარს შეუძლია თავისი ბელადისა ეშინოდეს?“

ხმა გაეხსნა ნებუს და გუგუნით აღავსო გამოქვაბული: „მამაკაცმა არ უნდა შეიყვაროს ქალი, ვიდრე სიკვდილს არ დაუწყებს ძებნას. სიყვარული სიკვდილია, ნებუ! ვინც გიყვარს, მასში კვდები კიდეც. მცირე სიყვარული მცირე სიკვ-

დილია, ხოლო დიდი სიყვარული — დიდი სიკვდილი. ნებუ დიდი სიკვდილით მოკვდა, როცა ჯოგს მიერეკებოდა და ქედს გადამდგარს სიკვდილის დაფდაფზე ხელის ზურგის ცემა შემოესმა".

მაგრამ ნებუს წელს ეცინებოდა.

— წელო... — დაიწყო გულმოსულმა ნებუმ და სიტყვა პირზე შეაცივდა.

ხმა გაკმინდა ნებუმ და შემოსასვლელში გაქვავებულ მხეცს მიაშტერდა. ადგილზე დასობილიყო ლეოპარდი. მუცლის არედან ბდღვინვას გამოსცემდა. ეს ბდღვინვა კი იფარავდა ზარდამცემ ღრიალს, რასაც ზოგჯერ გამოსცემენ ლეოპარდები. შავი ხისაგან გამოკვეთილი გრძელი თითები შუბის ტარზე თრთოდა.

— ვინ უფრო დიდი სიყვარულით უყვარდა ნებუს? — შეჰღრიალა მან ბიჭს. — ისა თუ მსაბუ?

მაგრამ მოკრუნჩხული და გაშეშებული უფერული ბიჭი უფერულსავე სიკვდილს ეკუთვნოდა.

„სხეულო, — მოსთხოვა პასუხი ნებუმ, — სხეულო, მითხარი, ვინ უფრო გიყვარდა — ის ქალიშვილი თუ მსაბუ?"

„მე ბრმა ვიყავი, — მიუგო სხეულმა. — ავმღერდებოდი თუ არა, ჩემი თვალები იხუჭებოდა".

„ხომ განსხვავდებოდა ეგ სიმღერები?! — არ ეშვებოდა ნებუ. — ვის უფრო მშვენიერ სიმღერებს უმღეროდი. — შავკანიან ქალს თუ თეთრკანიანს?"

„განა დღევანდელი წვიმა გუშინდელისგან განსხვავდება? — უპასუხა სხეულმა. — განა გუშინ ოქროს წვიმა მოდიოდა და დღეს ტყვიისად იქცა? განა გაის მკათათვეს მთვარე უფრო დიდი ან უფრო პატარა იქნება, ვიდრე შარშან იყო?"

„ხა-ხა-ხა, — გაეცინა ტანჯვის ზვირთებში დანთქმულ ნებუს. — ვის უყვები მაგ ამბებს?"

„რაკი ასეა, სხვას ჰკითხე შენი საკითხავი".

ჩირქოვანი ჭრილობის სუნი მთელ გამოქვაბულს მოჰფენოდა. ნებუ რომ თავის სახლში ყოფილიყო, ეს სუნი მოეფინებოდა მის მშობლიურ მთებს, მათს გვერდით აღმართულ მთებსაც და კიდევ იმათ მომიჯნავე მწვერვალებს, ეროი სიტ-

ვით, კიკუიუს მთელ მხარეს. მაშინ ცხრათა საბჭო ნებუს შორს გააძევებდა და ჯუნგლებში მიატოვებდა შუბის ამარას. მაგრამ განა ასევე არ მოიქცა ორთა საბჭო, რომელშიც ბვანა და მისი ტყვია შედიოდნენ? „ვიდრე კაცი ცოცხალია, ამქვეყნად უსახლკაროდ არ გაეძლება, — გაიფიქრა ნებუმ. — მაგრამ ამ არეულ დროში აღარსადაა სახლი და კარი“.

*

* *

„კიკუიუს ქვეყანაში სამი ‘თავგრეხილია: ნიერი, კიამბუ და მურანგა. მე დავიბადე ნიერის კალთაზე სოფელ კიტუსში, სადაც ჩაუქრობლად ენთო დედაკაცების მიერ გაჩაღებული კერიები. ასეთი იყო კანონი. მამაკაცები დღისით თხებს ვმწყემსავდით, კურდღლებს მახეს ვუგებდით და ხაფანგებს ვაწყობდით ანტილოპებისა და ტყის ღორებისათვის. საღამოხანს კი უხუცესთა ფეხთით ჩამოვსხდებოდით ხოლმე, ცეკვის ილეთებსა და ძველ სიმღერათა სიტყვებს ვიმახსოვრებდით. ასეთი იყო კანონი. ამ კანონის მორჩილნი ვიზრდებოდით. შუბის, მშვილდისა და დანის ხმარებაში გვწვრთნიდნენ და გვასწავლიდნენ — ტყუილი არასოდეს წამოგცდეთო. ასეთი იყო კანონი. თავს არასოდეს ვარიდებდით ჩვენი ქვეყნის კანონებისა და ცხრათა საბჭოში არჩეულ ჩვენივე წინამძღოლთა მიერ დადგენილი კანონების შესრულებას. კაცს სახლი იქა აქვს, სადაც კანონს ემორჩილება. უკანონოდ დარჩენილ ადამიანს უსახლოც ეთქმის“.

*

* *

„ხა-ხა-ხა! ჩემო სხეულო, ჯერაც ცოცხალი ხარ? გაქვს შენი სახლი?“

მაგრამ სხეული განაწყენდა და პასუხად გაუგებარი რამ წაიბუტბუტა.

„ძვლებო, — შეფიქრიანდა ნებუ, — ჯერაც ცოცხლები ხართ?“

ფეხების ძვლები უსიცოცხლო კუნთებით იყვნენ გასალტული, მაგრამ სხვებს გული ერჩოდათ.

„მკერდო, ზურგო, ძალა შეგრჩათ თუ აღარა? საჭიროების დროს ძლიერნი იქნებით?“

მხრები გამართა ნებუმ, მკერდი გამობურთა, ძალი მოიცა. ლეოპარდმა თავი გვერდზე გადააგდო და ზარდამცემი ღრიალით აღავსო გამოქვაბული.

XXV

მათ მანქანები გამოქვაბულიდან ორიოდე მილზე დატოვეს და ველის მოჩხრეკას შეუდგნენ. ლეოპარდის ღრიალი რომ შემოესმა, ლეიტენანტი შეჩერდა.

— ეს რა ხმაა? — იკითხა მან.

— ლეოპარდის ხმაა, მეტი არაფერი. ალბათ მსხვერპლი მოკლა, — წაილაპარაკა თავგაბეზრებულმა ეტიკმა.

ეტიკად ამ ქვეყანაში ადრევე დამკვიდრებული პლანტატორი წამოეყვანათ. სახედაღარული, გულბოროტი კაცი ჩანდა. ლეიტენანტი მასზე ოცი წლით უმცროსი და ამდენივე ათასი გირვანქა სტერლინგით ღარიბი იყო. მაგრამ სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულების დროს თავს ისე გრძნობდა, თითქოს ღმერთის ნაცვალი ყოფილიყოს ამ ქვეყანაზე. და მან ბრძანება გასცა:

— წინ! მოვაშთოთ მხეცი!

— რა ოხრად გვინდა? — გული მოუვიდა გამყოლს, რადგან მისი მუზარადიდან ამაოდ იღვრებოდა წვიმის წყალი, რომელიც ესოდენ აუცილებელი და გამოსადეგი იყო ყაეის დასათესად. — ზანგებზე ვნადირობთ თუ ლეოპარდებზე?

— ჯარისკაცებს არ აწყენთ ვარჯიში, — პასუხის ღირსი გახადა ლეიტენანტმა.

— ასე თუ ვიზოზინეთ, ერთ კვირაზე ადრე ვერც დავბრუნდებით.

— ღრიალი იქიდან მოისმა, — წინ მიიწევდა ლეიტენანტი.

ჯარისკაცები დაწალიკებით მიჰყვებოდნენ. ლეიტენანტმა მკაცრად გაიღიმა და ისეთ გულისმომკვლელ ამბებზე დაიწყო ფიქრი, როგორიცაა გზადაბნეული ძაღლი, ვიწრო ფეხსაცმელი ან ღიპიანი პლანტატორი, რომელიც პლანტაციას მოსწყვიტეს და ახლა სასტიკად იტანჯება ამის გამო.

მიწა ერთიანად იყო გაჟღენთილი. წყლით, წვერმახვილი

ქვები ტალახიდან ეკლებივით ამოჩრილიყო. ლეიტენანტი ფრთხილად მიაბიჯებდა და თან იმას ფიქრობდა — ღმერთმა მშვენივრად იცოდა, რასაც აკეთებდა, როცა კატის თათები ბალიშებით დააბოლოვაო. საოცარია პირდაპირ, როგორ დადიან შავკანიანები ფეხშიშველი ასეთ მიწაზე. მათ ხომ არც კატის ბალიშები გააჩნიათ და არც ფეხსაცმელი! ღმერთს ალბათ არ უყვარდა ზანგები, რაკი ამგვარი მივარდნილი ადგილები მიუჩინა საცხოვრებლად. თუმცა ლეიტენანტს იმის საწინააღმდეგო არაფერი ექნებოდა, ზანგებს რომ წესიერად დაეჭირათ თავი და მისი გზიდან შორს ყოფილიყვნენ. ამის გაფიქრებისას იგრძნო, რაოდენ სულგრძელი იყო, თვით მამაზეციერზე მოწყალე და კეთილი. ტყავის ლაბადით შემოსილი მისი ზორბა სხეული ფრთხილად მიიწევდა წინ.

XXVI

ლეოპარდი ბდღვინავდა. თავი წინა თათებში ჩაერგო, უკანანი მიწას ფხოჭნიდნენ. დაძაბული კუდის თრთოლა ხერხემლის გადავლით კისერს სწვდებოდა. კისერიც ეძაბებოდა და უმოკლდებოდა, მკერდში მიდიოდა ღრმად.

— არ გაინძრე, ბიჭიკო, — გააფრთხილა ნებუმ.

აფრიკელის ძარღვებში ცხელი სისხლი აჩუხჩუხდა. ჩურჩულით მოიწონა კუნთთა მზაობა და სიმაგრე. გრძნობდა. როგორ ემატებოდა მკლავებში ძალა. თითები ფოლადის ზამბარებად გადაექცა. ზეიმობდა მისი სხეული — ძალა დაბრუნებოდა ნებუს. უცებ ბიჭი წელში გასწორდა. შეხედა ზანგს, ვერე შემოსასვლელში ნახტომისთვის გამზადებულ ლეოპარდს მიაშტერდა.

— ახლავე შემოვარდება. — თქვა სამხრეთ პოლუსიეთ შორეულმა ბიჭმა, — ახლავე შემოვარდება და ორივეს ჩაგვახრამუნებს.

— შემოვარდება და სიკვდილს მიიღებს, — თქვა ნებუმ.

— შენ დააცდენ, დასუსტებული ხარ. ჭრილობაზე იმდენი გირტყი ფეხები. ვერც სტყორცნი შუბს.

— რომ მოვკვდე, შუბის ტყორცნას მაინც შევძლებ, —

დაიქადა ნებუმ. — მე შემიძლია ჰაერშივე გავუპო თავის ქალა-შუბს თვალთა შუა ვუსწორებ.

ისეთი ძალა შესძენოდა, ალბათ სპილოსაც განგმირავდა თავისი შუბით. მას შეეძლო მდინარე ტანა ნასკვივით გამოეკრა და ჰოლის ფორტი თავსზევით აეწია.

— ისე გავაპობ შუაზე, თავის ორივე ნახევარი შუბიდან თანაბარ მანძილზე დავარდეს.

— ბრიყვო, — უთხრა ბიჭმა. იგი გრძნობდა — დაქანცული იყო, სნეული და უღვთოდ გათოშილი. რაღაც საგანი გაუწოდა ნებუს. — აჰა, ეს ჩაუდგი შაშხანას და გაისვრის.

ნებუმ წამით გამოჰხედა ბიჭს და მერე ისევ ლეოპარდს მიაპყრო მზერა. მხოლოდ ცრუ და ვერაგი კი არა, სულელიც ყოფილა ეს ბიჭი. მას რომ თეთრკანიანებს დაუბრუნებ, გულდაჯერებულად იმასაც ვერ იტყვი — ბვანა გიბსონის ხალხის ვალი გავისტუმრეო. მაგრამ ნებუს მეტი არაფერი მოეძებოდა გადასახდელი. არც თხები ჰყავდა, არც ძროხები და აღარც საყვარელი ცოლი.

— ეს შაშხანის საკეტია. მამაჩემი რომ დაეცა, მაშინ ამოვარდა ალბათ, — გულწრფელად თქვა ბიჭმა.

ნებუმ ერთხელ კიდევ გამოჰხედა ბიჭს. მის ფიქრში კი ხმიანებდა: ტყუილია! ცრუ და ვერაგია ეს ბიჭი. რაც ერთად მოდიან, სულ იმის ცდაშია, როგორმე გაუსწორდეს ნებუს, მაშინაც კი, როცა მოთაფლულია მისი ბაგეები. ახლაც კი ცრუობს, ამ წუთას, როცა ლეოპარდი მათ შთასანთქმელად გამზადებულა. უსასრულო ყოფილა ამ ბიჭის გულისწყრომა!

სხეულის წონასწორობა რომ არ დაერღვია, ნებუმ ფრთხილად გადააქნია თავი უარის ნიშნად.

— ნებუ, — ჩუმი ხმით დაუძახა ბიჭმა. გაკვირვებული შეაჩერდა ზანგი.

— შენ ძალიან გიყვარვარ, — თქვა ბიჭმა.

ბიჭს ისე ფართოდ, ისე გაბედულად გაეღო თვალები, ორივეება, უცნაურად განათებულ ოთახს მიუგავდა. ნებუს თითქმის შეეძლო ამ ოთახებში შეეღწია. ბედნიერი იყო, რომ ზურგზე მოგდებული გრძელი მშვილდი ზღურბლს მოსდებოდა და შიგნით შესვლას უშლიდა. ფეხები კვლავ მაგარი და

შოქნილი გაუხდა და ისევ ზვიადად დაყრდნობოდა მათ. მან ღრმად, მუცლის არეში გაიცინა; სახეზე სიცილი არ აღბეჭდვია.

— მე მიყვარხარ, ბიჭიკო?

— მე მივხვდი ამას, — სწრაფად თქვა ბიჭმა. — ვიცი რატომაც გიყვარვარ.

— ახალგაზრდა ბვანა ქარაგმებით ლაპარაკობს, — შეიჭშუხნა ნებუ.

მისთა ფეხთა ქვეშე მიწა კვლავინდებურად ღრმა იყო და მყარი. ჯანსაღი და ყურმახვილი ტერფებით უსმენდა თავისი მატერიკის ხმას; ესმოდა, როგორ ხარობდნენ გორაკებზე შეფენილი პურის ყანები მიწისმუშა ნებუს დაბრუნების გამო.

— ახალგაზრდა ბვანაო? რა სისულელეა! — ბიჭს გაეღიმა. — მე ვიცი, რატომაც გიყვარვარ. შენ მამა ხარ ჩემი.

ნებუ გამოქვაბულის კედლებიდან გაჭრილიყო. სამი დღის სავალი აშორებდა თავის სატკივარს. ვეება მშვილდი წკრიალებდა, შვიდფუტიანი შუბი ამღერებულიყო, მხეცები და ფრინველები გნიასით მიეშურებოდნენ ჯუნგლის სიღრმისაკენ, რადგან მონადირე ნებუ დაბრუნებოდა თავის ქვეყანას.

— მამა, — ალერსიანად უთხრა ბიჭმა და გაუღიმა.

მის ტერფებს მომბასადან მოსწვდა ზვირთების გუგუნი. ჟზარმაზარი, ორმოცდაათი იარდის სიმაღლე ტალღები ყალყზე დგებოდნენ და თავგანწირულნი ღრიალით ეკვეთებოდნენ სილიან ნაპირს.

— მაშ შენ გცოდნია ეგ ამბავი! — ფრთხილად თქვა ნებუმ. — მე ჩემდა თავად ნახევრადბვანას ასეთ რამეს ვერ ვეტყოდი, რათა ტკივილი არ მიმეყენებინა მისთვის. რადგან მაშინ შენ ვეღარ დაუბრუნდებოდი პარკლენდის დიდ სახლს და ვეღარც თეთრკანიან ბავშვებთან შესძლებდი თამაშს.

გულმოკლულმა ბიჭმა თვალები დაწკურა.

— დედაჩემი თეთრკანიანი იყო, — წყნარად ჩაილაპარაკა მან.

— დედაშენი... ის ქალი... მეომრის ცოლი იყო! — წამოიძახა ნებუმ.

ბიჭს ისევ გაუფართოვდა თვალები. უკვე აღარ იტანჯებოდა. მზერა ნათელი ჰქონდა.

— მამაჩემი მეომარია, — თქვა ზვიადად თავამართულმა. — ნებუ მეომარია. მე ძალიან მიყვარს მეომარი ნებუ.

„გულო. — წაიჩურჩულა ნებუმ, რომელსაც მკერდის არე ერთიანად შეესძროდა. — გულო, შეგიძლია განა მოკვდე, როცა კეთილი ამბები შეიტყე?“

— დიდი მეომარია. — პირქუშად თქვა ნებუმ, — პირისპირ ბრძოლაში მოკლა შაშხანით შეიარაღებული ბვანა. ეს სპილოს მოკვლაზე ძნელი ამბავია.

— შენ ამ ლეოპარდსაც მოკლავ, — უთხრა ბიჭმა, — ვიცი, ამ ლეოპარდსაც მოკლავ.

— უეჭველად, — გამოეპასუხა ნებუ.

— მით უფრო, თუ შაშხანასაც იხმარ. გამომართვი საკეტი. მე გიჩვენებ, როგორ უნდა ჩაუდგა.

— არა, ბიჭიკო, — ალერსით მიუგო ნებუმ. — მე შუბის ხმარება შემასწავლეს. დიდ მეომარს გონება უნდა უჭრიდეს. დიდი მეომარი ნათხოვარი ცხენით ვიწრო ხიდზე არ შედგება.

ბიჭი შეცბუნდა, ფართოდ გააღო მკაცრად მოხაზული პირი.

— ბრიყვო! ზინზლიანო კიკუიუ! მე გაგზრახ დაგიმალე საკეტი! გამომართვი და ესროლე, გამომართვი-მეთქი!

ნებუმ თავი დაუხარა ზედ დამტყდარ რისხვას. ისევ გამოქვაბულში იყო, შხამით აღვსებულ დასიებულ ფეხებს დაჰყურებდა და მათს სიმყრალესაც გრძნობდა. გატანჯული სახე ასწია და ბიჭს შეხედა.

— არა, — მორჩილად ჩაილაპარაკა მან, — მე აღარ მინდა შაშხანის გამოცდა, ნახევრადბვანა!

— ბრიყვო!.. იდიოტო!.. ესროლე-მეთქი! — შეუყვირა ბიჭმა.

ბრჭყვიალა საკეტი მის ხელს მოსწყდა და ზანგის გასიებულ, უგრძნობელ ფეხზე დაეცა. ბიჭი ნებუს ეძგერა, წაბორძიკდა და მის ფეხებზე გაფორთხდა, რათა ნებუს მარჯვნივ მიწაზე დაგდებულ შაშხანას მისწვდომოდა. აღგზნებულმა,

გულმოსულმა ნებუმ საკეტს ხელი დაავლო და იქით მოისროლა.

— არა, არა! სტყუი! მატყვილებ! — ბობოქრობდა ნებუ. და ამ დროს, ეტყობა, ლეოპარდმა რაღაცით გააფრთხილა აფრიკელი, რადგან გუნება მყისვე შეეცვალა და ძლივს ამოთქვა: — წყნარად!

ლეოპარდის არსებაში მოულოდნელი, თითქმის შეუმჩნეველი ცვლილება მოხდა. ნებუსთვის აშკარა იყო — მხეცმა გადაწყვიტა თავს დასხმოდა მათ.

„მაგრამ საქმე ისაა, ლეოპარდი მიწას გაკრული შემოვა, — შეშფოთდა ნებუ, — გამოქვაბულში კი იმდენად ბნელა. შუბის დაბლა ტყორცნა გამიჭირდება. ისკუპეთ, ბატონო ლეოპარდო, რათა ჰაერში შემეძლოს თქვენი შეხვედრა. მაშინ თქვენი დიდი გული ჩემს შუბს წამოეგება“.

„ნუ ღელავ, ლეოპარდო, — უთხრა ნებუმ და შუბი დაუმიზნა. — მე მგონია, ისე უნდა შემოხვიდე, როგორც მე მჭირდება. ასეთია ბედისწერა!“

იჯდა ნებუ სულელურად შუბმოღერებული და მთელი ქვეყანა სიცილით წელში იკეცებოდა მისი სიბრიყვის შემხედვარე. იმიტომ რომ მოულოდნელად ბიჭი ღრიალით მოსწყდა ადგილს და იქით გაიწია, საითაც საკეტი ეგულებოდა. და მაშინ გრძელმა და მოქნილმა ღვთაებამ, ლეოპარდად სახელდებულმა, მარჯვედ ისკუპა მისკენ.

— ბიჭიკო, მიწას გაეკარი, ბიჭიკო! — აღმოხდა ნებუს.

რადგან გამოქვაბულში შემოვარდნილი ლეოპარდი მაღლა შემხტარიყო და სწორედ შუბისთვის შეეშვირა მკერდი. მაგრამ ბიჭმა საკეტისაკენ გაიწია. ეს საკეტი იყო მისი წარმატების უმცირესი ნაწილაკი, რომელსაც გულდასმით მალავდა თავისივე თავის წინააღმდეგ ამბოხებული. შიშმა სძლია მის გადაწყვეტილებას — თავი დაეღწია იმ დაცინვისათვის, რაიც გიბსონმა აჰკიდა ზურგზე ჯუნგლებში გამგზავრების დაუვიწყარ დღეს. შეშლილის გულმეცნიერებით ამოხსნა პლანტატორმა თაფლისფერ კარიბჭეთაგან გამოჭრილი მზერა და ბიჭისათვის შურისგების საშუალება აღარ მიუცია.

* *

— ბიჭიკო! — შმაგად, გულგამგმირავად შეჰღრიალა ნებუმ.

მაგრამ მიდი და შეაჩერე ბიჭი, შეაჩერე კილინდინის ნაპირს მომსკდარი ზვირთები!

და მხეცის ყვითელი თვალები საბოლოოდ ჩააცივდა ბიჭს. თვალის გუგები ფართოვდებოდა, ფართოვდებოდა.

ველურად დაიღრიალა ლეოპარდმა და უკანა თათებით მსუბუქად მოსწყდა მიწას: წინა თათები ჰაერს შეტოტებია, თავი ძალასა და სიდიადეს გამოსახავს, ბრჭყალები გაუშიშვლებია, სამდუმიანი კბილები დაუღრჭენია. და უკანასკნელმა გულისგამგმირავმა კივილმა გამოქვაბულის თაღი ჩამოამსო ნებუს თავზე, როცა ლეოპარდი თავის მსხვერპლს ახტებოდა.

გაფრენილი მხეცი მსხვერპლს დაახტა და ნებუს უმალვე შემოესმა ძვლების ლაწანი. თავი გადახარა, წარბებქვემოდან გაჰყურებდა ბიჭს და მის სულის ამომხდელს. ტიროდა ნებუ. თვალებს ხშირად ახამხამებდა, ტიროდა და ბუტბუტებდა.

— მოუქნელო ბიჭო! — ბუტბუტებდა ნებუ. — შე უბედურო მოუქნელო ბიჭო! ადრევე უნდა გეთქვა ჩემთვის საკეტის ამბავი და აღარ მოექცეოდი ლეოპარდის კლანჭებში.

ხმამაღლა გადაიხარხარა ნებუმ. იცოდა — უცნაური იყო, რომ კიდეც ტიროდა და კიდეც ხარხარებდა, თანაც ვერც ცრემლები შეეკავებინა და ვეღარც სიცილი. მერე წინ გადაქანდა და შუბი შეატრიალა ჰაერში.

— აქეთ, ლეოპარდო! — შეუყვირა ქვეწარმავლის შინაგვარ თავს. — მე ვარ შენთვის საუკეთესო ჯილდო, მე ვარ, მე, ჩემი თავი ინებე!

ლეოპარდმა დაიღრიალა. ბიჭი წყნარი იყო და უძრავი. გარეთ კვნესოდა წყლით დამძიმებული მიწა. თავის კუნთებს ესიტყვებოდა მტირალი ნებუ, თანაც შუბს იქნევდა თავგამეტებით.

XXVII

გაუწყნარებლად ხარხარებდა ნებუ. ყელში ალოეს მწარე ულორტები ამოეზარდა და ყოველ მხარეს გაიბარჯღა. ბოროტი სიცილი ბობოქრობდა მის მუცელში, მის შუბლქვეშ. ამ სიცილისგან ყბები ისე ექცეოდა, ლამის დაეყვირა ტკივილისაგან. მაგრამ მისი არსებიდან სიხარულის აზვირთებულ ნაკადად მოიწევდა ძახილი. სრულებით ვერაფერს ხვდებოდა: თითქოს უეჭველად უნდა გამსკდარიყო, ისე გულმოდგინედ იოკებდა ამ ძახილს, და თანაც ცივი იყო, მთებზე შერჩენილი თოვლივით ცივი. გათბობა ეწადა, მაგრამ მკვდარი იყო უკვე. დაბოლოს მიაგნეს ჭიებმა! მკლავი შუბს აქნევდა და შუბი უტიფრად ტრიალებდა ლეოპარდის სიახლოვეს, უკანდასახევ გზას უჭრიდა მხეცს. ეს მკლავი ნებუსი აღარ იყო უკვე.

„მკლავო, ვისი ხარ?“ — ჰკითხეს თვალებმა.

„მე ვარ მკლავი ბვანა გიბსონისა“, — გამოეპასუხა გათავხედებული მკლავი.

სადღაც, სხვა ქვეყანაში ლეოპარდი მძვინვარებდა. აუღელვებლად, უინტერესოდ შესცქეროდა ლეოპარდს: გაცოფებული მხეცი შორეულ მთებში ღრიალებდა, მისი ქვეყნიდან უძირო უფსკრულით გამიჯნულ მთებში. სიცივეს ნებუსთვის კანი გაუხეხეშებია. მაგრად, თბილად დაიძინებს და ეს ძილი დაუამებს დაშუშხულ კანს. მაგრამ გაცოფებული მხეცი ართობდა ნებუს. ისე მოხდენილად კაწრავდა ბრჭყალებით ჰაერს.

— საიდან მოსულხარ, ლეოპარდო? — გადასძახა ნებუმ უფსკრულს გადაღმა. — რომელი ქვეყნის მფლობელი ხარ, ლეოპარდთა ბელადო? მთელი კიკუიუს ქვეყანა საგანგებოდ გადმოლახე, რომ ბვანას შუბის წინაშე აცეკვებულიყავი?

„არა, — მან თავი გადააქნია, — არა, არა, არა! — თან კვლავინდებურად იცინოდა. — ჩემს ხალხს მიწა აღარ მოეძევება, აღარა აქვს მიწა არც ჩუკს, არც მბერეს, არც მვიმბუს, არც ემბუს, არც მერუს, არც კიჩუგუს, არც თჰარაკას, არც ნდიას და აღარც მუთამბას, კიკუიუს არც ერთ ტომს აღარ მოეძევება მიწა. ჩემს ხალხს აღარა აქვს მიწა.

ტყეთა სიღრმეს მივაშურეთ ჩვენ, ლეოპარდთა ბელადო, და გზადაგზა სანადირო ორმოები ამოვთხარეთ, რათა ველარავინ დაგვდევნებოდა. ვერც შავკანიან მეომართ გვძლიეს და ველარც თეთრკანიანთა. უკან ვერავინ გამოგვედევნა, ტყიდან კიდევ ჩვენ არ გამოვდიოდით. ჩვენ გულმოშიში ბალღები ვიყავით და ვკბენდით, ვინც კი წამოგვეწეოდა. ლერწმოვანებს ცეცხლს ვუკიდებდით მარილის საშოვნელად, საქონლის სისხლს ძარღვებიდანვე ვხვრეპავდით; ჩვენი ქალები თხის რძით იკვებებოდნენ და იმის უმრავლესად აჩენდნენ შვილებს. ვიდრე ვარსკვლავები მიმოუფანტავს ყოვლადძლიერს ღამეულ ცაზე".

ნებუს ხმამ ისევ მოიცა ძალი.

— შენ მუხასავით მაგარი ხარ, — უთხრა აღტაცებულმა თავის მკლავს.

„ჩვენ ტყეთა გულმოშიში ბალღები ვიყავით, ლეოპარდთა ბელადო, თეთრკანიანთა შაშხანებმა ვერაფერი გააწყვეს ჩვენთან. სამაგიეროდ მათმა საჩუქრებმა გვძლიეს".

უცბად აზრი დაეწმინდა, გაუნათლდა და გაიფიქრა:

„კაცის სიამაყეს ჩვეულებრივ საჩუქრები მოსტეხენ ხოლმე". შუბს იქით მობობოქრე ლეოპარდს შეავლო თვალი. ლეოპარდის სიამაყე, ეტყობა, მისი მოთმინებაა, მისი უნარი კატასავით მომთმენი იყოს, სულ მოიმკვდარუნოს თავი და მაშინღა გამოცოცხლდეს, როცა დგება ჟამი სისხლის შეხვრეპისა. მოთმინება სიამაყის ერთი სახეა.

და მან წყნარად თქვა:

— შენი სიამაყე, შენი მოთმინება ამაოდ იძლია, ბიჭიკო. შენი მოთმინებით კი იმდენი შესძელი, ორივე ჩვენგანი დაინარჩუნე, ლეოპარდო! მაგრამ ვერც ერთ ჩვენგანს ვერ შთანთქავ, იცოდე! — იგრგვინა ნებუმ და შუბი აძგერა ლეოპარდის მხარეს.

მხეცი გაიზნიქა და შემზარავი ღრიალით უკან გადახტა. მერე ოთხივე თათზე დადგა, დაბზრიალდა და კლანჭებით მოფხოჭნა სიცარიელე.

ლეოპარდს ზედაც არ უყურებდა ნებუ, ბიჭისთვის მიეპყრო მზერა. იგი იცნობდა თავის ქვეყანას, მის ტყეებსა და

ჯუნგლებს, იცოდა, რაგვარ კანონებს ემორჩილებოდა მათში ცხოვრება. მშვენივრად იცოდა, რომ ლეოპარდი მანამ თავს არ ესხმის მსხვერპლს, ვიდრე ძალმოსილად და ბრძოლისათვის მზადმყოფად მიაჩნია. და დაჰხედა თავის გაუსტუმრებელ საზღაურს, მიწაზე რომ განრთხმულიყო, დაჰხედა პატარა ხეიბარს. მძლავრი ტოტის პირველსავე შემოკვრას მოეკლა ბიჭი. სწრაფად და უდრტვინველად განეტეევებინა სული.

— შენი სიამაყე რაღა იყო, ნახევრადბვანა? —ფრთხილად შეეკითხა ცნობისწადილმორეული ნებუ, უკვე აღარ იცინოდა ბოროტად. — ალბათ ის, რომ სხვებს წამოსდებოდი და მათთვის ხელი შეგეშალა, ისევე როგორც კუნელის მოკაკული ეკალი წამოედება ხოლმე მგზავრს ფეხზე. თუ ასეა, შენი სიამაყე ძლეულია უკვე. შენ დაჰკარგე შენივე სიამაყე და ხელის შეშლის ნაცვლად დაბოლოს ჩემი მოშველებაც მოიწადინე — რა ვუყოთ, რომ ამით შენივე თავის შველას აპირებდი! წააგე, ბიჭიკო, დამარცხდი!

თითქოს ეპიტაფიას აწერსო ბიჭის საფლავს. ამას რომ მორჩა, გვერდზე გაიხედა. მისი სახის ნიღაბი არაფერს გამოხატავდა.

რა კარგია, რომ ტკივილს თითქმის ვეღარც კი გრძნობს! მხოლოდ მისი ფეხების ადგილას წითელი, უსახო მთა აღმართულა და აშმორებულა. სიზანტე ეუფლებოდა ნელ-ნელა. ძილი ერეოდა. თითქოს საღამო ყოფილიყოს, გვიანი საღამო, როცა გრძელი ჩრდილები უფრო უგრძესნი ხდებიან ხოლმე. მისი ჩრდილიც დაგრძელდა. თავი კინანგოის მთებზე ჰქონდა მისვენებული, ფეხები კი ულუს გორაკებს მისწვდენოდა, კამბას ტომი რომ მკვიდრობს, სწორედ იმ გორაკებს. ნაღვლიანად გაეცინა ნებუს, როცა თავისი მოწამლული და მომაკვდავი სხეულის სიგრძე იხილა.

„თეთრკანიანთა სიამაყე რაღა უნდა იყოს? — აღეძრა ნებუს მწვავე კითხვა. თავი გვერდზე გადახარა და მიაყურადა, მაგრამ პასუხი არავის გაუცია. — მაშინ ამ ამბავს ვიკითხავ

დიდ ქალაქებში, სადაც ბვანები ბინადრობენ. სიმდიდრე? ეგ ხომ ყველა მამაკაცის სიამაყეა. მტერთა ძლევა? მაგრამ ყველა მამაკაცი გამარჯვებას რომ ესწრაფვის?"

„მაგრამ მხოლოდ მცირედნი იმარჯვებენ ამქვეყნად, — განაგრძობდა ფიქრს ნებუ. — და მაინც დამარცხებული ხომ გამარჯვებაში ეხმარება სხვას! ამიტომ დამარცხებულს გამარჯვებაც შეუძლია იამაყოს. ამას იქადოდნენ ბვანები. მაშინაც კი, როცა დანის ან ცეცხლის წყალობით ლამაზდებოდნენ, იმას იქადოდნენ — ჩვენს კვალს სხვები მოჰყვებიანო".

„მაშინ, მაშინ თეთრკანიანთა სიამაყე იქნებ ის იყოს, რომ მათ უნარი აქვთ დამარცხების უდრტვინველად თმენისა?" — ეს აზრი გაუხმიანდა და მისი ყურადღება მიიპყრო.

უნარი იმისა, რომ დაკარგო საუკუნე და მოიპოვო მარადისობა, უნარი იმისა, რომ დაითმინო ბედის უკუღმართობა, წეს-ჩვეულებათა, ქალთა, მიწათა, სიცოცხლეთა დაკარგვა. შენ კიდევ მზის სხივის ჯიბეში დამალვას უფრო შეძლებ, ვიდრე შენს მახეებსა და ხაფანგებში ახალი სიცოცხლის მომწყვდევას. შენ არ ძალგიძს მისი დაძლევა. ყოველ წელიწადს, ყოველ გაზაფხულზე მომბასადან დაწყებული ვიდრე მაღალ მთებამდე ახალი სიცოცხლე მოედინება შენს ქვეყანაში, ახალი ყვავილები იფურჩქნება და ნორჩ ნიადაგს ახალი კვიცები ურტყამენ ფლოქვებს. ახალი სიცოცხლე უძლეველია.

— მართალი იყო გულმხეცი მლოდი. მე მმართებდა უფრო ძლიერი ვყოფილიყავი და აღარ მეფიქრა მშვილდის გამო, იმიტომ რომ დღეები მშვილდისა წავიდა უკვე.

და როდესაც იგრძნო — ტკივილი ისევ უნდა მომეძალოსო, წყნარად მიმართა მას:

— იქნებ მხოლოდ იმიტომ ვწევარ აქ მარტოსული და დაკოდილი, რომ ძალა არ მეყო ძველ წეს-ჩვეულებებზე ხელის აღებისათვის. იქნებ სწორედ ამის გამო გადავწყვიტე ნაირობს ჩავსულიყავი ვალის გასასტუმრებლად? — ტკივილი ტვინში აუვარდა და სუნთქვაშეკრულმა განაგრძო: — ახალი სიცოცხლის შეწყნარება უფრო ძნელი ყოფილა, ვიდრე მტრის ქვეყანაში შეჭრა.

მაშინ მრგვალი მოკიაფე თვალები მის დაბინდულ სახეს მიებჯინა და ზანგმა იგრძნო — ძალა ეკარგებოდა.

„ნებუ! ნებუ!“ — მოეჩვენა, ლეოპარდი მიხმობსო და თავი ასწია. მხეცი ხელახლა ყალყზე შემდგარიყო, კუდი ეძაბებოდა და კუდის ბოლო უტოკავდა. დაწკურულ ყვითელ თვალებში ყოველგვარი ანგარიში შეჯამებულიყო. ნებუმ ზანტად გაჰხედა მხეცს. უცნაური ის იყო — ლეოპარდის მძვინვარებას სრულებით არაფრად აგდებდა: არც მხრის კუნთების თრთოლვას აქცევდა ყურადღებას, არც ფერდებს მიკრულ დამშეულ მუცელს და არც უკანა თათების სწრაფ მოძრაობას, ნახტომისათვის მათს მზადყოფნას. მხოლოდ ის იცოდა— საღამო დამდგარიყო და აბერდარედან გადმოწოლილი გრძელი ჩრდილები მის არსებაში ისადგურებდა, მისი სხეულის უდიდეს ნაწილს გადაჰფენოდა.

— ოჰო, ლეოპარდო, ჩემს მუცელში მწუხრი ჩამოდგა, მაგრამ ჩემს მკლავში ნათელი დილაა, — წყნარად თქვა მან. მაშინ ვეება შუბი მსუბუქად აღიმართა მის მხართან და მკლავშიც უჩვეულო ძალა იგრძნო.

— მე შემიძლია ატის ველიდან მთის მწვერვალამდე შევტყორცნო შუბი, — იქადოდა ნებუ. — მაშინაც კი შემიძლია ასე შორს შევტყორცნო, როცა მწუხრი ჩამომდგარა ჩემს მუცელში.

— მადლობელი ვარ, ჩემო მკლავო, — პირქუშად უბრძანა მადლი. — მე ვიცეკვებ შენს დღესასწაულზე, ჩემო მკლავო.

„ის მომახტება, როცა თვალებს ფართოდ გაახელს, — გალობდა ზანგი.

ისკუპებს, როცა კუდი გაუსწორდება და ხერხემალს გაყოლებული ღარები გაუშეშდება.

ისკუპებს, როცა კისერი სისხლით დაებერება, ისე როგორც მე მებერებოდა სისხლით კისერი ჩემს სოფელში, საქორწინო ქოხში ქალს რომ პირველად ჩავეხვიე და ვაქკაცობის პირველი სიმღერა ვთქვი.

ისკუპებს.

ახლავე ისკუპებს.

და მყისვე მოკვდება, როგორც მოკვდა ჩემი პირველი სიყვარული.

გადმოხტი, ბვანა ლეოპარდო, შეჰკარი კამარა!“

მაგრამ ლეოპარდს კამარა აღარ შეუკრავს, რადგან არმიის ლეიტენანტმა ესროლა.

XXVIII

ინგლისელმა ერთხელ კიდევ ესროლა და დარწმუნდა, რომ მხეცი მკვდარი იყო.

— ახლა ისიც ვნახოთ, ვინ მოიმწყვდია ამ ქეციანმა.

ხელის აქნევით უბრძანა ჯარისკაცებს — შესასვლელს მოსცილდით, ნუ მიბნელებთო, და გამოქვაბულში შეალაჯა. თავდაპირველად ძონძების გროვის მინაგვარი ბიჭი დაინახა და ლეოპარდს თავი დაუარა.

— ღმერთო დიდებულო! — წაიბუტბუტა ლეიტენანტმა. — მგონი თეთრკანიანი ბიჭი უნდა იყოს... ფეხსაცმელი აცვია...

დაიხარა და ბიჭი გულღმა გადმოატრიალა. უხეში ხელები ამჯერად როგორღაც სათუთი გახდომოდა. გადატეხილ კისერზე თავი მსუბუქად შეტოკდა.

„თითქოს დასვრილი ყვავილი იყოს გადატეხილ ღეროზე ჩამოკონწიალებული, — ფიქრობდა უმწეო და დაუზოგავი ლეიტენანტი, — ნეტავი ვისი შვილი იყო?“

გამოქვაბულს თვალი მოავლო. უცბად კუთხეში ზანგი დაინახა, წამოხტა და ავტომატი დააღირა. მაგრამ ზანგი არ ინძრეოდა.

— შენ რა გითხრა, ლეოპარდო, ჩემი პირველი კიკუიუ ამართვი ხელიდან!

ერთი პირობა იფიქრა—ისე, ნამუსის მოსაწმენდად ზანგს ტყვიების ჯერს დავაყრიო, მაგრამ მაშინვე მოისაზრა, რომ ზანგი და ეს ბიჭი ერთი მგზავრები იქნებოდნენ ალბათ.

ეტყობა, ვიღაც ლოიალური შავკანიანი უნდა იყოს: ყელის გამოღადვრას გადაურჩენია ბიჭი. ავტომატი დაუშვა და შემოსასვლელისკენ გვერდით დადგა. სინათლის ფონზე მკვეთრად ისახებოდა მისი სილუეტი — ლანდი მაღალი, მხრებგანიერი, ძარღვმაგარი ხვადი ლეოპარდისა. და ნებუმ ფიქრით გაზომა ხაკისფერი ფრენჩის ქვეშ აბურცული გულ-მკერდის არე და ის ადგილი მოინიშნა, სადაც მკერდის ძვალი გულს ეფარებოდა. დაძაბუნებულ სხეულს ნეტარებად მოეფინა გრძნობა იმისა, რომ მიზანს არ ააცდენდა.

„ყოვლისდ ძლიერო, გრძელი დანები მოგვეც ჩვენ!“ — გალობდა მისი არსება.

მკლავებსა და მხრებში დილა ჩასდგომოდა.

მთარგმნელისაგან

ჟურნალ „ინოსტრანნაია ლიტერატურას“ 1960 წლის ოქტომბერ-ნოემბრის ნომრებში დაიბეჭდა საბჭოთა მკითხველისათვის მანამდე სრულიად უცნობი მწერლის ვიქტორ რიდის მოთხრობა „ლეოპარდი“ (ბრწყინვალედ თარგმნილი ა. სერგეევის მიერ). ამ ნაწარმოებმა უმალვე მიიპყრო მკითხველთა ყურადღება. დიდი ჰუმანიზმი, რთული ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, ზოგადეთიკური, ეროვნული თუ სოციალური პრობლემების გაბედულად დასმა და მხატვრულად დამუშავება, მითოსის სამანებამდე მისული პოეტურობა, თხრობის ორიგინალური მანერა (პერსონაჟთა ბიოგრაფიისა და ფსიქიკის გახსნა ასოციაციების მეშვეობით), უჩვეულო სახეები, უჩვეულო რიტმი — აი ის თვისებები, რომელთა წყალობით „ლეოპარდმა“ განსაკუთრებით მიიზიდა ყურადღება. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ ეს ნაწარმოები შარშან ცალკე წიგნად დიდი ტირაჟით გამოიცა მოსკოვში.

ვიქტორ რიდის შესახებ დღესდღეობით ძალზე ცოტა რამ არის ცნობილი. „ლეოპარდის“ რუსული გამოცემის ბოლოსიტყვა გვამცნობს, რომ რიდი აღიარებული ყოფილა ვესტ-ინდოეთის ერთ-ერთ უნიჭიერეს პროგრესულ მწერლად. დაბადებულია 1913 წელს კუნძულ იამაიკაზე, სადაც ამ ორი-სამი საუკუნის წინათ მონებით მოვაჭრეებმა მისი წინაპრები ჩაიყვანეს აფრიკიდან.

ვიქტორ რიდის პირველი წიგნი — რომანი „ახალი დღე“ (გამოცემულია ლონდონში 1950 წელს) მიეძღვნა 1865 წლის სახალხო აჯანყებას იამაიკაზე. რაც შეეხება „ლეოპარდს“, პირველად 1958 წელს დაიბეჭდა და მას აქეთ კიდევ რამდენჯერმე გამოიცა. მოთხრობას დიდი წარმატება ხვდა წილად მთელ მსოფლიოში. პრესამ მას „უჩვეულო“ და „არაჩვეულებრივი“ უწოდა.

ამჟამად ვიქტორ რიდი მექსიკაში ცხოვრობს.

ეს არის და ეს. მაგრამ თუ ძუნწი ბიოგრაფიული ცნობები ბევრს არაფერს გვამცნობს ვიქტორ რიდის შესახებ, მისი „ლეოპარდი“ ცხადყოფს, რომ იგი უაღრესად საინტერესო მსოფლმხედველობისა და მსოფლშეგრძნების, პოეტური სულის, დიდი ნიჭით მომადლებული მწერალია. რიდის ჰუმანისტური სულისკვეთება გვაოცებს თავისი ყოვლისმომცველი სიფართოვით, ხოლო ადამიანის უსაზღვრო სიყვარული და ზიზღი ყოველგვარი ჩაგვრის, განსაკუთრებით ეროვნული ჩაგვრის მიმართ უფლებას გვაძლევს იგი ჩვენს თანამოაზრედ მივიჩნიოთ.

ქართველი მკითხველისათვის „ლეოპარდი“, გარდა შინაარსისა, იმ

მხრივაც არის საინტერესო, რომ მისი სტილი (ფართო გაგებით) რაღაცნაირად ეხამება ჩვენი თხუთმეტსაუკუნოვანი პროზის ტრადიციებს. მე მხედველობაში მაქვს, უწინარეს ყოვლისა, სიტყვიერი ქსოვილის სიმდიდრე და ხატოვანება, მხატვრულ სახეთა ფერადოვნება, თხრობის რიტმი და, საერთოდ, მთელი ნაწარმოების პოეტური აღნაგობა და ელფერი. ყოველივე ეს დიდ საცთურს წარმოადგენდა და აღძრავდა სურვილს — „ლეოპარდი" უეჭველად ქართულადაც ახმიანებულიყო

რევაზ თვარაძე